საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (470)
19 - 25 დეკემბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

**ქართველი მეცნიერის სენსაციური აღმოჩენა «ვეფხისტყაოსანზე» აგებული შექსპირის პიესები** 18

## საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარი ბერიძეა, მეორე ადგილზეა მამედოვი, მესამეზე — ალიევი 2



დღეს თუ სამეულშია ორი უცხო გვარი, ხვალ ქართული, შესაძლოა, სამეულში კი არა, ხუთეულშიც აღარ მოხვდეს

## 10 თვეში 1518 ადამიანი შეეცადა თვითმკვლელობას. საით მიდის ქვეყანა? 3



მთავარი **მიზეზი**, რომლის გამოც ადამიანები სიცოცხლეს საკუთარი ხელით ისწრაფავენ, **სიღარიბეა**

«ვერ ხედავთ, პრეზიდენტს ფიცი არ აქვს დადებული და უკვე ნატოს წარმომადგენელი ჩამოვიდა. შეხვედრის შემდეგ კიდევ ის კაცი გამოდის და ისე ლაპარაკობს, გეგონება, თავისი რომელიმე ხელქვეითი მიიღო» 6



## «TV პირველი» თუ მეორე «რუსთავი 2»?

ყველაზე ტრაგიკომიკური აზრები, რომლებსაც საქართველოში ბოლო პერიოდში ვისმენთ 4





## ევროპარლამენტი უკრაინას: იმოქმედეთ ჩვენი კარნახით! 13

## მსოფლიო პატრიარქმა საეკლესიო დამოუკიდებლობის მომლოდინე უკრაინა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა 5



მამა გიორგი (რაზმაძე): ბართოლომეოსი ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, ალბათ, უარესს გააკეთებს



## ახალი ეკლესიის მეთაურად ეპიფანე გამოაცხადეს 12

«პატრიარქი ბართოლომეოსი გასცდა თავისი იურისდიქციის საზღვრებს» 12

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელებისა და გვარების სია გამოაქვეყნა. საბედნიეროდ, მამაკაცების სახელებში კვლავ გიორგი ლიდერობს, ქალებში კი ყველაზე მეტი ნინო გვყავს. საბედნიეროდ იმიტომ, რომ გვარების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, კატასტროფული მდგომარეობაა. პირველ ადგილზე, წინა წლის მსგავსად, ბერიძეები არიან. საქართველოში სულ 29 173 ბერიძე ცხოვრობს, მეორე ადგილზე მამედოვია — 28 358, მესამეზე კი ალიევი — 19 327.**

# საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარი ბერიძეა, მეორე ადგილზეა მამედოვი, მესამეზე — ალიევი

## საქართველოში უნდა შეიქმნას ერის გადარჩენის სახელმწიფო ფონდი, რადგან გადაშენების გზაზე ვართ!

**„ეს ოკუპანტი უფრო ადრე რომ გარდაცვლილიყო, შეიძლება მისგან წართმეული ტაო-კლარჯეთი არ დაგვეკარგა. 1921 წელს მან და ლენინმა ძმურად გაიყვეს საქართველო. რას შვრებით?! სულ გაგიშრათ სისხლი?! ვის მიაგებთ პატივს?! ნუთუ ოშკი, ბანა და ხახული აღარ გახსოვთ?! ბარემ გადაუხადეთ იუბილეები მურვან ყრუს, შაჰ-აბასს, ჯალალ-ედ-დინს... მათ მიწები მაინც არ წაურთმევიათ სამუდამოდ. ვაი, თქვენს პატრონს და ჩვენს პატრონსაც!“ — განაცხადა რამდენიმე დღის წინათ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.**

ნათელაშვილის გაბრაზება კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში **მუსტაფა ქემალ ათათურქის** გარდაცვალების 80 წლისთავთან დაკავშირებულმა გამოფენამ გამოიწვია. გაგიკვირდებათ და, **უნივერსიტეტში, ცოდნის ქართულ ტაძარში, უდიდესი პატივი მიაგეს კაცს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები ჩამოაჭრა და იმდენად აგრესიული პოლიტიკა ჰქონდა საქართველოს მიმართ, ბოლომდე რომ უფლება მიეცათ, მთელ ქვეყანას თურქეთს შეუერთებდა. ჰოდა, სწორედ ამ ადამიანის გარდაცვალების 80 წლის იუბილე აღნიშნეს ზარ-ზეიმით და გამოფენაც კი მიუძღვნეს.** ახლა არ დაიწყოთ: ეს იმის გამო ხდება, რომ მეზობელთან და ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორთან კარგი ურთიერთობა გვსურსო. ჯერ ერთი, მაგ სტრატეგიული პარტნიორის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ის, ბათუმი თურქეთის ნაწილად რომ გამოაცხადა და მეორეც, დღემდე ბათუმში თურქი ტურისტები დაუფარავად აცხადებენ, რომ ეს ქართული მიწა მათია...

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელებისა და გვარების სია გამოაქვეყნა. საბედნიეროდ, მამაკაცების სახელებში კვლავ **გიორგი** ლიდერობს, ქალებში კი ყველაზე მეტი **ნინო** გვყავს. საბედნიეროდ იმიტომ, რომ გვარების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, კატასტროფული მდგომარეობაა. პირველ ადგილზე წინა წლის მსგავსად, **ბერიძეები** არიან. საქართველოში სულ 29 173 ბერიძე ცხოვრობს. მეორე ადგილზე **მამედოვია** — 28 358, მესამეზე კი **ალიევი** — 19 327.

სიმართლე გითხრათ, მსოფლიოს სხვა ქვეყნების პრაქტიკას არ ვიცნობ და დაზუსტებით ვერ გეტყვით, რა მდგომარეობაა სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ არა მგონია, რომ, საქართველოს გარდა, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ყველაზე მეტ გვართა ჩამონათვალის სამეულში ორი უცხო ქვეყნის წარმომადგენელი იყოს. რა თქმა უნდა, ბევრი ადამიანი გამოჩნდება, რომელიც იტყვის, რომ აზერბაიჯანელები ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება უმრავლეს გვართა სამეულშიო, მაგრამ...

**იმავე აზერბაიჯანში, საინგილოში, ქართველებით დასახლებული არაერთი სოფელია. იმ სოფლებში ქართველები ჯიუტად ცდილობენ ენის შენარჩუნებას, მაგრამ არ გამოსდით. ისინი ვერ ინარჩუნებენ გვარებს, ვერ ინარჩუნებენ სახელებს და მეტიც — ოფიციალური ინფორმაციით, არც ერთი, ვიმეორებთ, არც ერთი ეთნიკური ქართველი არ არის დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურებში.**

**„როცა ბავშვი დაიბადება, გამორიცხულია, დაბადების მოწმობა აიღოს თუ ქართულ სახელს დაარქმევს. შესაბამისად, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ახალდაბადებულს ერქვას აზერბაიჯანული სახელი და მერე უკვე ოჯახში, ნათლობის დროს ვარქმევთ ქართულ სახელს და ვეძახით გიორგის, ილიას, დავითს... გვარებზეც სერიოზული გართულებაა. გვაიძულებენ, გვარი შევიცვალოთ და ამისთვის არათუ აგიტაციას ეწევიან, არამედ ძალადობა და დაშინებაც მიდის. არაერთი ქართული ეკლესია საწყობად აქვთ გადაკეთებული, ბევრგან ფარეხები აქვთ პირუტყვისთვის და ის ეკლესიებიც, რომლებიც მოქმედებს, ტერორის ქვეშაა. ლოცვა, ზარების რეკვა და ღამის თევა პრაქტიკულად აკრძალულია. რატომ არ იღებს საპატრიარქო ხმას? არ იციან, რა დღეში აგდებენ აქ გამოგზავნილ მამაოებს? არ იციან, რომ ყოველ სამ თვეში მამაო იძულებულია, აქაურობა დატოვოს, რადგან ქვეყანაში ყოფნის უფლებას აღარ აძლევს აზერბაიჯანის სახელმწიფო და საქართველოს საპატრიარქოც ახალ მამაოს გზავნის. ახალი მამაო სიტუაციაში სანამ გაერკვევა, სანამ თეთრსა და შავს გაარჩევს, მანამდე უკან მიემგზავრება. ხმას რატომ არავინ იღებს? რამდენი ახალი მეჩეთი აშენდა საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში და რამდენი ეკლესიის გარემონტების უფლება მოგვცეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე? ახლის აშენების ნებართვა გამორიცხულია, ეს რომ მოითხოვო, შეიძლება დაგიჭირონ და ციხეში ჩაგსვან. თუ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ორმხრივია, რატომ არ არის ორმხრივი ამ მიმართულებით?! რამდენი აზერბაიჯანელი დეპუტატი გვყავს საქართველოს პარლამენტში და რამდენი ქართველია უბრალოდ დასაქმებული, თუნდაც დამლაგებლის პოზიციაზე აქ?! მე გეტყვით — არც ერთი!“** — გვითხრა ერთ-ერთმა ინგილომ, რომელიც განცხადების გაკეთებას იმ პირობით დაგვთანხმდა, რომ მის სახელსა და გვარს არ გავამხელდით, თორემ... საუკეთესო შემთხვევაში, სოფლიდან გამასახლებენო, შემოგვითვალა.

სახელმწიფო, სამი და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში, ოჯახებს დახმარებას აძლევს. ეს კანონი მხოლოდ ორ რეგიონზე არ ვრცელდება — სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლზე. როგორც ამბობენ, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ სამცხე-ჯავახეთში სომხების, ხოლო ქვემო ქართლში აზერბაიჯანელების წახალისება არ მოხდეს. გასაგებია, რომ ამ მხრივ ხელისუფლება, ერთი შეხედვით, ზრუნავს ქართველობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. იმავე სამცხე-ჯავახეთში სომხური მხარე კატეგორიულად სთხოვს მოსახლეობას, რომ ქართულ პასპორტებზე უარი თქვან და სომხური პასპორტები აიღონ. და ასე, მასობრივად ეთნიკური სომხები ხდებიან საკუთარი ისტორიული სამშობლოს მოქალაქეები და უკვე იქ, საქართველოს მოქალაქეები კი არა, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ცხოვრობენ. სხვათა შორის, რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ქვემო ქართლში, რადგან აზერბაიჯანი აქაურ მოქალაქეებს უარს ეუბნება აზერბაიჯანულ პასპორტზე და ურჩევს, ადგილებზე საქართველოს პასპორტებით დამკვიდრდნენ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ **საკმარისია, რომელიმე სოფელში მეჩეთის მშენებლობა დაიწყოს, პროექტი გზადაგზა იცვლება, უფრო მასშტაბური ხდება და ამ ყველაფერს აზერბაიჯანული მხარე ნავთობკომპანია „სოკარის“ მეშვეობით აფინანსებს.** და ეს მაშინ, როცა იმავე საინგილოში ქართულ მხარეს მხოლოდ ხატების შეტანის უფლებას აძლევენ და იმასაც შეზღუდული რაოდენობით. როგორც აღვნიშნეთ, გამორიცხულია ახალი ეკლესიის აშენებაზე ფიქრი, ხოლო ის, რაც ინგრევა, არც რემონტდება და ასე იშლება ქართული კვალი ძირძველ მიწაზე.

ალბათ, იკითხავთ: გამოსავალი სად არისო? — **სახელმწიფომ უნდა შექმნას ერის გადარჩენის ფონდი;** სწორედ გადარჩენის, რადგან გადაშენების გზაზე ვართ და, ჩვენი თუ არ გჯერათ, იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუჯერეთ, ასე რომ ეტრფით. სწორედ მათი მომაცემებით, 2050 წლისთვის გადაშენების პირას მყოფ ერებს შორის საქართველო იქნება ერთ-ერთი, ადგილობრივები უმცირესობაში რომ აღმოჩნდებიან. ჰოდა, ამ გადარჩენის ფონდს უნდა ჰქონდეს ფინანსური წახალისების ფუნქცია. ყოველ მესამე და მომდევნო შვილზე სახელმწიფომ, სულ ცოტა, ხუთი ათასი ლარი უნდა გაიღოს და ოჯახები დააჯილდოვოს. იცით თუ არა, რომ ევროპაში ახალშობილ ბავშვს იმ დონეზე ეხმარება სახელმწიფო, რომ მშობელს ბავშვის სკოლამდელ ასაკამდე მიყვანა პრაქტიკულად არაფერი უჯდება. დახმარებაში შედის ფულადი თანხა, რომელიც საკმარისია ბავშვის კვებისა და ჰიგიენური ნივთების შესაძენად. და ეს იმ ევროპაში, რომელიც ყოველგვარი ეროვნულის გაქრობისკენ გვიკიჟინებს, თვითონ კი სხვაგვარად იქცევა.



ჰო, ერის გადარჩენაზე მოგახსენებდით. ფულადი თანხის გარდა, მრავალშვილიან ოჯახებს უნდა დაუწესდეთ შეღავათები ტრანსპორტში, მრავალშვილიანი ოჯახების უფროსებმა არ უნდა გადაიხადონ ხელფასიდან საშემოსავლო და ხელფასი უნდა აიღონ სრულად და ისინი უნდა იყვნენ მისაბაძი ოჯახები. გვერწმუნეთ, ოჯახებს თუ ფინანსურ გარანტიებს მიცემთ, რომ ბევრი შვილის ყოლის შემთხვევაში საკვების პრობლემა არ ექნებათ, აუცილებლად გავმრავლდებით. მხოლოდ პატრიარქის მოწოდებამ, რომ ყოველი მესამე შვილი მისი ნათლული იქნებოდა, ბევრ ოჯახში „დაუგეგმავი“ პატარა გააჩინა და გვერწმუნეთ, თუ ამას ფინანსური წახალისებაც დაემატება, მეოთხე და მეხუთე პატარაც გაჩნდება და აღარ იქნება იშვიათობა საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახი.

სხვაგვარად ნაბიჯ-ნაბიჯ და ნელ-ნელა გადავშენდებით. **დღეს თუ სამეულშია ორი უცხო გვარი, ხვალ ქართული, შესაძლოა, სამეულში კი არა, ხუეულშიც აღარ იყოს და მერე განგაშის ზარების დარისხება გვიანი იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში, არაქართული მოსახლეობის წარმომადგენლები უკვე ისეთ თანამდებობებზე იქნებიან, ამ კანონპროექტის მიღების შესაძლებლობასაც კი არ მოგვცემენ.**

**დღეს თუ სამეულშია ორი უცხო გვარი, ხვალ ქართული, შესაძლოა, სამეულში კი არა, ხუთეულშიც აღარ მოხვდეს და მერე განგაშის ზარების დარისხება გვიანი იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში არაქართული მოსახლეობის წარმომადგენლები უკვე ისეთ თანამდებობებზე იქნებიან, ამ კანონპროექტის მიღების შესაძლებლობასაც კი არ მოგვცემენ**

**უნივერსიტეტში, ცოდნის ქართულ ტაძარში, უდიდესი პატივი მიაგეს კაცს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები ჩამოაჭრა და იმდენად აგრესიული პოლიტიკა ჰქონდა საქართველოს მიმართ, ბოლომდე რომ უფლება მიეცათ, მთელ ქვეყანას თურქეთს შეუერთებდა**

**P.S.** **სოფელ კაბალში მე-18 საუკუნეში ექვსი აზერბაიჯანული ოჯახი ჩამოასახლეს, რადგან მწყემსები არ ჰყავდათ და ამ ოჯახებს ასი პროცენტით ქართული სოფლის ნახირი ჩააბარეს. დღეს კაბალი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი სოფელია და... ასი პროცენტით აზერბაიჯანული.**

**ბესო ბარბაქაძე**

პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფსიქოლოგებიც, ფსიქიატრებიც, ამ სფეროს სხვა ექსპერტებიც მიდიან დასკვნამდე, რომ სუიციდის მთავარი მოტივატორი ფინანსური პრობლემებია; რომ მშობლები ვერ და არ უძლებენ იმ ყოფას, რომელშიც თავად არიან და რომელშიც შვილები იმყოფებიან; ვერ უძლებენ ოჯახის ავადმყოფი წევრების ტანჯვის ყურებას მაშინ, როცა წამლის ფული არ აქვთ, მით უმეტეს, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ წამალი საქართველოში ძალიან იაფია. ისე, მათ გასაგონად ვიტყვი: კალციის შემცველი აბები ჩვენთან 70 ლარი ღირს, ევროპაში — ევრო-ნახევარი. და ასეთი პროპორციაა ლამის ყველა წამალზე.**

# 10 თვეში 1518 ადამიანი შეეცადა თვითმკვლელობას. საით მიდის ქვეყანა?

**არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ რაც გააკეთა, იმ პროგრამის ამუშავებაა, რომელმაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ვალები უნდა გაუნულოს. შეგახსენებთ, რომ არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილი ინიციატივით გამოვიდა და განაცხადა, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც ბანკებსა თუ სხვა საფინანსო ორგანიზაციებში 2000 ლარამდე სესხი ჰქონდათ აღებული, ვერ იხდიდნენ და ამის გამო საკრედიტო ისტორიაში „გააშავეს“, „ქართუ ბანკი“ დაეხმარებოდა და კრედიტს დაუფარავდა. პროგრამა მძიმედ, მაგრამ მაინც ამუშავდა და ახლა ადამიანები გაფაციცებით ეძებენ სიებში საკუთარ თავს. ეძებენ იმიტომ, რომ ვიღაცას ასი და ორასი ლარი ექცა ათასებად, ვიღაცას ორი ათასი ექცა რამდენიმე ათეულ ათასად და საბოლოო ჯამში, როგორც ამბობენ, დაანონსებული 600 ათასი ადამიანის ნაცვლად, ეს პროგრამა უფრო მეტს შეეხება.**

რომ ვთქვათ, ცუდია, რასაც ხელისუფლება აკეთებსო, არ იქნება მართებული. თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, ანკესის ნაცვლად, მთავრობა მოსახლეობას ისევ თევზს აძლევს და ეს ფულიც, საბოლოო ჯამში, წყალში გადაყრილი იქნება. იქნება თუნდაც იმიტომ, რომ მეორე მხარეს უკმაყოფილო ადამიანები დგანან, ანუ ისინი, ვინც წელზე ფეხს იდგამდა, კრედიტს პატიოსნად იხდიდა და ახლა საკუთარ თავზე ბრაზდება პატიოსნების გამო. ესეც არ იყოს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ ბანკები ან საფინანსო ორგანიზაციები იმავე ადამიანებს შესაძლებლობას მისცემენ, კვლავ აიღონ კრედიტი, მათი უდიდესი ნაწილი კვლავ შავ სიაში მოხვდება და... საზოგადოდ, ჩვენ ხომ არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ და თვალი არ გვეცეს, 2019-ში თითქოს ვისვენებთ ამ ყველაფრისგან. სხვათა შორის, სოციალურ ქსელში ადამიანები სესხის განულების თაობაზე ამცნობენ მეგობრებს, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ ათასობით ლარი რეალურად ორასლარიან სესხს მოჰყვა. ჰოდა, მოქალაქეს რომ ორასი ლარის გამო ბანკში გააშავებენ და ასეთი ასიათასობით გყავს, საამაყო არაფერია, თუმცა...

ერთ-ერთი, რითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ამაყობს, არის ის, რომ სტატისტიკას არ მალავს. ძალოვანი უწყება არ გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგად არის ქვეყანაში, არც იმას გვეუბნება, საქმეების ას პროცენტს ვხსნითო, გვაძლევს რეალურ სურათს და ამისთვის მადლობა მათ.

შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო პერიოდში საქართველოში სუიციდის შემთხვევებმა იმატა. პრინციპში, ამას მატებაც აღარ ჰქვია, რიცხვი, შეიძლება ითქვას, კატასტროფულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო ათ თვეში სუიციდის მაჩვენებელი 170 პროცენტით გაიზარდა და 1518 შემთხვევა შეადგინა. თუ 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ავიღებთ, რაოდენობა ამ შემთხვევაშიც არ არის მცირე — 562, მაგრამ...

„2018 წლის 1 იანვრიდან, 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ანუ ათი თვის განმავლობაში, სუიციდის 1518 შემთხვევა აღირიცხა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 956 ერთეულით მეტია“, — ასეთია ოფიციალური განცხადება.

**რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ეს 1518 შემთხვევა, ცალ-ცალკე აღებული, უბედურებაა. ოჯახებმა დაკარგეს დედა, მამა, შვილი, ძმა, და, ბებია-ბაბუები და როგორ გგონიათ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?! რამდენ ადამიანს შეეძლო თავი მოეკლა, მაგალითად, სიყვარულის, კონფლიქტის, სიძულვილის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც სიდუხჭირესა და სიღარიბესთან არ არის დაკავშირებული?!** ძალიან, ძალიან ცოტას... და მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები სიცოცხლეს საკუთარი ხელით ისწრაფავენ, სწორედ სიღარიბეა. იმის გამო, რომ ადამიანების ფსიქიკა ვეღარ უძლებს მშიერი შვილების, მშობლებისა თუ ოჯახის ნებისმიერი წევრის ყურებას, თვითმკვლელობამდე მიდის. საუბედუროდ, სოციალიურ ქსელშიც არაერთი ვიდეო ვრცელდება, რომლებშიც არასრულწლოვანი ბავშვები არ ითხოვენ სათამაშოებს და კომპიუტერს, ისინი საკვებს ითხოვენ და ღიად ამბობენ, რომ მათი მთავარი ოცნება დანაყრებაა, მათი მთავარი საზრუნავი საჭმელია და ხმამაღლა ამბობენ, რომ შიათ. გესმის, „ოცნებავ“, ბავშვების ოცნება?! და მერე იწყება საქველმოქმედო აქციები, საკვების, ტანისამოსის, ჰიგიენური საშუალებების შეგროვება და ადგილამდე მიტანა, მაგრამ რად გინდა?! ეს ყველაფერი შეიძლება ერთ-ორ თვეს ეყოს არასრულწლოვანსა და მის ოჯახს. მერე? რა ხდება მერე? როგორც ირკვევა, ხდება ის, რომ ადამიანები სტატისტიკას „ავსებენ“. ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, ათასების — სტატისტიკაო და აგერ, ბატონებო, სუიციდის ამ რაოდენობას უკვე ტრაგედიად არ თუ ვეღარ აღვიქვამთ. ისე შემოვიდა თვითმკვლელობა ჩვენს ქვეცნობიერში, რომ ჩვეულებრივ ამბად ვიღებთ, თითქოს ნერვიულობის უნარიც წაგვერთვა და ვხვდებით, რომ იმ კონკრეტული ადამიანის გარდაცვალებით მის ოჯახს არ ეშველა, უფრო პირიქით — მეტად დაიქცა და გასანადგურებლად გაიწირა.

ყველაზე საგანგაშო ამ სტატისტიკაში არის ის, რომ სუიციდი გაახალგაზრდავდა. **არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა თვითმკვლელობას 12, 13, 14 და 15 წლის ბავშვები სჩადიან, ანუ ისინი, ვისი ფსიქიკაც ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ბავშვები, რომლებსაც გარდატეხის პერიოდი უდგათ და ჰგონიათ, რომ მთელი სამყარო მათი წინააღმდეგია. საუბედუროდ, ამას მშობლები ხშირად ვერ ამჩნევენ** იმ მიზეზით, რომ დილიდან საღამომდე საშოვარზე არიან გადაგებულნი და კარგ შემთხვევაში, ამას საქართველოში ახერხებენ, ცუდ შემთხვევაში — საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, არაერთია შემთხვევა, როცა მშობელი იძულებით ტოვებს სკოლამდელი ასაკის შვილს საქართველოში, თვითონ უცხოეთში მიდის ლუკმაპურის საშოვნელად, შვილის მომავლისთვის. წლების მერე კი ხელში შერჩება გაუცხოებული, მის გარეშე გაზრდილი ბავშვი, რომელსაც თავისი სამყრო აქვს, რომელიც მშობლის გარეშე შექმნა და ამ სამყაროში მშობელი უცხოა. აქედან იწყება გაუცხოება, აქედან იწყება პრობლემები, აქედან იწყება ათასი ჯურის ადამიანების გარემოცვა.



ეს 1518 შემთხვევა, ცალ-ცალკე აღებული, უბედურებაა. ოჯახებმა დაკარგეს დედა, მამა, შვილი, ძმა, და, ბებია-ბაბუები და, როგორ გგონიათ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?! რამდენ ადამიანს შეეძლო თავი მოეკლა, მაგალითად, სიყვარულის, კონფლიქტის, სიძულვილის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც სიდუხჭირესა და სიღარიბესთან არ არის დაკავშირებული?! ძალიან, ძალიან ცოტას... და მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები სიცოცხლეს საკუთარი ხელით ისწრაფავენ, სწორედ სიღარიბეა

სუიციდის რამდენიმე ათეული შემთხვევა გვაქვს, როცა გარდაცვლილი არასრულწლოვანის მშობლები ამბობენ, რომ მათი შვილი კომპიუტერულმა თამაშმა „ლურჯმა ვეშაპმა“ იმსხვერპლა. პრაქტიკულად ყველა შემთხვევაზე შსს-ში გამოძიება დაიწყო და, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, არც ერთ შემთხვევაში არ დადასტურდა. რა ხდება? რომ ვთქვათ, ძალოვნები დაინტერესებულნი არიან ამ საქმის გამოუძიებლობითო, აბსურდი იქნება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაღაც ხდება, რადგან არაერთი მოზარდი საუბრობს არსებულ თამაშზე და, ამ ყველაფრის მიუხედავად, ოფიციალური მტკიცებულება არ არის.

სხვათა შორის, მოზარდებში სუიციდის მომრავლების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ფსიქოლოგები 1990-იანების თაობას მიიჩნევენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათი აზრით, დიდწილად ესეც მნიშვნელოვანია, რადგან, თურმე 1990-იანების თაობა ახლა სწორედ მშობლის ამპლუაშია, მათი ფსიქიკა სწორედ იმ წლების გამო სტრესშია და, შესაბამისად, შვილების პრობლემების შემჩნევა უჭირთ, რადგან ნორმალური ჰგონიათ ის, რაც თვითონ გადაიტანეს და იმ სტრესს გადაურჩნენ.

და მაინც, **ფსიქოლოგებიც, ფსიქიატრებიც, ამ სფეროს სხვა ექსპერტებიც მიდიან დასკვნამდე, რომ სუიციდის მთავარი მოტივატორი ფინანსური პრობლემებია; რომ მშობლები ვერ და არ უძლებენ იმ ყოფას, რომელშიც თავად არიან და რომელშიც შვილები იმყოფებიან; ვერ უძლებენ ოჯახის ავადმყოფი წევრების ტანჯვის ყურებას მაშინ, როცა წამლის ფული არ აქვთ, მით უმეტეს, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ წამალი საქართველოში ძალიან იაფია.** ისე, მათ გასაგონად ვიტყვი: **კალციის შემცველი აბები ჩვენთან 70 ლარი ღირს, ევროპაში — ევრო-ნახევარი.** და ასეთი პროპორციაა ლამის ყველა წამალზე და ერთადერთი, რაც იაფია, ციტრამონია, რომელიც ხანდახან თავის ტკივილსაც არ შველის.

თუ საქართველოში სასწრაფოდ არ შეიცვლება მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა, თუ მოსახლეობას არ გაუჩნდება იმდენი შემოსავალი, რომ მასობრივად არ ისესხოს ფინანსური ორგანიზაციებიდან ასი თუ ორასი ლარი, სტატისტიკა გაისადაც გაუარესდება. ადამიანი ასი ლარის სასესხებლად ბანკს რომ მიაკითხავს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ასი ლარი არა მხოლოდ მას, არამედ მის სამეზობლოსა და სამეგობროსაც არ აქვს. ეს კი კატასტროფაა. კატასტროფაა ზუსტად ისევე, როგორც სტატისტიკა იმისა, რომ საქართველოში დღეში საშუალოდ ხუთი ადამიანი იკლავს თავს. მთავრობის საყურადღებოდ: **სამუშაო ადგილების შექმნით არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკას წაწევთ წინ, არამედ ადამიანებს სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებთ და არ იქნება ამდენი გაუბედურებული ოჯახი.** ფინანსთა მინისტრს თუ ვენდობით, საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი 2025 წლისთვის გვექნება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, გაისად 75 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. განვითარების ეტაპები თურმე ნელ-ნელა წამოგვეწევა და უახლოეს 2-3 წელიწადში რეალურად არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს. შესაბამისად, არ გაგიკვირდეთ, სტატისტიკა თუ მოიმატებს, და არც ის, ამაზე პასუხს რომ არავინ აგებს. ჰო, როგორც წესი, როცა ადამიანები კვდებიან, ვინმემ პასუხი უნდა აგოს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ისტორიას მშრალი სტატისტიკა შემორჩება მხოლოდ.

**ბესო ბარბაქაძე**

## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„რუსთავი 2“ უკვე აღარ გამოდგება „თავისუფალი მედიასაშუალების“ როლის სათამაშოდ. ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში ამ ტელევიზიამ გაიშიფრა თავი და მით უფრო 2012-ის შემდეგ მის გენერალურ დირექტორად ნაცპროკურორ ნიკა გვარამიას დანიშვნამ და მისმა ამაზრზენმა საქციელმა საბოლოოდ დაასამარა ამ ტელეკომპანიის „თავისუფალი“ იმიჯი... სწორედ ამიტომ შეირჩა „TV პირველი“, რომლის ყველა გადაცემის ცქერისას სულ უფრო ღრმავდება ე.წ. გონივრული ეჭვი, რომ ამ ტელევიზიის მესვეურები და ჟურნალისტები ნაციონალებისგან მოსყიდულები არიან.**

**ყველაზე ტრაგიკომიკური აზრები, რომლებსაც საქართველოში ბოლო პერიოდში ვისმენთ, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა ტრაბახი მათ მიერ ჩატარებულ რეფორმაზე პოლიციაში; ასევე, ტელეკომპანია „TV პირველის“ განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი ძალიან მიუკერძოებლები, ობიექტურები და დამოუკიდებლები არიან. ამ ორ ფენომენს, თითქოს არაფერი აქვს საერთო ერთმანეთთან, მაგრამ რეალურად, ორივე ერთი და იმავე სცენარის შემადგენელი მიზანსცენებია, თანაც ორივე ერთნაირად უტიფარი და დემაგოგიური.**

# «TV პირველი» თუ მეორე «რუსთავი 2»?



მოდი, პოლიციით დავიწყოთ. ამ მიმართულებით ნაცები რა უტიფარ დემაგოგიასაც აწარმოებენ, ამას ყველაზე კარგად ასახავს **გრიგოლ ვაშაძის** ფრაზა. **სალომე ზურაბიშვილის** ინაუგურაციის ცერემონიის პარალელურად სოფელ ველისციხესთან გამართული არნახული ნაცპროვოკაციის შესახებ ტელეკომენტარში **თვითაღიარებულმა „პრეზიდენტმა“ ვაშაძემ წარბები გაკვირვებით აზიდა და „შეშფოთებულმა“ წარმოთქვა: „ნუთუ ეს არის პოლიცია?!** ეს ის პოლიციაა, რომელიც ჩვენ, ჩვენმა ხელისუფლებამ, გავაკეთეთ?! თვალებს არ ვუჯერებ! რა არის ეს, როგორ იქცევიან ისინი? პოლიციამ შეგვიზღუდა გადაადგილების უფლება!“

ვაშაძის ასეთი აღშფოთების პასუხად მარტივად შეიძლება ითქვას: **არა, ბატონო „შტაბკვარწირავ“! ეს ნამდვილად არ არის ის პოლიცია, რომელიც თქვენ და თქვენმა ხელისუფლებამ „გააკეთეთ“. ის პოლიცია რომ ყოფილიყო, თქვენ მაგ „აღშფოთებულ“ კომენტარსაც ვერ „გააკეთებდით“, რადგან თქვენცა და თქვენს მომხრეებსაც, სულ ცოტა, სამ ადგილზე — ფეხებზე, ნეკნებსა და ყბებზე მძიმე მოტეხილობები გექნებოდათ, თუკი სულაც სადმე ველისციხის მთავარი მარკეტის სახურავზე არ შემოგდებდნენ „დენდარტყმულებს“!**

მართლაც საოცარი და პარადოქსულია, როდესაც ნაციონალების ლიდერები ოპონენტებთან დებატებისას, ძირითადად, სწორედ პოლიციის რეფორმითა და ძალოვანი სტრუქტურების რეორგანიზაციით იწონებენ თავს. აბა, დაუფიქრდით: **ნაცები ამაყობენ იმით, რამაც, ფაქტობრივად, დაასრულა და მოსპო მათი ხელისუფლება. აკი, სწორედ პოლიციის მიერ ქუჩებში დახვრეტილმა უდანაშაულო ადამიანებმა, პროკურორების მიერ ბიზნესმენებისთვის უკანონოდ ქონების წართმევის ფაქტებმა, ციხეებში ძალოვანების მიერ პატიმართა წამებამ დააკარგვინა ხელისუფლება მიშას და ნაცებს.**

„ქურდული მენტალიტეტი დავამარცხეთო“ — თუკი ამას გაჰყვირი, მაშინ მოქალაქეებს იმ ქურდებზე და ყაჩაღებზე უარეს ძალად არ უნდა დაამახსოვრო თავი? ეს იგივეა, მე შენს სახლსა და ეზო-კარს შემოსეული ვირთხები გავანადგურო და გველები შემოგისიო. ის ქურდები და კრიმინალები მაგიდაზე პირდაღმა „სკოჩით“ დაბმულ მამაკაცებს მაინც არ შეურაცხყოფდნენ.

ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ: **ტრაგიკომიკური პარადოქსია, როდესაც ნაციონალების ლიდერები ტელეეთერში ოპონენტებთან კამათისას „ქურდების დამარცხებასა“ და „პოლიციის რეფორმაზე“ ამაყად საუბრობენ.**

კიდევ ერთი სფერო, რომელმაც ნაცების რეჟიმს ბოლო მოუღო, დამოუკიდებელი მედიაა. მაგრამ მედიისა და თავისუფალი ჟურნალისტიკის მიმართულებით ნაცები ისე ჩასვრილები არიან, ვერც იმ ტიპის დემაგოგიას კადრულობენ, როგორსაც პოლიციის შემთხვევაში. **როდესაც მედიაზე საუბრობენ, ნაციონალების ლიდერები უფრო იქით იხრებიან, რომ 2007-ში „იმედის“ დარბევას „შეცდომა“ უწოდონ და მრავალმნიშვნელოვნად დადუმდნენ.**

სამაგიეროდ, ამ ნიშას დიდი და, ამასთანავე, ძალიან სასაცილო მონდომებით ეპოტინება „TV პირველი“. ფორმულა მარტივია: **რა სჭირდება რევოლუციასა და გადატრიალებას? — ძალოვანების დასუსტება და გავლენიანი მედიასაშუალება, რომელიც ხალხს „დამოუკიდებელ“, „თავისუფალ“ მედიასაშუალებად უნდა წარმოუჩინო.** მართალია, ეს ძველი, „ვარდებისდროინდელი“ მეთოდია, მაგრამ ნაცებისა და პირადად მიშას შეზღუდული აზროვნებით ამ მეთოდმა დღესაც ეფექტიანად უნდა იმუშაოს. მაშ ასე, ძალოვანების დასასუტებლად და საზოგადოების უარყოფითი განწყობის შესაქმნელად **ზაზა სარალიძე** და **მალხაზ მაჩალიკაშვილი** არიან შერჩეულნი, ამას დამატებული პატარ-პატარა პროვოკაციები, დემაგოგიები და ინტრიგანობები. აი, **„რუსთავი 2“ კი უკვე აღარ გამოდგება „თავისუფალი მედიასაშუალების“ როლის სათამაშოდ.** ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში ამ ტელევიზიამ უკვე გაიშიფრა თავი და მით უფრო 2012-ის შემდეგ მის **გენერალურ დირექტორად ნაცპროკურორ ნიკა გვარამიას დანიშვნამ და მისმა ამაზრზენმა საქციელმა საბოლოოდ დაასამარა ამ ტელეკომპანიის „თავისუფალი“ იმიჯი...** სწორედ ამიტომ შეირჩა „TV პირველი“, რომლის **ყველა გადაცემის ცქერისას უფრო ღრმავდება ე.წ. გონივრული ეჭვი, რომ ამ ტელევიზიის მესვეურები და ჟურნალისტები პირდაპირ არიან „ნაციონალებისგან“ მოსყიდულები.**

„ქურდს ქუდი ეწვისო“ — პრინციპმა აქაც იმუშავა და ამ ბოლო პერიოდში ამ ტელევიზიის ჟურნალისტებმა საეჭვოდ ხმამაღლა და ხშირ-ხშირად დაიწყეს ყვირილი: არა ვართ ქურდებიო. ისინი უკვე დღეში ოცჯერ მაინც იმეორებენ და, თავიანთი ჭკუით, არწმუნებენ მაყურებელს, რომ „ნაცების ტელევიზიის“ იარლიყი სულ ტყუილად მიაწება მათ საზოგადოებამ. „ჩვენ ზოგი ნაცების ტელევიზიას გვეძახის, ზოგი — ქოცების ტელევიზიას“, — რამდენიმეჯერ გაიმეორა **ინგა გრიგოლიამ და დიანა ტრაპაიძეც, როგორც სჩვევია ხოლმე, აჰყვა „კუმირის“ ფეხის ხმას და ეს პოზიორული ფრაზა მანაც ატრიალა ეთერში.**

გულით ვთხოვ ყველას: დამისახელეთ ერთი გადაცემა, ერთი სიუჟეტი, ერთი ფრაზა, ერთ სიტყვა მაინც, რომლის გამოც ვინმემ შეიძლება „TV პირველს“ „ქოცების ტელევიზია“ უწოდოს.

ახლა ვინმე მეტყვის, მაშინ პირიქით, ისეთი ფაქტი დაგვისახელე, რომლის გამოც შეიძლება ვინმემ „TV პირველს“ „ნაცების ტელევიზია“ უწოდოსო. კი ბატონო, იოლი სამსახურია!

აგერ მხოლოდ ბოლო ორი დღის მაგალითები:

**ნინო ჟიჟილაშვილსა** და **ვახო სანაიას** ჰყავთ სტუმრად **ემზარ კვიციანი.**

ბატონი ემზარი ამბობს: **„სულხან მოლაშვილმა თავად განაცხადა, რომ მის წამებაში უშუალოდ და პირადად გიგა ბოკერია იღებდა მონაწილეობას“.** მას ფრაზა დასრულებულიც არ ჰქონდა, ორივე წამყვანი ეცა: **„ბატონო ემზარ, ამას დამტკიცება უნდა! როდესაც ასეთ ბრალდებას აყენებთ, მტკიცების გარეშე ეს არ არის სწორი. ჩვენ ვერ ვიტყვით ვერაფერს ადამიანების წამებაზე ან სიცოცხლის მოსპობაზე, თუ არ გაგვაჩნია შესაბამისი მტკიცებულებები...“** — მოკლედ, ადამიანს ლაპარაკის საშუალება არ მისცეს. გრძელდება საუბარი სხვა თემაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ემზარ კვიციანი საუბრობს „ქართული ოცნების“ დადებით და უარყოფით მხარეებზე. ნინო ჟიჟილაშვილი და ვახო სანაია აწყვეტინებენ: **„ბატონო ემზარ, ნუთუ არ გაქვთ მკაცრი პროტესტი მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ მათი მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების აშკარა ძალადობრივი შევიწროების გამო? ნუთუ ამხელა დანაშაულები და ასეთ სიმძიმის ზეწოლა პოლიტიკურად სხვაგვარად მოაზროვნეებზე, რასაც „ქართული ოცნება“ აწარმოებს, არ გიჩენთ პროტესტს? მოგეხსენებათ, მსხვერპლიც კი არის უკვე, მაგალითად, ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ქალბატონი, რომელიც სწორედ პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა...“** *(„TV პირველი“, 14 დეკემბერი).*

ემზარ კვიციანი გაოგნებისგან ხმას რომ ვეღარ იღებდა, ეგ ერთია, მაგრამ მოდი, ჩვენც იგივე ნუ დაგვემართება და **ვკითხოთ სანაია-ჟიჟილაშვილის დუეტს — თქვენ ეგ „ფაქტი“ უკვე გამოკვლეული და დამტკიცებული გაქვთ? ანუ, ის რომ ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის დირექტორ ქალბატონზე მართლაც პოლიტიკური მოტივებით ხორციელდებოდა ზეწოლა, ეს თქვენთვის დამტკიცებულია და ამის მყარი არგუმენტები გაგაჩნიათ? თუ მხოლოდ სულხან მოლაშვილის წამების ფაქტს უნდა დამტკიცება და სხვისას არა? თუკი ის ვერ მტკიცდება, კონკრეტულად ბოკერიამ აწამა თუ არა მოლაშვილი, იგი, საზოგადოდ, ნაწამები ნამდვილად იყო, ეგ მაინც დადგენილი ფაქტია და იმ ქალბატონს კი, საერთოდ, დაემუქრა თუ არა ვინმე და მოახდინა თუ არა ვინმემ რაიმე ზეწოლა, დადგენილი არ არის.** ადამიანს ანევრიზმა გაუსკდა და დაიღუპა. არც არავის არსად დაუბარებია, არც არავის არსად წაუყვანია და არც არავის უთქვამს, — უნდა დაგაპატიმროთო. აი, სანაიამ და ჟიჟილაშვილმა, რომლებიც ასე „ობიექტურად“ ითხოვენ არგუმენტებს სულხან მოლაშვილის შესახებ, უკვე „დაადგინეს“ და „დაამტკიცეს“, რომ ზუგდიდელი სკოლის დირექტორი „პოლიტიკურმა ზეწოლამ“ მოკლა. აქ არავითარი „არგუმენტები“ აღარ არის საჭირო თურმე.

მითხარით, ძნელია დასკვნის გამოტანა, რომ ეს ორი „თავისუფალი ჟურნალისტი“ სწორედ ნაცების დაკვეთას ასრულებს?

კიდევ უკეთესი: „ქართული ჟურნალისტიკის დედა“ ინგა გრიგოლია სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის დღეს აცხადებს: „ჩვენ ახლა ვუსმენდით „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ ირაკლი სესიაშვილს, რომელიც ევროპული ტიპის ინაუგურაციის ცერემონიალზე, ევროპულ არჩევნებზე და ღირებულებებზე გვესაუბრებოდა, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად შეესაბამება ევროპულ ღირებულებებს ის, რასაც ჩვენ პარალელურ კამერაში ვხედავთ!“ **არადა, ამ დროს „პარალელურ კამერაში“ ვხედავთ იმას, რომ 200-ოდე აგრესიული ნაცი თავ-პირს ალეწავდა პოლიციის პიკეტს და პოლიციელები საპასუხოდ ხელკეტებსაც კი არ იყენებდნენ.**

დავიჯეროთ, ინგა გრიგოლიამ არ იცის, რას იზამდა ამ დროს ყველაზე ევროპული პოლიციაც კი?

აი, ეს არის საქმე და ასე იქცევა „TV პირველი“. მათი დავალებაა, სიტუაციის რაც შეიძლება მძაფრად წარმოჩენა; იმის ძახილი, რომ მმართველი ძალა არად დაგიდევთ ევროპულ ღირებულებებს. როდესაც მათ ეთერში საუბრობს ნაციონალი დიდი-დიდი ორჯერ, მოვალეობის მოხდის მიზნით, ფაქიზად, „ვითომ მწვავე“ კითხვებით შეაწყვეტინებენ ხოლმე. ხოლო როდესაც „ქოცების“ წარმომადგენელია ეთერში, ყოველ ნახევარ წუთში აწყვეტინებენ, უამრავ პროვოკაციულ კითხვას უსვამენ და აზრს ბოლომდე არ ასრულებინებენ.

**სასაცილოა «TV პირველის» მიერ მოხმობილი «კვლევა», რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ტელეკომპანია ყველაზე ობიექტური და მიუკერძოებელია. არადა, სწორედ ისაა ყველაზე დიდი ტყუილი, რომ ეს კვლევა გაერომ და ევროკავშირმა ჩაატარა, სინამდვილეში ეს სამი სამარცხვინო ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის შემოქმედებაა. მათ დასკვნაშიც მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ «TV პირველი» «თანაბრად უთმობს დროს ორივე ძირითად პოლიტიკურ ოპონენტს». რაც შეეხება კვლევას იმის შესახებ, ამ «თანაბრად დათმობილ დროში» როგორ იქცევიან ტელეკომპანიის ჟურნალისტები, ვის რა კითხვებს უსვამენ და როგორ ცდილობენ, მაყურებელს შეუქმნან თავიანთი დამკვეთებისთვის სასურველი შთაბეჭდილება, არავის ჩაუტარებია**

ამის შემდეგ **სასაცილოა „TV პირველის“ მიერ მოხმობილი „კვლევა,“ რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ტელეკომპანია ყველაზე ობიექტური და მიუკერძოებელია. არადა, სწორედ ისაა ყველაზე დიდი ტყუილი, რომ ეს კვლევა გაერომ და ევროკავშირმა ჩაატარა, სინამდვილეში ეს სამი სამარცხვინო ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის შემოქმედებაა. მათ დასკვნაშიც მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ „TV პირველი“ „თანაბრად უთმობს დროს ორივე ძირითად პოლიტიკურ ოპონენტს“. რაც შეეხება კვლევას იმის შესახებ, ამ „თანაბრად დათმობილ დროში“ როგორ იქცევიან ტელეკომპანიის ჟურნალისტები, ვის რა კითხვებს უსვამენ და როგორ ცდილობენ, მაყურებელს შეუქმნან თავიანთი დამკვეთებისთვის სასურველი შთაბეჭდილება, არავის ჩაუტარებია.**

ყველაზე კარგი და ობიექტური მკვლევარი კი ნეიტრალური მაყურებელია, რომელმაც სამართლიანად და დამსახურებულად მიანიჭა „TV პირველს“ „რუსთავი 2“-ის ფილიალის სტატუსი.

„მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩისა და დანაწევრების გლობალური გეგმა, რომელიც, საიდან და ვის მიერაა მართული, ყველამ ვიცით, ახალ ეტაპზე გადავიდა. დღეს, ფაქტობრივად, ყველა წინაპირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მსოფლიო საპატრიარქოს მიერ წლების წინათ დაწყებული პროცესი, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, ფეხქვეშ თელავს კანონიკურ ნორმებს, ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს“.

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიო პატრიარქმა საეკლესიო დამოუკიდებლობის მომლოდინე უკრაინა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა

**მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსის მიერ დასავლეთის „ლიბერალური“ ძალების კარნახითა და მითითებით წლების წინათ დაწყებულმა რელიგიურმა დესტრუქციამ, რომელიც თითქოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენისკენ (იგულისხმება უკრაინის ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება), სინამდვილეში კი სრულიად მართლმადიდებელ საქრისტიანოში დიდი რღვევისა და განხეთქილებისკენ იყო მიმართული, კულმინაციას მიაღწია.**



მამა გიორგი (რაზმაძე):

## ბართლომეოსმა ხელში ჩაიგდო უკრაინა და ამიერიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი შემოსავალი პირდაპირ მის ბიუჯეტში წავა

15 დეკემბერს კიევში, წმინდა სოფიას ტაძარში ჩატარებულმა „გამაერთიანებელმა კრებამ“ უკრაინის „ერთიანი საეკლესიო სხეულის“ შექმნა ზარ-ზეიმით გამოაცხადა, ახალი მართვა-გამგეობის წესდებაც დაამტკიცა და პირველი იერარქიც აირჩია. მოკლედ, კრება, რომელსაც ბართოლომეოსის სპეციალური წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა, საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა. უკრაინა — სულიერ, მისი ხელმძღვანელობა კი, როგორც კრების შემდეგ პოროშენკომ განაცხადა, პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფრო მაღალ ხარისხს ეზიარა.

რაც შეეხება ბართოლომეოსის მიერ ხელდასხმულ წინამძღოლს, „კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი“ — ასე განესაზღვრა ტიტული ახალი „ავტოკეფალიური“ ეკლესიის საჭეთმპყრობელს, რომლის პატივიც ფილარეტის ფავორიტ ახალგაზრდა მღვდელმთავარს, პერეიასლავსკისა და ბელოცერკოვსკის 39 წლის მიტროპოლიტ **ეპიფანეს** ერგო. უკრაინული მედიის ცნობით, 6 იანვარს სწორედ ის უნდა გამეგზავროს სტამბოლში, სადაც მსოფლიო პატრიარქი მას ავტოკეფალიის ტომოსს გადასცემს, თუმცა, სანამ ეს პროცესი შედგება, რუსეთის საპატრიარქო დროს უქმად არ კარგავს და სრულიად მართლმადიდებელ სამყაროს უკვე ოფიციალური განცხადებით მოუწოდებს კანონიკური ნორმების შესაბამისად სწორი და სამართლიანი პოზიციის გარშემო გაერთიანებისკენ...

როგორ შეიძლება მომავალში განვითარდეს მოვლენები უკრაინის ეკლესიისთვის ტომოსის გადაცემის კვალდაკვალ და რა პოზიციას დაიკავებს საბოლოოდ საქართველოს საპატრიარქო, რომელიც ჯერჯერობით დუმს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, მიუხედავად რიგი წინააღმდეგობებისა, მსოფლიო პატრიარქი თვითნებურ მოქმედებებს განაგრძობს. 15 დეკემბერს კიევში ჩატარებულმა „გამაერთიანებელმა კრებამ“ პირველი იერარქიც აირჩია და ახალი მართვა-გამგეობის წესდებაც დაამტკიცა. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, პირველ რიგში, რუსეთის ეკლესიისთვის და შემდეგ სრულიად მართლმადიდებელი სამყაროსთვის?**

— მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩისა და დანაწევრების გლობალური გეგმა, რომელიც, საიდან და ვის მიერაა მართული, ყველამ ვიცით, ახალ ეტაპზე გადავიდა. დღეს, ფაქტობრივად, ყველა წინაპირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მსოფლიო საპატრიარქოს მიერ წლების წინათ დაწყებული პროცესი, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, ფეხქვეშ თელავს კანონიკურ ნორმებს, ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო აქ ახლა, ალბათ, სხვა რამაა. მოგეხსენებათ, უკრაინელი ხალხი და საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რუსეთის საპატრიარქოსგან გამოყოფას ემხრობოდა, რეალურად საეკლესიო დამოუკიდებლობას ითხოვდა. არადა, მათ მიიღეს ახალგაზრდა „საჭეთმპყობელი“, რომელსაც პატრიარქის ტიტული კი არ აქვს, არამედ მიტროპოლიტის. იცით, ეს რას ნიშნავს? მე ვფიქრობ, რომ ამით დამთავრდა ყველაფერი უკრაინის ეკლესიის ტომოსის თაობაზე. საერთოდ, ეს პროცესები თავიდანვე იყო ფარსი, ვინაიდან დღეს მსოფლიო პატრიარქის ინტერესში არ შედის ვინმესთვის დამოუკიდებლობის მინიჭება. ამით ბართლომეოსმა ხელში ჩაიგდო უკრაინა და ამიერიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი შემოსავალი პირდაპირ მის ბიუჯეტში წავა. აი, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ამ ყველაფრის და არავითარი ავტოკეფალიის ტომოსი უკრაინას რეალურად არ მიუღია...

**— გინდათ, თქვათ, რომ უკრაინის მოსახლეობა 15 დეკემბრის კრების შედეგებით უკმაყოფილოა?**

— კიდევ ვიმეორებ: **უკრაინელი საზოგადოება ითხოვდა საეკლესიო დამოუკიდებლობას, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ავტოკეფალია, ჰყავდეს პატრიარქი და დამოუკიდებელი საპატრიარქო. ამის ნაცვლად მათ მიიღეს მსოფლიო პატრიარქის მიერ მართული მიტროპოლიტი.** რას ნიშნავს ეს? ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ჩახედულია საკითხში და იცის, რეალურად რა გადაწყვეტილება იქნა კრებაზე მიღებული, კმაყოფილი ვერ იქნება. რა თქმა უნდა, უკრაინელი ხალხი უკმაყოფილოა დღეს და ეს უკვალოდ არ ჩაივლის.

რაც შეეხება ფილარეტს, ბევრისთვის შეიძლება, მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ მასზე არ შეჩერდა აჩევანი და ეპიფანეს მიანიჭეს უპირატესობა, მაგრამ ლოგიკურად თუ შევხედავთ ამ ყველაფერს, ეს არ არის გასაკვირი. ფილარეტი თავიდანვე დაიმონა ბართოლომეოსმა და მას, ფაქტობრივად, პირდაპირ უთხრეს: თუ გინდა, ძალაუფლება შეგინარჩუნდეს ეპისკოპოსის ხარისხში, უნდა დაგვემორჩილოო. აი, ამის შემდეგ გახადეს ცრუპატრიარქის მანტია და, როგორც ჩვეულებრივი ეპისკოპოსი, ისე მიიყვანეს კრებაზე, თუმცა **ეს კრება, კიდევ ვიმეორებ, აღმოჩნდა ცივი წყლის გადასხმა სრულიად უკრაინისთვის, რადგან ყველა ელოდა პატრიარქის დანიშვნას და დანიშნეს მიტროპოლიტი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება მსოფლიო პატრიარქს.** ეს არის ყველაზე ნათელი გამჟღავნება იმ ზრახვებისა, რომლებიც რეალურად აქვს ბართოლომეოსს. მხედველობაში მაქვს ფინანსური ინტერესები, რომ უკრაინული ეკლესიების ფული შევიდეს მის ბიუჯეტში. ეს მოხდა, სხვა არაფერი.

**— პოლიტიკურ ინტერესებზე რას იტყვით?**

— პოლიტიკური ინტერესები ამ პროცესების მეორე ნაწილია. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ **მსოფლიო საპატრიარქო იმართებოდა და დღესაც იმართება ორი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის — სპეცსამსახურების მიერ.** სხვათა შორის, ის, რომ ფილარეტს ანათემის მოხსნის შემდეგ აღუდგინეს საეკლესიო ხარისხი, სჯულის კანონის უხეში დარღვევაა და ესეც იმ სპეცსამსახურების გავლენის შედეგია. საერთოდ, როცა სქიზმაში გადის ადამიანი და მერე ისევ ეკლესიის წიაღში ბრუნდება, ის საეკლესიო ხარისხით აღარ ბრუნდება, ბრუნდება, როგორც ჩვეულებრივი საერო პირი, რისი არაერთი მაგალითიც არსებობს.

აქვე მინდა მკითხველს გავახსენო ჩვენი ზოგიერთი სასულიერო პირის, მათ შორის, მაღალი იერარქების პოზიციაც, რომ თურმე ბართოლომეოსს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა სურს. ამ კრებამ ხომ ნათლად დაგვანახვა, რეალურად რაც უნდა?! რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი?! ვინმეს სჯერა, რომ დღეს უკრაინის ეკლესია უფრო თავისუფალია, ვიდრე მანამდე იყო?! თუმცა ეს არ არის ყველაფერი, თუ რამე იქნება კიდევ გასაკეთებელი, **ბართოლომეოსი ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე, ალბათ, უარესს გააკეთებს...**

**— ბევრს ეგონა, რომ უკრაინას დამოუკიდებელი პატრიარქი ეყოლებოდა და ის აუცილებლად ფილარეტი იქნებოდა. ვერც პირველი აუხდათ და ვერც მეორე. როგორ ფიქრობთ, რატომ თქვეს უარი ფილარეტის კანდიდატურაზე?**

— ძალიან მარტივი მიზეზის გამო. ფილარეტს, თავისი წარსულიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, უფრო მეტი ამბიცია ჰქონდა. შესაბამისად, ბართოლომეოსმა და მისმა გარემოცვამ იცის, რომ ის გაცილებით რთული დასამორჩილებელი შეიძლება შეიქნეს, ვიდრე 39 წლის მიტროპოლიტი, რომელსაც სხვა გზა არც აქვს, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს. ფილარეტი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და ჭკვიანები ბართოლომეოსს არ სჭირდება. ესეც არის თუნდაც ერთ-ერთი მიმანიშნებელი იმის, რომ არანაირი დამოუკიდებლობის მინიჭება მას უკრაინის ეკლესიისთვის არ სურდა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია: **ბართოლომეოსმა საეკლესიო დამოუკიდებლობის მომლოდინე უკრაინელი ხალხი იმედგაცრუებული დატოვა...**

**— კრებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსეთის საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა და მართლმადიდებელ სამყაროს სწორი პოზიციის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, ყველამ და, მათ შორის, საქართველოს საპატრიარქომაც კონკრეტული ნაბიჯებისგან თავი შეიკავა. როგორ ფიქრობთ, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს მდგომარეობა და მოუწევს თუ არა ჩვენს ეკლესიას, ადრე თუ გვიან პოზიციის გამოხატვა?**

— ცხადია, ადრე თუ გვიან ყველა ეკლესიას მოუწევს ამაზე ხმის ამოღება და ეს მოხდება თვით მსოფლიო პატრიარქის მოთხოვნით. აი მაშინ გამოჩნდება, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ საბოლოოდ საღი აზრი გაიმარჯვებს...

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— მართალია, დღეს ეკლესიის წიაღში ბევრია არაჯანსაღი ძალა, მათ შორის ეპისკოპოსების სახითაც, მაგრამ, როცა გადამწყვეტი მომენტი დგებოდა, მაინც საღი აზრი იმარჯვებდა. ასე იყო თავის დროზე, როცა მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობის საკითხი იდგა და ასე იყო სხვა პრინციპულ მომენტებშიც, თუმცა, რა თქმა უნდა, საფრთხე ძალიან დიდია და მთავარ საფრთხეს ვხედავ განხეთქილებაში.

**— საქართველოს ეკლესიის წიაღში თუ მთლიანად მართლმადიდებელ სამყაროში?**

— ეს საფრთხე სრულიად მართლმადიდებელ სამყაროში არსებობს, მაგრამ ჩვენთვის მთავარი, რა თქმა უნდა, საქართველოა. ის ფაქტი, რომ თუნდაც 15 დეკემბრის კრება კიევში აღმოჩნდა დიდი იმედგაცრუება უკრაინელების იმ ნაწილისთვის, რომელიც საეკლესიო დამოუკიდებლობას ელოდა, მაძლევს იმედს, რომ საზოგადოებრიობა, როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში და არა მხოლოდ ამ ქვეყნებში, გამოფხიზლდება. იმედია, ამის შემდეგ მაინც არ ექნება ხალხს გულუბრყვილო იმედი, რომ ვიღაცას მისი თავისუფლება თუ დამოუკიდებლობა ადარდებს და ამიტომაა ასე დაპირისპირებული რუსეთთან. არავინ არავის გამო თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს. კიდევ ვიმეორებ: **უკრაინის ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა არის მეათეხარისხოვანი, მთავარი ინტერესი, რაც არსებობს, არის ფინანსური და პოლიტიკური სარგებელი...**

**— კრების შემდეგ პეტრე პოროშენკომ განაცხადა, რომ უკრაინა სულიერ თავისუფლებას ეზიარა. ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს: დღეს უფრო დამოუკიდებელია უკრაინის ეკლესია თუნდაც ფურცელზე თუ რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში როცა იყო?**

— ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის ხარისხი შემცირდა, ანუ ადრე, მაგალითად, შეეძლოთ, დამოუკიდებლად მოეხდინათ წმინდანების კანონიზაცია, ასევე დამოუკიდებლად შეეძლოთ გარკვეული შიდასაეკლესიო გადაწყვეტილებების მიღება... ახლა ეს ყველაფერი უნდა შეათანხმონ კონსტანტინოპოლთან. რაც შეეხება პოროშენკოს განცხადებას, ვფიქრობ, ეს არის ერთგვარი თავის მართლება იმ იმედგაცრუების გამო, რომელიც მათ საზოგადოებას განაცდევინეს, მაგრამ ახლა მსგავსი განცხადებები საქმეს ვერ უშველის. ყოველ შემთხვევაში იქ უკვე დაიწყო ხალხმა ლაპარაკი იმაზე, რომ სულ სხვა რამეს ელოდნენ და სხვა მიიღეს. ასე რომ, პოროშენკოს ტყუილებს ძალიან მალე მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება მოჰყვება და ამის შედეგებს მისი ხელისუფლებაც და საერთოდ, ყველა ნახავს...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

## «ბართოლომეოსი ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე, ალბათ, უარესს გააკეთებს»

თვალსაზრისი

**„რა არის ჩვენი მოცემულობა? ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიუხედავად დაპირებებისა, თითქოს ღია კარის პოლიტიკისა ალიანსის მხრიდან, მას ვერც ერთი ნაბიჯით ვერ მივუახლოვდით. პირიქით, რაც უფრო ხშირად გვესმის დამაიმედებელი ფრაზები მაპზე ან „კიდევ უფრო უკეთესზე“, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ არანაირი პერსპექტივა ამ მიმართულებით არ არსებობს“.**



# გურამ ნიკოლაიშვილი: ეს კონსტიტუცია ორიენტირებულია დამარცხებაზე

**„ნაც-ქოცური“ პოლიტიკური ვაი-ვიშისა და გაწევ-გამოწევის ფონზე დიდი ზარ-ზეიმით არჩეულმა რიგით მეხუთე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პირველი, რაც არჩევნების შემდეგ გააკეთა (თუ გააკეთებინეს), იყო ის, რომ „დემოკრატიულ“ დასავლეთს კოჭი გაუგორა და ინაუგურაციამდე ოთხი დღით ადრე თბილისში უთენია ჩამოსულ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაის ეახლა.**

**პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა, პირველმა პირმა ალიანსის ქორს უპატაკა, რომ საქართველო აღებული კურსის ერთგული რჩება და საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებში არანაირი კორექტივები არ იქნება...შეხვედრის შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, მედიისთვის კომენტარებიც გაკეთდა, რა თქმა უნდა, სტანდარტული ფრაზებით და უკვე ყველასთვის ნაცნობი გზავნილებით, — „მეტი ნატო საქართველოში“ (ან გნებავთ, პირიქით). მოკლედ, მოლოდინი, რომ ახალი პრეზიდენტი პოლიტიკაში ახალ სუნთქვას შემოიტანდა და ქვეყანა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ვექტორში არ იქნებოდა ჩაციკლული, ამაო გამოდგა. გაირკვა, რომ ცვლილება, რომელზედაც ბევრი რატომღაც დიდ იმედებს ამყარებდა, ამჯერადაც კოსმეტიკურია და რეალურად ამ ცვლილების მიღმა „ჯამი არ იცვლება“... რას შეცვლის რეალურად ახალი პრეზიდენტი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და რა ნაბიჯებს შეიძლება მისგან ველოდოთ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, წინასაარჩევნო პერიოდში იყო მოლოდინი, რომ, თუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი გახდებოდა, მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იქნებოდა. თუმცა დღეს ირკვევა, რომ ის ჯერ ბრიუსელში მიდის ნატოსა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან შესახვედრად. რეალურად რა შეიცვალა ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებით?**

— ჯერ მოდი, დავიწყოთ იმით, რომ ახალი კონსტიტუციით პირველი პირის უფლებები კიდევ უფრო შეზღუდულია, რაც ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, ხელ-ფეხი აქვს შეკრული. გამომდინარე აქედან, საკითხავია, რამდენად სერიოზულად შეიძლება მივიღოთ მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ გამოიყენებს თავის გამოცდილებას, დაიცავს უსაფრთხოებას და ა.შ. ახლა საგარეო პოლიტიკა ავიღოთ, ყველას აინტერესებს, იქნება თუ არა ცვლილებები. საერთოდ, ჩვენ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცალკე აღებული რომელიმე სახელისუფლო შტო რამე მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ განახორციელებს. ეს უნდა ხდებოდეს კომპლექსურად. აქ იგულისხმება პარლამენტიც, მთავრობაც, პრემიერიც, როგორც მთავრობის მეთაური და ა.შ. ასე რომ, ცალკე აღებული, ვერც საკანონმდებლო ხელისუფლება, ვერც აღმასრულებელი და მით უმეტეს პრეზიდენტი ასეთი შეზღუდული უფლებებით რამე სერიოზული პოლიტიკური გარღვევების განმახორციელებელ სუბიექტად არ უნდა იყოს აღქმული. რაც შეეხება აპატურაის ვიზიტს, 25 წელია, ამ ადამიანს ვიცნობ და ვიცი, რას ნიშნავს მისი ესა თუ ის განცხადება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ის ვერაფერს ცვლის. უბრალოდ ჩვენ გვესმის საშინაო მოხმარებისთვის გაკეთებული განცხადებები, რომ ნატოს კარი ღიაა, მეტი ნატო საქართველოში, პარტნიორობა და უსაფრთხოება... რეალური დასკვნების გამოტანა კი ყოველთვის მოცემულობითაა შესაძლებელი. **რა არის ჩვენი მოცემულობა? ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიუხედავად დაპირებებისა, თითქოს ღია კარის პოლიტიკისა ალიანსის მხრიდან, მას ვერც ერთი ნაბიჯით ვერ მივუახლოვდით. პირიქით, რაც უფრო ხშირად გვესმის დამაიმედებელი ფრაზები მაპზე ან „კიდევ უფრო უკეთესზე“, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ არანაირი პერსპექტივა ამ მიმართულებით არ არსებობს.**

**— პრეზიდენტს დავუბრუნდეთ, თუ ახალი კონსტიტუციის პირობებში მას არაფერი შეუძლია, როგორ ფიქრობთ, რატომ იყო მოლოდინი, რომ იგი რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების კუთხით სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამდა?**

— ვერ გეტყვით, ეს, ალბათ, დიდწილად განპირობებული იყო მისი პოლიტიკური ოპონენტების მიერ წარმოებული ცრუ კამპანიით, რომ თურმე ის რუსეთის კანდიდატია. თუმცა თვითონ წნასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ზურაბიშვილის შტაბმა თუ პიარმა უფრო მეტი აგინა და ლანძღა რუსეთის ხელმძღვანელობა, ვიდრე „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ასეა თუ ისე, **ვერც არჩევნებამდე და ვერც შემდეგ ვერავინ დაამტკიცა რეალური არგუმენტებით, რომ სალომე ზურაბიშვილს რამე აკავშირებს რუსეთთან. ეს სავსებით ლოგიკურიცაა, მას რომ სინამდვილეში პრორუსული განწყობები ჰქონოდა, ივანიშვილი ვერც გაბედავდა მის მხარდაჭერას და მეორეც, დასავლეთი, რომელიც გამადიდებელი შუშით აკვირდება აქ თითოეულ პოლიტიკურ სუბიექტს, როგორ ფიქრობთ, დაუშვებდა, რომ არჩევნები პრორუსულ ძალას მოეგო?!**

აქვე მინდა, მოკლედ ვთქვა ინაუგურაციის დღეზეც. **ახალმა პრეზიდენტმა ფიცის დადებისას განაცხადა, რომ დაიცავს უსაფრთხოებას, მშვიდობას, სტაბილურობას და ა.შ. არადა, ახალი კონსტიტუციით მას არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უფლება და როგორ დაიცავს?!**

ეს ერთი, მეორე — იმავე კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის „დ“ პუნქტში წერია, რომ დაცული უნდა იყოს ზღვა, მიწა, საჰაერო სივრცე... რითი დაიცავენ, როცა შესაბამისი ძალები არ არსებობს?! აი, ეს არ მისცემს პირველ პირს იმის საშუალებას, რომ საგარეო ვექტორი განსაზღვროს. ასე რომ, ზედმეტი მოლოდინები და ილუზიები არ უნდა გვქონდეს. **ის იქნება ჩვეულებრივი უუფლებო პრეზიდენტი, რომელიც ჩვენს ხარჯზე, ბიუჯეტის ფულით ივლის ევროპაში, ამერიკასა და სხვაგან, მაგრამ ვერაფერს შეცვლის.**

**— გამოდის, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი სრული ფორმალობაა, თუმცა გაპრეზიდენტების შემდეგ მარგველაშვილმაც კი სცადა ბრჭყალის გამოჩენა...**

— არ ვიცი, ზურაბიშვილს რა პოლიტიკური ამბიციები აღმოაჩნდება ხვალ-ზეგ, მაგრამ კონსტიტუციაში შეუსაბამობები რომ არის, ფაქტია. მაგალითად, საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სამხედრო საბჭო და მერე იწყებს ის ჯარების მართვას, მანამდე ვინ მართავს?! ვინ ნიშნავს სარდლებს, ხელმძღვანელობას და ა.შ.? ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ბევრი რამ ამ კონსტიტუციაში ძალიან კარგია, მაგრამ სამხედრო კომპონენტს რაც შეეხება, არეულია. ამიტომ ვამბობ, რომ **ეს კონსტიტუცია ორიენტირებულია დამარცხებაზე. ამ კონსტიტუციით მართვის ორგანო, რომელმაც უნდა მართოს შეიარაღებული ძალები, არ არსებობს.**

> **ვერ ხედავთ, პრეზიდენტს ფიცი არ აქვს დადებული და უკვე ნატოს წარმომადგენელი ჩამოვიდა. შეხვედრის შემდეგ კიდევ ის კაცი გამოდის და ისე ლაპარაკობს, გეგონება, თავისი რომელიმე ხელქვეითი მიიღო**

**— შეუსაბამობა კონსტიტუციის სამხედრო ნაწილში რით არის განპირობებული? იმით, რომ კვალიფიციური კადრები არ ჰყავთ თუ მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია ეს ყველაფერი?**

— **სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ დღეს თავდაცვის სამინისტროში, ფაქტობრივად, არც ერთი კადრი სრული განათლებით არ ჰყავთ, არც გენერალი, არც ოფიცერი... ვინც ჰყავდათ, გაყარეს. ასე მოიქცა იზორია, მანამდე — ჯანელიძეც, კიდევ უფრო ადრე — ალასანია... ოქრუაშვილმა კიდევ როგორ თქვა, ხომ გახსოვთ, ყველაზე კარგი და მნიშვნელოვანი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ყველა ძველი კადრი — ოფიცრები და გენერლები გავუშვიო.** ანუ ის კი არ მოხდა, რომ რომელიმე კონკრეტული კადრი გაეშვათ, არა, ყველა გაათავისუფლეს, იმიტომ, რომ ძველი სამხედრო განათლება თურმე არ ვარგა. არადა, ვინ მიიყვანეს უკეთესი?! აი, ამათ ხელშია თავდაცვის სისტემა და რომელ უსაფრთხოებაზე საუბრობენ?! სხვათა შორის, აფხაზეთში რომ ომი დაიწყო, 1121 გენერალი და ოფიცერი ჩავიდა. ახლა ვინმე მეტყვის, რომ ოქრუაშვილი უფრო დიდი პატრიოტია იმ ხალხზე?! კიდევ ვიმეორებ: **დღეს თავდაცვის უწყებაში არც ერთი კადრი სრული სამხედრო განათლებით არ არის. მათ შორის არც გენერალური შტაბის უფროს ჩაჩიბაიას აქვს სრულყოფილი სამხედრო განათლება.** რაც შეეხება ისევ პრეზიდენტს და იმ მოლოდინებს, რომ მან შეიძლება ოფიციალურ მოსკოვთან პირდაპირ დიალოგზე დაიწყოს საუბარი, ზურაბიშვილმა უკვე გასაგებად თქვა, რომ რუსეთთან ერთი-ერთზე მოლაპარაკებები არ შეიძლება. მორჩა! ეს ნიშნავს, რომ, თუ კრემლის მესვეური კიდევ გააკეთებს განცხადებას და გამოთქვამს მზადყოფნას საქართველოს პირველ პირთან შეხვედრისთვის, აქედან პასუხი იქნება იგივე, რაც წლების წინათ მარგველაშვილმა განაცხადა, ჯერ დასავლელ პარტნიორებს დავეკითხებითო. საერთოდ, ჩვენ თავიდანვე არ უნდა გვქონოდა მოლოდინი, რომ პრეზიდენტი რამეს ძირეულად შეცვლიდა. ვერ შეცვლის. მით უფრო, რომ **საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დამოუკიდებლობის ხარისხი დღეს ძალიან დაბალია და ყველაზე უმნიშვნელო საკითხებსაც კი გარედან გვიწყვეტენ.** ვერ ხედავთ, პრეზიდენტს ფიცი არ აქვს დადებული და უკვე ნატოს წარმომადგენელი ჩამოვიდა. შეხვედრის შემდეგ კიდევ ის კაცი გამოდის და ისე ლაპარაკობს, გეგონება, თავისი რომელიმე ხელქვეითი მიიღო. ეს არ დასრულდება, სანამ ამ პოლიტიკურ რეალობაში ვიქნებით.

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

# გამოქვეყნებული სტატიის კვალდაკვალ



**ჩვენს გაზეთში („საქართველო და მსოფლიო“ №42, 2018წ.) დაბეჭდილი სტატიის შემდეგ, რომელიც სპორტის ფედერაციების დაფინანსებასა და ნაჩვენებ შედეგებს შეეხებოდა, საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცეპრეზიდენტი ვასიკო ბერიშვილი დაგვიკავშირდა.**

ბატონმა ვასიკომ გვითხრა, რომ გაზეთში მოყვანილი ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება და ფედერაციას, ჩვენ მიერ დაწერილი 1.3 მილიონი ლარის ნაცვლად, ნახევარმილიონიანი დაფინანსება აქვს. რაც შეეხება შედეგებს, მან მძლეოსან სპორტსმენთა მიერ სხვადასხვა წელს ნაჩვენები შედეგები გამოაქვეყნა. დაფინანსებას რაც შეეხება, მართალია ის, რომ ფედერაციას წლიურად მხოლოდ 500 ათასი აქვს, მაგრამ... სპორტის სამინისტროს მიერ ჩვენთვის გადმოგზავნილ დოკუმენტში მითითებულია სწორედ მილიონ სამასი ათასი ლარი და შესაბამისად, რატომ არ იღებს მძლეოსნობის ფედერაცია იმ ოდენობის თანხას, რომელიც სპორტის სამინისტროს აქვს გაწერილი, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვენდეთ სპორტის სამინისტროს ოფი-


გვჭირდება თუ არა 63 ფედერაცია სპორტში და რისთვის იხარჯება მათთვის გამოყოფილი ფული

ციალურ მონაცემებს და დანარჩენი უკვე თვითონ უნდა გაარკვიონ. ჩვენ ჯიუტად ვამტკიცებთ, რომ ოფიციალურ წერილში სპორტის სამინისტრომ სწორედ ჩვენ მიერ დასახელებული ციფრები მოგვაწოდა. რაც შეეხება შედეგებს:

* 2015 წელს 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე სიგრძეზე ხტომაში **ბაჩანა ხორავამ** მესამე ადგილი დაიკავა, მეოთხე ადგილი აიღო **ლაშა ღულელაურმა**, ხოლო **დავით ხარაზიშვილმა** მოიპოვა რიოს 2016 წლის ოლიმპიადის ლიცენზია მარათონულ რბენაში;

* ბაქოში გამართულ ევროპის პირველ თამაშებზე **ვალენტინა ლიაშენკომ** სიმაღლეზე ხტომაში მეორე ადგილი აიღო, **ნიკა კარტავცევმა** კი შუბის ტყორცნაში მოიპოვა მეორე ადგილი;

* 2016 წელს, ევროპის მცირე ქვეყნების ჩემპიონატზე, რომელიც მალტაში გაიმართა, **ბაჩანა ხორავამ** სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა. 2017 წელს ქართული გუნდი გადავიდა მეორე ლიგაში;

* მიმდინარე წელს ნაჩვენები შედეგები ასეთია: ევროპის მცირე ქვეყნების ჩემპიონატზე **გიორგი მუჯარიძემ** ბირთვის კვრაში პირველი ადგილი აიღო, **ბაჩანა ხორავამ** ას მეტრზე რბენაში — მესამე ადგილი, ხოლო **სოფიო შათირიშვილმა** ბირთვის კვრაში იმავე ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა.

**ბესო ბარბაქაძე**

„ნაციონალები ამ ეტაპზე საპროტესტო აქციების ტალღას ვერ ააგორებენ, მაგრამ შესაძლოა, გაზაფხულზე რიტორიკაც შეცვალონ, მეთოდებიც და მართლაც დაიწყონ არეულობა. ხელისუფლებამ ეს ორი-სამი თვე სათავისოდ უნდა გამოიყენოს და რადიკალური ქმედებები დაანახვოს მოსახლეობას“.

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცდილობს თუ არა «ნაციონალური მოძრაობა» ფრანგი «ყვითელი ჟილეტების» მიბაძვას? სურს თუ არა, დაიკავოს ხალხისთვის მებრძოლი პარტიის ნიშა?

**ბოლო ორი თვეა, საქართველოს მოსახლეობა გამუდმებით უყურებს „ნაციონალური მოძრაობის“ დესტრუქციულ ქმედებებს, რომლებმაც პიკს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს მიაღწია. ცდილობს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ ფრანგი „ყვითელი ჟილეტების“ მიბაძვას? სურს თუ არა, დაიკავოს ხალხის გადამრჩენი, ხალხისთვის მებრძოლი პარტიის ნიშა? არის თუ არა მათ გეგმაში ევროპაში გავრცელებული საპროტესტო მუხტის საქართველოში გადმოტანა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე საზოგადოებისთვის ცნობილი ექსპერტები გვესაუბრებიან.**



## „ნაციონალები მიბმულები არიან დასავლეთის გარკვეულ ძალებთან, მაგალითად, მათ მფარველობს ევროპის სახალხო პარტია, მაგრამ არა მგონია, შეძლონ საქართველოში რევოლუციური ტალღის აგორება“

**მამუკა არეშიძე, კავკასიის საკითხების ექსპერტი:**

— საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური ტალღა სოციალურ პრობლემებზეა დაფუძნებული. „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნები პოლიტიკურია, ამიტომ კავშირს საფრანგეთში დაწყებულ მოძრაობასა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს შორის ვერ ვხედავ.
ნაციონალებს სურთ პოლიტიკური ვითარების არევა, მაგრამ მათ საზოგადოება ზურგს არ უმაგრებს.

**— შესაძლოა, მათ ზურგს დასავლეთიდან უმაგრებენ და ცდილობენ, რევოლუციის მოწყობაში შეუწყონ ხელი...**

— ყველასთვის ცნობილია, რომ ნაციონალები მიბმულნი არიან დასავლეთის გარკვეულ ძალებთან, მაგალითად, მათ მფარველობს ევროპის სახალხო პარტია, თუმცა არა მგონია, შეძლონ საქართველოში რევოლუციური ტალღის აგორება.

**— ზოგიერთი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ არჩევნების მეორე ტურში ნაციონალებს 800 ათასი ხმა არ მიუღიათ და ეს ციფრი საარჩევნო მანიპულაციების შედეგია. ეს ეჭვი იმიტომ გაჩნდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ საპროტესტო აქციებზე ხალხი ვერ გამოჰყავს...**

— თუკი შესაძლებელია ვისაუბროთ საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მაშინ ვიტყვი, რომ ეს ტექნოლოგიები გამოყენებულია ნაციონალების სასარგებლოდ. ამ უკანასკნელმა ამომრჩეველი მოისყიდა. მაგალითად გეტყვით: **გარდაბნის რაიონში, გაჩიანში, ნაციონალებმა ფული დაარიგეს, მაგრამ მერე „ქართული ოცნება“ დაადანაშაულეს. საერთოდ, ამ არჩევნებში ბევრი ბინძური მეთოდი გამოიყენა ორივე პარტიამ.**

ხელისუფლება ვალდებულია, უფრო ღრმად გააანალიზოს ნაციონალების დანაშაულები და მიიღოს შესაბამისი ზომები. არ შეიძლება მათ ეპატიოთ ბოლო დროს ჩადენილი დანაშაულები. ნაციონალები ამ ეტაპზე საპროტესტო აქციების ტალღას ვერ ააგორებენ, მაგრამ შესაძლოა, გაზაფხულზე რიტორიკაც შეცვალონ და მეთოდებიც და მართლაც დაიწყონ არეულობა. ხელისუფლებამ ეს ორი-სამი თვე სათავისოდ უნდა გამოიყენოს და რადიკალური ქმედებები დაანახვოს მოსახლეობას.



## „ნაცები ხელისუფლების შეცდომებით იკვებებიან“

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის საკითხების ექსპერტი:**

— „ყვითელი ჟილეტების“ აქცია სოციალური ლოზუნგებით გამოირჩევა, „ნაციონალური მოძრაობისგან“ ანალოგიური ლოზუნგების მოსმენა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელი იქნებოდა.

ნაციონალების ამოცანა ძალიან მარტივია — მას „ქართულმა ოცნებამ“ აჩუქა 800 ათასი ხმა, თანაც სრულიად მოულოდნელად და თავისი სიბრიყვით მოახდინა ამ მკვდარი ძალის რეანიმაცია. ნაცები ცდილობენ, არ დაკარგონ ამომრჩეველი და საბრძოლო სულისკვეთება შეინარჩუნონ.

ნაციონალები ვერ გაჩერდებიან, მათ სხვა გზა არ აქვთ. 2020 წლის არჩევნებზე 800 ათასი ამომრჩეველი ხელისუფლებაში დაბრუნების ტოლფასი იქნება, თუკი პირნათლად შეასრულებენ ამომრჩევლის მუდმივად ტონუსში ყოფნის ამოცანას. ამ ეტაპზე ნაციონალებს კრიზისის შექმნა არ შეუძლიათ, ვერც რევოლუციას მოაწყობენ.

**— ნაციონალები სოციალურ თემებზე აპელირებენ, ამიტომაც არის საეჭვო ის გარემოება, რომ შესაძლოა ისინი „ყვითელი ჟილეტების“ აქციებს ბაძავდნენ...**

— სოციალურ თემებზე ყველა პარტია აპელირებს, მაგრამ ხალხს ამის, დიდი ხანია, აღარ სჯერა. ნაციონალები გამოიყენებენ ხელისუფლების ყველა შეცდომას, გაჭირვებას... „ნაცების“ შანსი მათი გაძლიერება და გაზრდა კი არ არის, არამედ ხელისუფლების სისუსტე, ხელისუფლების დეგრადირებაა, ისინი იკვებებიან ხელისუფლების შეცდომებით, რომლებიც საკმაოდ ბევრია.



## „მართლა ძალიან უნდა უყვარდეს ღმერთს საქართველო, რომ გადავრჩეთ“

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი:**

— „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო მუხტი, მართალია, თითქმის ნახევარ ევროპას მოედო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი აქვს მოწერილი, ევროკავშირის წევრი არ არის და ამიტომ ჩვენს ქვეყანაზე ეს ნაკლებად აისახება. „ნაციონალური მოძრაობა“ არის დესტრუქციული ძალა, რაც მუდმივად აისახება მათ ქმედებებზე. იმის საფუძველი, რომ ნაციონალებმა საპროტესტო მუხტი ნებისმიერი ლოზუნგით გაზარდონ, არ არსებობს. დღეს ქვეყანაში სხვა პრობლემებია და ნაციონალები სულ სხვა რამისთვის იბრძვიან.

**— რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნაციონალები თავიანთ გამოსვლებში სოციალურ პრობლემებზე ხშირად საუბრობენ...**

— **ნაციონალებმა რაზეც უნდა ისაუბრონ, ხალხი მათგან არაფერს მიიღებს, მათი საბოლოო მიზანი დესტრუქციაა და არა ქვეყნის აღმშენებლობა, რაც ამომრჩეველმა კარგად იცის. ნაციონალების დევიზია: „რაც უფრო ცუდად იქნება საქმე, მით უკეთესი ჩვენთვის“.** იყვნენ ისინი ხელისუფლებაში და კარგი არაფერი გაუკეთებიათ, მათ არ უზრუნიათ სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე, ამიტომ დღეს, რაც უნდა თქვან, ვერაფერს მიაღწევენ. ისე კი, ძალიან დიდი პრობლემაა ქვეყანაში სოციალური კუთხით და აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ისეთი ძალა, რომელიც მართლაც ისაუბრებს ამ ყველაფერზე და ხელისუფლებას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ აიძულებს, რადიკალური ცვლილებები განახორციელოს.

ვფიქრობ, რომ ისეთი დესტრუქციული ქმედებები, როგორსაც ბოლო დროს ვუყურებთ, და რასაც ნაციონალები სჩადიან, უნდა ისჯებოდეს, სააკაშვილის მოწოდებები დანაშაულებრივია.

თუ ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს არ მიიღებს, ცუდად დაასრულებს. ამ ქვეყანაში ადამიანები ცდილობენ, ინდივიდუალურად გადაირჩინონ თავი, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ხალხის ბედზე. მსოფლიოში არეულობაა, სხვა ქვეყნების მოსახლეობა აღარ ითმენს ხელისუფლებისგან არაფერს, ჩვენი საწყალი ხალხი კი მორჩილად ეგუება ყველაფერს.

ხელისუფლებაში მოკალათებული ადამიანები პირად კეთილდღეობაზე ზრუნვით არიან დაკავებულნი. არადა, დღეს საქართველოს ისეთი ადამიანი სჭირდება, მსხვერპლს რომ გაიღებს, თავს რომ გაწირავს სამშობლოსათვის და ამას ჭკვიანურად გააკეთებს. ერი სულს ღაფავს, მართლა ძალიან უნდა უყვარდეს ღმერთს საქართველო, რომ გადავრჩეთ.

**— ნაციონალებს გარე ძალები თუ უმაგრებენ ზურგს, ვინმეს დირექტივებს ხომ არ ასრულებენ?**

— სააკაშვილი მშიშარა კაცია, ჩვენ ვნახეთ მისი სახე აგვისტოს ომში. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ის ვიღაცის ზურგს უკან იდგეს, მაგრამ ნაციონალების მიერ აგორებული ვერანაირი ტალღა, ვინც არ უნდა იდგეს მათ ზურგს უკან, არ არის პერსპექტიული. ნაციონალები ხალხს არ უყვარს, თუმცა გავლენის აგენტები არიან, ისინი ასწავლიან უმაღლეს სასწავლებლებში, აქვთ არასამთავრობოები. ახალგაზრდები, რომლებსაც საკუთარ თავზე არ გამოუცდიათ ის, რაც ნაციონალებმა ჩაიდინეს, მათ უჭერენ მხარს, მათი მომხრეების რიცხვი ახალგაზრდების ხარჯზე იზრდება. ეს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.



## „ყვითელი ჟილეტების“ აქციებამდე საქართველოში არსებული ვერც ერთი ძალა ვერ მივა, მით უმეტეს, „ნაციონალური მოძრაობა“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— ბოლო პერიოდში სააკაშვილი ცდილობს, **ლენინს** დაემსგავსოს და მისი რიტორიკა მიმართულია ჩვენი საზოგადოების დაავადებული ნაწილისკენ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი რომ დაავადებულია, ეს უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იყო შესამჩნევი. მიუხედავად სააკაშვილის ამგვარი რიტორიკისა, საერთოს ვერ ვხედავ საფრანგეთსა და ბელგიაში მიმდინარე პროცესებთან, ის ხალხი იბრძვის საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მომავლისთვის.

ნაციონალები საუბრობენ სოციალურ პრობლემებზე და, რასაც ამბობენ, რეალობაა. ისინი ამაზე 2003 წელსაც საუბრობდნენ, ამაზე საუბრობს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, მაგრამ „ყვითელი ჟილეტების“ აქციებამდე საქართველოში არსებული ვერც ერთი ძალა ვერ მივა, მით უმეტეს, „ნაციონალური მოძრაობა“.

**— ზოგიერთის აზრით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ნაციონალებს ხელოვნურად გაუზარდეს პროცენტები.**

— არა, ეს ასე ადვილად არ ხდება. არჩევნები პირდაპირ ეთერში მიმდინარეობს, ყველა უბანზე კომპიუტერი დგას და ყველაფერი აღრიცხულია, პროცენტების დაწერა ადვილი არც სააკაშვილის პერიოდში იყო, ჯერ ოქმებს თავზე გადაახევდნენ კომისიის წევრებს, მერე მოისყიდიდნენ და შემდეგ უკვე ახალი ოქმები იწერებოდა. დღეს ასე ვერ მოხდება. ის, რომ ნაციონალებს აქციებზე ხალხი ვერ გამოჰყავთ, არ ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველი არ ჰყავთ. არსებობენ პასიური ამომრჩევლები, რომლებიც აქციებზე, უბრალოდ, არ დადიან.

ახლა კარვები დადგეს ნაცებმა და რუსთაველზე გამაგრებას აპირებენ. საქართველოს მოსახლეობას „ქართული ოცნებაც“ ამოუვიდა ყელში და „ნაციონალური მოძრაობაც“. **გრიგოლ ვაშაძე** ოპტიმალური ვარიანტი იყო ნაციონალებისთვის, ის გიჟის შთაბეჭდილებას არ ქმნიდა, თანაც „ოცნებამ“ თვითონ გაუკეთა პიარი იმით, რომ მის რუსულ წარსულზე ილაპარაკა, ინტერნეტში ფოტოებიც გაავრცელეს პუტინთან ერთად გადაღებული, რომელიც ფოტოშოპი იყო, მაგრამ, ალბათ, ბევრმა დაიჯერა კიდეც. ხომ ფაქტია, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მომხრეა. **ყოველივე ამან ვაშაძეს გარკვეულწილად აუწია რეიტინგი, რადგან ძლიერი პოლიტიკოსის იმიჯი შეუქმნეს? სინამდვილეში კი თავისი ცოლის იმპრესარიო — იმაზე მუშაობდა, რა ფერის „ჩულქებს“ ჩაიცვამდა ცოლი. ასე რომ, ვაშაძეს ბევრმა ადამიანმა მისცა ხმა და ხელოვნურად გაზრდილი არ არის ის პროცენტი, რომელიც არჩევნების ბოლო ტურში მიიღო.** დაიჯერონ, რომ ნაციონალებს 800 ათასამდე ამომრჩეველი ჰყავს და მიიღონ ზომები მათ წინააღმდეგ.

«ახლა კარვები დადგეს ნაცებმა და რუსთაველზე გამაგრებას აპირებენ. საქართველოს მოსახლეობას «ქართული ოცნებაც» ამოუვიდა ყელში და «ნაციონალური მოძრაობაც»

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ კონსერვატორები, ტრადიციონალისტები და შესაბამისი თვალსაზრისის მქონე ნაციონალისტები გაერთიანებას მოახერხებენ, საპარლამენტო არჩევნებში, 99%-იანი ალბათობით, გაიმარჯვებენ, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არ მოხდება. ამ ძალებს არ ჰყავთ მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი ან (და) დიდი რესურსი. რაც მთავარია, ლიბერალებისგან განსხვავებით, ისინი, როგორც წესი, ვერ ხედავენ საერთო მიზანს და თანამშრომლობის აუცილებლობას. არის სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც — „უჩემოდ ვინ იმღერეთო“ და ა.შ.**

# კონსერვატორებს ახალი შანსი მიეცათ

**16 დეკემბერს თელავში გამართული ინაუგურაციის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდა. მომქანცველი მარათონი თითქოს დასრულდა, მაგრამ ერთ-ერთი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა: ვინ არის ნამდვილი გამარჯვებული? სალომე ზურაბიშვილი? იქნებ ბიძინა ივანიშვილი? „ქართული ოცნება“, რომელმაც თავისი მაინც გაიტანა, თუ „ნაცმოძრაობა“, რომელმაც პირველად 2012 წლის შემდეგ მმართველ პარტიას თანასწორი ბრძოლა გაუმართა? ერთ-ერთ გამარჯვებულად უდავოდ საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი უნდა ჩავთვალოთ. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არჩევნების ბედი სწორედ მის პოზიციაზეა დამოკიდებული; კონკურენტები, უპირველესად, მის მოთაფვლას ცდილობდნენ. მან საკუთარი ძალა იგრძნო, მაგრამ ძნელი სათქმელია, გამოიყენებენ თუ არა ამ გარემოებას შესაბამისი იდეოლოგიის მქონე პარტიები.**

მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილმა „დამატებით“ ნახევარ მილიონზე მეტი ხმა მიიღო — 532 129. მმართველი პარტია ცდილობს, სიტუაცია ისე წარმოაჩინოს, თითქოს ამ ხალხის უმრავლესობა იდეური „ანტიმიშისტია“ და არჩევნებზე იმიტომ მივიდა, რომ რევანშს გზა გადაუღობოს. ნაციონალები, თავის მხრივ, ამბობენ, რომ ეს „კარტოფილზე გაყიდული“ ხალხია, რომელიც ივანიშვილმა, ამასთანავე, ვალების დაფარვის პროგრამის მეშვეობით მოისყიდა. ცხადია, ამ ამომრჩეველთა შორის ასეთებიც იყვნენ და ისეთებიც, მაგრამ მერყევი ელექტორატის უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ძალა, რომელსაც ისინი „ნაკლებ ბოროტებად“ განიხილავდნენ, ეკლესიასა და ტრადიციულ ღირებულებებთან კონფლიქტში არ შესულიყო და ამას ორივე მხარე ითვალისწინებდა.

პირველი ტურის შემდეგ დაპირისპირებული ბანაკების წარმომადგენლები საპატრიარქოში „მივარდნენ“, შეიცვალა მათი რიტორიკაც. „უწმინდესის ყოველი სიტყვა ჩემთვის, როგორც ეკლესიის შვილისთვის, უმნიშვნელოვანესია“, — ამბობდა **გრიგოლ ვაშაძე**. „საშინელ წვიმაში წავედი ეკლესიაში და დავანთე სანთელი და გავცივდი. ღმერთმა გადმოგვხედა...“, — აცხადებდა **მიხეილ სააკაშვილი**. მმართველმა პარტიამ სასწრაფოდ გაიწვია პარლამენტიდან კანონპროექტი მარიხუანის კულტივაციის შესახებ, რომელიც ასე აღიზიანებდა საპატრიარქოსა და მრევლს, ხოლო **სალომე ზურაბიშვილმა**, სავარაუდოდ, მწარედ ინანა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე საკამათო განცხადება გააკეთა (ახალი „უსახური“ ეკლესიების აშენებაზე, სამღვდელოების უპრეცედენტო ჩარევაზე საარჩევნო კამპანიაში და ა.შ.). მეორე ტურის წინ ის კიდევ ერთხელ მივიდა საპატრიარქოში. პატრიარქმა ზურაბიშვილი დალოცა; შეხვედრის ამსახველი ფოტოები მალევე გავრცელდა მედიასა და სოცქსელებში — ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო მრევლისთვის, რადგან სიმბოლურად მიანიშნებდა, რომ კანდიდატმა ეკლესიის მიმართ პატივისცემა გამოხატა, ხოლო საპატრიარქო მის არჩევას არ ეწინააღმდეგება.

საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობაში გარკვეული „პოზიციური ცვლილებები“ მოხდა. აშკარა შეიქნა, რომ **დღევანდელ სიტუაციაში ივანიშვილი ველარ გაიმეორებს 2014 წლის რეპლიკას: „შეიძლება პატრიარქსაც შეეშალოს. პატრიარქმა შეიძლება თქვას, მაგრამ ჩვენ არ გავიზიაროთ. ეს ნორმალურია. არ გვინდა ეს დოგმები“,** ხოლო მისი ხელქვეითები მეორე „ციანიდის საქმეს“ ვერ ააგორებენ, რადგან მმართველი ძალა დასუსტდა, ლეგიტიმაციის დეფიციტს განიცდის და მის შესავსებად ეკლესიას მიმართავს. არც ისაა შემთხვევითი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი საპატრიარქოს ფონდის ხელმძღვანელი **ლაშა ჟვანია** ხდება.

ყველაზე უცნაური კი ამ სიტუაციაში არის ის, რომ მას „მართლმორწმუნეობაში“ სააკაშვილის პარტია ეჯიბრება, რომელსაც მმართველობის პერიოდში ეკლესიის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა (2011-12 წლების გამოკლებით, როდესაც სააკაშვილი მიხვდა, რომ მისი საქმე ცუდადაა და ყველანაირად ცდილობდა, ეპისკოპოსების მხარდაჭერა მოეპოვებინა).

შექმნილი სიტუაცია, სხვა ყველაფერთან ერთად, საპატრიარქოს შესაძლებლობას აძლევს, განავითაროს მისთვის საინტერესო მონარქისტული პროექტი. მით უმეტეს, 2017-ში სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ მონარქიის აღდგენა „ევროპულ ოჯახში პირდაპირი შესვლის, ტერიტორიების საერთო გვირგვინის ქვეშ შემოკრების ერთ-ერთი გზაა“. ძნელი სათქმელია, ეს განცხადება განგებ (წინმსწრებად) გააკეთა თუ „შემთხვევით“, თუმცა წინაპირობა შემდგომი ნაბიჯებისთვის ნამდვილად შეიქმნა.

ძლიერ კანდიდატს, რომლის შეხედულებები შეიძლება დახასიათდეს, როგორც კონსერვატიული, ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. **გიორგი ანდრიაძეს, კახა კუკავასა** და ზოგიერთ სხვას არ ჰქონდათ საკმარისი ფინანსები და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ კარგი შედეგი ეჩვენებინათ. კონსერვატორი ამომრჩევლების დიდ ნაწილს არ ჰქონდა იმის განცდა, რომ არჩევნებში თავისი კანდიდატი ჰყავთ. აქედან გამომდინარე, „პატრიოტთა ალიანსის“ 25 ნოემბრის აქციამ დამატებითი დატვირთვა შეიძინა. ეს იყო არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის მიერ მხარდამჭერთა მობილიზება „ნაცმოძრაობის“ შესაჩერებლად, არამედ მესიჯი ყველა კონსერვატორისა და ნაციონალისტის მიმართ: „ამჯერად ასე უნდა მოვიქცეთ“, ანუ ვიმოქმედოთ აქციაზე გამოტანილი ერთ-ერთი ლოზუნგის შესაბამისად **„სილა — ქოცებს, მუშტი — ნაცებს!“.**

აქ მნიშვნელოვანია სხვაობის აღნიშვნა — „ქართული ოცნების“ კამპანია „არა — ნაცებს, არა — ბოროტებას!“ არსებითად ძალაუფლების მოგერიების იდეას ეფუძნება. მმართველ პარტიას, თუნდაც დასავლეთთან ურთიერთობებიდან გამომდინარე (და არამხოლოდ), არ შეუძლია ღიად განაცხადოს „მუშტი ნაცებს!“. „პატრიოტთა ალიანსი“ ამ მხრივ თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს — მას შეუძლია თქვას ის, რისი მოსმენაც სააკაშვილის რადიკალ მოწინააღმდეგეებს სურთ, სწორედ იმ ფორმით, რომელიც ოპტიმალურად მიაჩნიათ. თუ ჩვენ დავაკვირდებით მათ რეაქციას 12 დეკემბრის ინციდენტზე პარლამენტში **ირმა ინაშვილსა** და **ნიკა მელიას** შორის, ვნახავთ, რომ ინაშვილის მოქმედება თითქმის იდეალურად ჩაჯდა მათ წარმოდგენებში იმის შესახებ, რა ფორმით, სიმბოლურ თუ რეალურ სივრცეში, უნდა წარიმართოს ურთიერთობა „ნაცმოძრაობასთან“. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს შეძლებს „პატრიოტთა ალიანსი“ ამ ტემპერატურის შენარჩუნებას, მით უმეტეს, რომ მას უკვე ჰქონდა ჩავარდნა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც პარტია თითქოს პაუზის რეჟიმში გადავიდა. მას ბეწვის ხიდზე გავლა მოუწევს — პოლიტიკურ სიხისტესა და ძალისმიერ მოქმედებას შორის, რომელსაც, ცხადია, გამართლება არ აქვს. მოკლედ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის განწყობაზე რეფლექსური რეაგირება ერთია, ხოლო მისი შენარჩუნება და გამოყენება — სულ სხვა რამ.

აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი — კონსერვატიული საზოგადოების რადიკალიზაციის ხარისხი. თუ ის დაბალი იქნება, ელექტორატის დიდი ნაწილი შეიძლება წავიდეს **ალეკო ელისაშვილის** „სამოქალაქო მოძრაობასთან“ ან სხვა პოლიტიკურ გაერთიანებასთან, რომელიც უფრო ახლოა პირობით „ცენტრთან“ (ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი პირობითია), ვიდრე „პატრიოტთა ალიანსი“. თუმცა ამის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია — **თუ ხელისუფლება კანაფის მოყვანას დაიწყებს და გეიქორწინებებს დააკანონებს, კონსერვატიული საზოგადოება ვულკანს დაემსგავსება, ხოლო თუ „ქართული ოცნება“ შედარებით ფრთხილად მოიქცევა, ის, როგორც სჩვევია, მალე დამშვიდდება.**

7 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო შეზღუდვები, რომლებიც უცხოელებს შესაძლებლობას არ აძლევდა, საქართველოში მიწა შეეძინათ. 16 დეკემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, ძალაში შევიდა ახალი ამკრძალავი ნორმები. ხოლო იმ შუალედში, როდესაც უცხოელებს მიწის გადაფორმება შეეძლოთ, „ქართული მარშის“ და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა იუსტიციის სახლთან საპროტესტო აქციები გამართეს, რათა მიწის გადაფორმებისთვის ხელი შეეშალათ.

განხილულ კონტექსტში საგულისხმოა არა საკუთრივ ეს ფაქტი, არამედ იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანის** 10 დეკემბრის კომენტარი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დღეს არც ერთი უცხოელის სახელზე სასოფლო-სამეურნეო მიწა არ დარეგისტრირებულა“ და ძალიან რბილ ტონალობაში მოუწოდა აქციის მონაწილეებს, სხვა მოქალაქეებს საბუთების გაფორმებაში ხელი არ შეუშალონ. ამ ეპიზოდმა ნათლად აჩვენა, რომ ხელისუფლებას არ სურს საზოგადოების იმ ნაწილის გაღიზიანება, რომელიც უცხოელებზე მიწის გაყიდვის წინააღმდეგია. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრს ჰქონდა საბაბი იმისთვის, რომ რადიკალურ ორგანიზაციებთან ხისტად ესაუბრა, მან სიფრთხილე არჩია, რამაც საზოგადოების ლიბერალური ნაწილი ფრიად გააღიზიანა. სხვათა შორის, ამ აქციების დროს ცნობილი გახდა, რომ „ქართული მარში“ პოლიტიკურ ორგანიზაციას ქმნის, რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს და, როგორც ჩანს, პროცესებში უფრო აქტიურ ჩართვას აპირებს.

თუ კონსერვატორები, ტრადიციონალისტები და შესაბამისი თვალსაზრისის მქონე ნაციონალისტები გაერთიანებას მოახერხებენ, საპარლამენტო არჩევნებში, 99%-იანი ალბათობით, გაიმარჯვებენ, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არ მოხდება. ამ ძალებს არ ჰყავთ მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი ან (და) დიდი რესურსი. რაც მთავარია, ლიბერალებისგან განსხვავებით, ისინი, როგორც წესი, ვერ ხედავენ საერთო მიზანს და თანამშრომლობის აუცილებლობას. არის სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც — „უჩემოდ ვინ იმღერეთო“ და ა.შ. ამგვარად, ფიქრი იმაზე, რომ მმართველი ძალის წინააღმდეგობის პირობებში, ასეთი ფრონტი შეიქმნება და ხელისუფლებაში მოვა, ალბათ, მაინც ილუზიებამდე მიგვიყვანს.

მაგრამ, მეორე მხრივ, საპრეზიდენტო არჩევნებისა და თანმდევი სოციოლოგიური კვლევების შედეგებმა, სავარაუდოდ, მიიყვანა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელები დასკვნამდე, რომ კონსერვატიული ელექტორატის ნაწილი მას სამუდამოდ დაემშვიდობა. მისთვის მნიშვნელოვანია, ეს ხმები გაურკვეველი მიმართულებით არ წავიდეს და „ნაცმოძრაობის“ (პირდაპირ ან სატელიტი პარტიების მეშვეობით) რესურსად არ იქცეს. ამიტომ ის, ალბათ, მხარს დაუჭერს მისთვის მისაღები კონსერვატიული ოპოზიციური პარტიების გარკვეულ (თუმცა ზომიერ) გაძლიერებას, რადგან სრულ უკონტროლობას ნაწილობრივი კონტროლი სჯობს. „ქართულმა ოცნებამ“ უკუაგდო ეს იდეა საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, „ფაქტობრივი ერთპარტიულობისკენ“ წავიდა და ახლა, სავარაუდოდ, უკან, გზაგასაყარზე დაბრუნება მოუწევს.

როგორც საზოგადოების განწყობამ, ისე ხელისუფლების მდგომარეობამ შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობები იმისთვის, რომ კონსერვატიული პოლიტიკური ძალები განვითარდნენ და გაძლიერდნენ. დანარჩენი კი დამოკიდებულია მათი ლიდერების ადეკვატურობაზე, ალღოსა და, რაც მთავარია, ნებისყოფასა და შრომისმოყვარეობაზე, რომელიც ქართულ პოლიტიკაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

**როგორც საზოგადოების განწყობამ, ისე ხელისუფლების მდგომარეობამ შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობები იმისთვის, რომ კონსერვატიული პოლიტიკური ძალები განვითარდნენ და გაძლიერდნენ. დანარჩენი კი დამოკიდებულია მათი ლიდერების ადეკვატურობაზე, ალღოსა და, რაც მთავარია, ნებისყოფასა და შრომისმოყვარეობაზე, რომელიც ქართულ პოლიტიკაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს**

წერილში, აგრეთვე, იყო უცნაური პასაჟი საპრეზიდენტო არჩევნებზე — „გრიგოლ ვაშაძეს სააკაშვილის პოლიტიკური მოწაფე“ უწოდეს. ამასთანავე, ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, ეწერა, რომ საერთაშორისო მონიტორებმა თქვეს, მთავრობის ჩარევამ არჩევნების შედეგი შეცვალაო. მოკლედ, ამ წერილის ნებისმიერი წინადადება, რომლებიც ბრინკის დანიშვნას არ ეხებოდა, გამოიყურებოდა ისე, თითქოს ის სააკაშვილის რომელიმე მეგობარმა ან ძველმა გულშემატკივარმა დაწერა.

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის ელჩი დაგვეკარგა, წითელპერანგა...

**აშშ-ის ელჩმა საქართველოში — იან კელიმ თანამდებობა მარტის ბოლოს დატოვა და მას შემდეგ ვაშინგტონმა მისი შემცვლელის დანიშვნა ვერა და ვერ მოახერხა. ამან ჯერ გაკვირვება, შემდეგ კი შეშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილმა გამოცემა „ფორინ პოლისმა“ ამ პრობლემას სკანდალური სტატია მიუძღვნა.**



ბრიჯიტ ბრინკი

საკითხის საჯარო განხილვა 24 ოქტომბერს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ჟურნალისტმა **ნინო ჟიჟილაშვილმა** თქვა, რომ, მისი წყაროების ინფორმაციით, ელჩის პოსტზე **ბრიჯიტ ბრინკის** დანიშვნას საქართველოს ხელისუფლება, კონკრეტულად კი **ბიძინა ივანიშვილი,** ეწინააღმდეგება. გადაცემის სტუმარმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელმა **ეკა გიგაურმა** განაცხადა, რომ ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია მასაც აქვს და მასაც სმენია, რომ ხელისუფლებას ამ პოსტზე არა კარიერული დიპლომატის, არამედ ტრამპის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირის ხილვა სურს.

აქ მნიშვნელოვანია ერთი ნიუანსის გათვალისწინება. პოლიტიკური ნიშნით შერჩეული პირების დანიშვნა ელჩებად საკვანძო ქვეყნებში ხდება. როგორც წესი, „დიდი შვიდეულის“ ან სხვა, აშშ-ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებში, დანარჩენ პოსტებს კი კარიერული დიპლომატები იკავებენ. საქართველო არ არის იმდენად პრიორიტეტული ქვეყანა, რომ აქ ტრამპის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირი დანიშნონ; ეს შეიძლება მხოლოდ გარემოებათა სასწაულებრივი დამთხვევის შემთხვევაში მოხდეს.

მომდევნო დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა **დავით ზალკალიანმა** თქვა, რომ „ეს არის სპეკულაცია და არასერიოზულია ამაზე ლაპარაკი“, ხოლო 26 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა ამ თემას ვრცელი კომენტარი მიუძღვნა: **„რამდენიმე ჯგუფი გააერთიანა ეკა გიგაურმა. რამდენჯერმე მივანიშნე მას, რომ კარგი იქნება, გავიდეს ამ სექტორიდან, რადგან ძალიან ცუდ სამსახურს უწევს სამოქალაქო საზოგადოებას მისი იქ ყოფნა. ბევრჯერ მიპასუხია მისთვის, მისი სიცრუეებიც ბევრჯერ გამომიტანია, მაგრამ დღეს ვიქნები უფრო კარდინალური, თურმე ამერიკის ელჩს აღარ ნიშნავს ივანიშვილიო. ეკა გიგაურმა გააკეთა განმარტებები, რომ საშინელებები ხდება. გიგაური წარმოუდგენელ თამაშში შევიდა. ამერიკის ელჩს რაც შეეხება, ამაზე პასუხის გაცემის მცდელობაც არ მექნება. შედით ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე, სადაც ჩანს, რამდენი ელჩი დანიშნეს და სად არის ვაკანსია“.** ამის შემდეგ „ქართული ოცნების“ ლიდერმა ვრცლად ისაუბრა გიგაურის წარსულზე, კერძოდ, მის როლზე 2007 წლის ნოემბრის მოვლენებში, სასამართლო დავაზე, რომელიც ამასთან დაკავშირებით **გოგა ხაინდრავასთან** აქვს, და დასძინა „კიდევ ერთხელ მომიწია მკვეთრად პასუხის გაცემა, რადგან არ ჩერდება. როგორც კი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი მიანიშნებს, რომ არაკორექტული განცხადება გააკეთა სამოქალაქო საზოგადოების რალაც ჯგუფმა, ეგრევე თავდასხმა ხდება მათი მხრიდან“.

ამავე დღეს საკითხს შეეხო თბილისში ვიზიტად მყოფი აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში — **ჯონ ბოლტონი**: „არ ვიცი, როდის დასრულდება ელჩის შერჩევის პროცესი. **ელიზაბეთ რუდი** შესანიშნავად უძღვება ამერიკის საელჩოს, სანამ ახალი ელჩი დიანიშნება, რაც სენატის მიერ ელჩის დამტკიცების რთულ პროცესს უკავშირდება“.

ნოემბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა **როს უილსონი** და აშშ-ის დროებითი რწმუნებულის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. „ვაშინგტონი ღრმად შეშფოთებული იყო, რადგან არ ჰყავდა ელჩი აქ წარმოდგენილი და, რადგანაც ეს ვითარება 2018 წლის ბოლომდე შენარჩუნდებოდა, სწორედ ამიტომ მომმართეს მე, რაც ჩემთვის პატივია“, — განაცხადა მან. როს უილსონი გამოცდილი დიპლომატია, „ცივი ომის“ წლებში მას მოუხდა მუშაობა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიაში, 2000-03 წლებში იყო აშშ-ის ელჩი აზერბაიჯანში, 2005-08 წლებში — თურქეთში. თბილისში მისი გამოგზავნის აუცილებლობა, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილმა რთულმა სიტუაციამ განაპირობა.

შეერთებულ შტატებს ელჩები ამჟამად ათეულობით ქვეყანაში არ ჰყავს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ პრეზიდენტის მიერ კანდიდატურების წარდგენისა და სენატის მიერ მათი დამტკიცების პროცესში დემოკრატები მნიშვნელოვან შეფერხებებს ქმნიან. ახალმა სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომ** ამის გამო კანონმდებლებთან საგანგებო შეხვედრაც კი გამართა. საბოლოო ჯამში, ეს, უპირველესად, ამერიკული მხარის პრობლემაა და არა იმ ქვეყნების, რომლებშიც ელჩების დანიშვნა ვერ ხერხდება. როს უილსონის მისია შეიძლება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს, ხოლო საუბარი საქართველოში ელჩის არდანიშვნაზე, ივანიშვილისა და გიგაურის კომენტარები, ალბათ, დავიწყებას მიეცემოდა, რომ არა „ფორინ პოლისის“ 10 დეკემბრის პუბლიკაცია.

მასში ნათქვამი იყო, რომ „ზოგიერთი დიპლომატიური წყაროს თანახმად“, საქართველოს ხელისუფლება ელჩის პოსტზე **ბრიჯიტ ბრინკის** დანიშვნას ბლოკავს, რადგან ის ზედმეტად კეთილგანწყობილია „ყოფილი პრეზიდენტის, პროდასავლური მიხეილ სააკაშვილის მიმართ“. სააკაშვილის „პროდასავლურობა“ წერილში კიდევ ერთხელაა ნახსენები, იქ, სადაც საუბარია იმაზე, როგორ შეიცვალა სიტუაცია საქართველოში ხელისუფლებიდან მისი წასვლის შემდეგ. ეს ხაზგასმა ირიბად მიანიშნებს იმაზე, რომ წერილის უკან შეიძლება სააკაშვილის მიმართ კეთილგანწყობილი პირები იდგნენ, რომლებმაც, ამასთანავე, ექსპერტად სააკაშვილის მთავრობის მინისტრი და მისი ძველი თაყვანისმცემელი **გია ნოდია** მიიწვიეს.

წერილში ნათქვამია, რომ ვაშინგტონში მყოფი ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ მიანიშნა, რომ ხელს არ მოაწერს აგრემანს (შესაბამისად, ბრინკის დანიშვნას ჩაშლის). აშშ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გათვალისწინებით, აგრემანის ხელმოწერაზე უარის თქმა იმდენად სენსაციური და წარმოუდგენელი ჩანს, რომ თბილისში ბევრმა ეს მონაკვეთი სერიოზულად ვერ აღიქვა.

წერილში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ორივე ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა ეჭვქვეშ დააყენეს ბრინკის კეთილგანწყობა სააკაშვილისა და მისი პარტიის მიმართ და დაახასიათეს ის, როგორც პროფესიონალი. სახელმწიფო დეპარტამენტში კი კომენტარზე უარი თქვეს, რადგან თეთრ სახლს ბრინკი საქართველოში ელჩის პოსტზე ოფიციალურად ჯერ არ წარუდგენია. უარი კომენტარზე საქართველოს მთავრობამაც განაცხადა.

წერილში, აგრეთვე, იყო უცნაური პასაჟი საპრეზიდენტო არჩევნებზე — „გრიგოლ ვაშაძეს სააკაშვილის პოლიტიკური მოწაფე“ უწოდეს. ამასთანავე, ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, ეწერა, რომ საერთაშორისო მონიტორებმა თქვეს, მთავრობის ჩარევამ არჩევნების შედეგი შეცვალაო. მოკლედ, **ამ წერილის ნებისმიერი წინადადება, რომლებიც ბრინკის დანიშვნას არ ეხებოდა, გამოიყურებოდა ისე, თითქოს ის სააკაშვილის რომელიმე მეგობარმა ან ძველმა გულშემატკივარმა დაწერა.**

ოფიციალური კომენტარი ამ პუბლიკაციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ხათუნა თოთლაძემ** გააკეთა. მან თქვა, რომ ეს ყველაფერი სიმართლესთან ახლოს არ არის: „აშშ-ზე ვსაუბრობთ, რომელიც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ამიტომ ვფიქრობ, რომ მსგავსი ხასიათის განცხადებების გამეორება დამაზიანებელია, მათ შორის მედიის მხრიდან“.

„ამერიკის ხმასთან“ საუბარში ცნობილმა დიპლომატმა **დანიელ ფრიდმა** იმედი გამოთქვა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება: „ბრიჯიტი არაჩვეულებრივი ელჩი იქნებოდა და ის განსაკუთრებით კვალიფიცირებული იყო საქართველოში ელჩობისთვის“. ფრიდი ამბობს, რომ ბრინკის „პროსააკაშვილობა“ სისულელეა. მისი თქმით, „ის თანამშრომლობდა სააკაშვილის მთავრობასთან, ისევე, როგორც ვთანამშრომლობდი მე და ბევრი სხვა ადამიანი. და ეს იმიტომ, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერდა საქართველოს, საქართველოს დემოკრატიას, ქვეყნის თავისუფლებას და დასავლეთთან დაახლოების სურვილს. სააკაშვილი კი იყო ლიდერი, რომელიც ქართველმა ხალხმა აირჩია“ („ამერიკის ხმა“).

**ბრიჯიტ ბრინკის ოფიციალური, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე გამოქვეყნებული ბიოგრაფია ცხადყოფს, რომ მან საქართველოში ჯამში ექვსი წელი იმუშავა, თუმცა ჩვენი ქვეყანა მისი ინტერესების სფეროში სხვა პერიოდებშიც რჩებოდა. განხილულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია 2005-08 წლების მონაკვეთი, როდესაც ის საქართველოს „პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების კონსოლიდირებაში ეხმარებოდა“. მას, სავარაუდოდ, უხდებოდა მუშაობა მჭიდრო კონტაქტში სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელიც ავტორიტარულ რეჟიმს სწორედ იმ წლებში ქმნიდა. მისი ურთიერთობა „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ლიდერებთან იმ პერიოდში ჩამოყალიბდა და გამორიცხული არაა, რომ ეს აშფოთებს ამჟამინდელ ხელისუფლებას და, შესაძლოა, ამაზე ამერიკელ პარტნიორებს მიანიშნა. თუმცა იმის დაჯერება, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ აგრემანის ხელმოწერაზე შეიძლება უარი თქვას და ამით აშშ-ს ფაქტობრივად სილა გააწნას, ძალიან ძნელი დასაჯერებელია.**

მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ტრამპის ადმინისტრაციას, რომელიც, უპირველესად, პრაგმატიზმით ხელმძღვანელობს, შეიძლება არ ჰქონდეს იმის სურვილი, რომ ქართველი პარტნიორების აზრი უგულებელყოს და ასეთი, სავარაუდოდ, ფრიად მოკრძალებული სიგნალის შემდეგ გაჯიუტდეს და მაინცდამაინც ბრინკი დანიშნოს და არა სხვა, მაგალითად, როს უილსონის მსგავსი ფიგურა, რომელსაც საქართველოში ასეთი კავშირები არ აქვს. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ საქართველოს და, საზოგადოდ, სამხრეთ კავკასიის პრიორიტეტულობა აშშ-ისთვის ბოლო წლებში შემცირდა. მეორე მხრივ, აშკარაა, რომ იმ „წყაროებს“, რომლებმაც „ფორინ პოლისის“ პუბლიკაციის ინსპირირება მოახდინეს, სურთ, ელჩის პოსტზე სწორედ ბრინკი იხილონ. ისინი თითქოს საჯაროდ ეუბნებიან თეთრ სახლს და სახელმწიფო დეპარტამენტს: „როგორ არ გრცხვენიათ, სადამდე დაეცით, ვიღაც ოლიგარქი ელჩის კანდიდატურას გიბლოკავთ“. ყოველივე ეს ადასტურებს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ საქართველოში აშშ-ის ელჩის პოზიციის გარშემო რთული თამაში, მეტიც, ბრძოლა მიდის და ფსონი გაცილებით დიდია, ვიდრე ერთი კონკრეტული სავარძელი. მთავარია, რომ მას, ვინც ამ პოსტს დაიკავებს, საქართველოს მომავალზე განმსაზღვრელი გავლენის მოხდენა შეეძლება.



**ლუკა ნემსაძე**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი – ეგ აშკარაა“.**

მეცნიერებასა და ხელოვნებას ილია მიიჩნევდა ცხოვრების გაუმჯობესების უმთავრეს საშუალებად: „ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედო“; თუმცა ცხოვრება ბერდება, მაგრამ გამოცდილებას იძენს, რომლის წყალობით ისევ ახლდება და ჰყვავისო. ილიას აზრით, მეცნიერებასა და ხელოვნებას ადამიანი კი არ იგონებს, არამედ თვით ცხოვრება წარმოშობს ისევ ცხოვრებისთვის, მისი წინსვლისა და განვითარებისთვის, ამიტომ ზრუნვა განათლებული თაობების აღზრდაზე საწინდარია ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისა. რა როლს ასრულებს ხელოვნება და მეცნიერება საზოგადოების ცხოვრებაში, რამდენად ემსახურება ცხოვრების წინსვლის საქმეს, მომავალი თაობების აღზრდას ღირსეულ მამულიშვილებად შესანიშნავად ასაბუთებს ერის მამა თავის პუბლიცისტიკაში და მისი გაკვეთილების გათვალისწინება კი უდავოდ გააუმჯობესებს „საქართველოს ხალხის ცხოვრებას“.

„ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართო“, — წერდა ილია „საქართველოს მოამბესთან“ დაკავშირებით. ჩვენი გაზეთიც ასეა — „საქართველო და მსოფლიო“ ილიას „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით ხელმძღვანელობს და, თუ დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაც, როდი უნდა იწყინოს ქართველმა და მტრად გამოგვაცხადოს.

# «ილიას გაკვეთილებიდან» «ღიმილიან საქართველომდე»

## «ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა»



დასასრული. დასაწყისი იხ. №44-45 (468-469)

ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს, გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. **თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს.** ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა...

**მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა.** დაე, ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს.

ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. **ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა.** რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის — ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. **როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მქონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან.** ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედმოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ **ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა.** ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

ჩემზედ ამბობენ: „ის ქართვლისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულილია!“
ბრიყვენი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს,
**ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია.**

**ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება – ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.** მოგვიტევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება — ეგ უდიდესნი საგანნი — ისე, გაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მათი სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც ჩვენს „მოამბეს“ კიდევაც ბევრჯერ შეხვდება შემდეგშიაც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე.ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან **ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა.**

ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ყოველ ჟურნალისა შიგმდებარედ არიან, იმოდენად მოვიხსენიეთ, რამოდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, რომ მკითხველთათვის გვეჩვენებინა მხოლოდ ის გზა, რომელზედაც გაივლის ჩვენი „მოამბე“. კიდევ ვიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსა. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველთათვის, ამიტომაც ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა. თუ ამ სტატიამ მაგოდენი შესძლოს, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით.

მეტი არ იქნება მოკლედ განვიმეოროთ ის, რაცა ვსთქვით ამ სტატიაში. ჩვენ გვინდოდა, გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ **ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითონვე წინ მიჰყავთ ცხოვრება;** რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა; მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობაების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის“ საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება „მოამბე“ თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მისცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი:

**„ხამს მოყვასი**
**მოყვასისთვის**
**სიცოცხლისა**
**არ დამრიდად,**
**გული მისცეს**
**გულისათვის,**
**სიყვარული**
**გზად და ხიდად“.**

(1862წ.).

**დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ 1863წ., №1.**

«ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა»

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**17 დეკემბერს წმინდაქალწულმოწამე ბარბარეს ხსენების დღე აღინიშნა. ამ დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში ღვთისმსახურება აღევლინა.**

რელიგია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წმინდა დიდმოწამე ბარბარე

**უსჯულო კეისარ მაქსიმიანე გალერუსის (რომის კეისარი 295 წლიდან, იმპერატორი 305-311 წლებში, იმპერატორ დიოკლეტიანეს სიძე) დროს იმპერიაში დაიწყო ქრისტიანთა დევნა. ღმრთისმოძულე ხელისუფალმა ჯილდოები აღუთქვა ყველას, ვინც ქრისტიანებს გასცემდა და სამსჯავროზე წარადგენდა. დაიწყო დასმენები.**



ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში (სირიის ტერიტორია) ცხოვრობდა ერთი მდიდარი, წარჩინებული გვარის კაცი, სახელად დიოსკორე. იგი წარმართი იყო და თაყვანს სცემდა კერპებს. დიოსკორეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, ბარბარე, რომელსაც თავს ევლებოდა, ანებივრებდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ბარბარეს დედა ადრე გარდაეცვალა. ბარბარე რომ გაიზარდა, ისე დამშვენდა, ვერავინ შეედრებოდა სილამაზით. დიოსკორეს მიაჩნდა, რომ მდაბიო, უზნეო ადამიანები ღირსნი არ იყვნენ მისი ხილვის, ამიტომ მაღალი კოშკი ააგო, გოგონა შიგ ჩაკეტა და ერთგული მსახურები მიუჩინა.

კოშკში დამწყვდეული ბარბარე შვებას მხოლოდ ბუნების ღვთაებრივი სილამაზის ჭვრეტაში ჰპოვებდა. იგი გრძნობდა, რომ შემქმნელი ამ არაჩვეულებრივი მშვენიერებისა უნდა ყოფილიყო ყოვლისშემძლე არსება, რომელსაც ვერავინ აღემატებოდა სიბრძნით... ანუ თავად ღმერთი, რომელიც „შორს როდია თვითოეული ჩვენგანისაგან“, გახდა მისი მოძღვარი და დამრიგებელი.

ქალწული თანდათან ივსებოდა უფლის მადლით და სულიერად ძლიერდებოდა, მის გულში ერთი სიყვარული ენთო, ჭეშმარიტი სიყვარული — უფლის სიყვარული და არ ფიქრობდა მიწიერ კეთილდღეობაზე, მაგრამ დიოსკორეს ძალიან უნდოდა ქალიშვილის გათხოვება. ამასობაში წმინდა ბარბარეს მშვენიერების შესახებ ქალაქში ხმა გავრცელდა და უამრავი ჭაბუკი გამოჩნდა მისი ხელისა და გულის მაძიებელი. დიოსკორემ ასულს შესთავაზა, მთხოვნელთა შორის თავად აერჩია საბედო, რაზეც წმინდანმა მკაცრად მიუგო, რომ ის გათხოვებას არ აპირებდა.

ბარბარესაგან მტკიცე უარი რომ მიიღო, მამამ გადაწყვიტა, მისთვის შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა, იმ იმედით, რომ უცხო ადამიანებისა და მათი ცხოვრების წესის გაცნობის შემდეგ იგი მოინდომებდა გათხოვებას. დიოსკორემ ბრძანა, ბარბარესთვის მდიდრული აბანო აეშენებინათ, რომელსაც მზისა და მთვარის თაყვანისცემის ნიშნად ორი სარკმელი ექნებოდა.

ცოტა ხანში დიოსკორეს საქმის გამო შორს გამგზავრება მოუხდა. თავისუფლად მყოფმა ბარბარემ გაიცნო ქრისტიანი ქალწულები, რომელთაგან გაიგო იესო ქრისტეს სახელი, მისი მოძღვრება, სასწაულები, ჯვარცმა და აღდგომა. გულით მოიწადინა ბარბარემ ქრისტიანი გამხდარიყო და აი, ღვთის ნებით, ალექსანდრიიდან ილიოპოლისში ხუცესი ჩავიდა, რომელიც მან თავისთან მოიწვია, გულახდილად ესაუბრა, გულით აღიარა ქრისტიანული სწავლება და მოინათლა.

ამის შემდეგ ბარბარე მუდამ მარხვასა და ლოცვაში იყო, მან სიწმიდისა და ქალწულობის აღთქმა დადო და ღმერთს შესწირა თავი. ერთხელ ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც მამამისის ბრძანებით აბანოს აშენებდნენ. წმინდანმა აბანოს მარმარილოთი მოპირკეთებულ შესასვლელში თითით ჯვარი გამოსახა, ქვის საფეხურზე კი მისი ტერფის ანაბეჭდი ამოიკვეთა, საიდანაც წყარომ ამოხეთქა და შემდგომში უკვე მრავალი სასწაულებრივი კურნება აღასრულა. დიოსკორეს ბრძანების მიხედვით, აბანოს ორი სარკმელი უნდა ჰქონოდა — მზისა და მთვარის ნიშნად, ბარბარემ კი მშენებლებს მესამე სარკმლის გამოჭრაც სთხოვა, ნიშნად წმინდა სამებისა.

რამდენიმე დღეში დიოსკორე მოგზაურობიდან დაბრუნდა. როდესაც აბანო მოინახულა, მშენებლებს გულისწყრომით ჰკითხა მესამე სარკმლის გაჭრის მიზეზი. მათ კი შიშით მიუგეს, რომ ეს ბარბარეს დაჟინებული მოთხოვნით გააკეთეს. დიოსკორეს გაუკვირდა და ქალიშვილს სთხოვა, აეხსნა, რას გულისხმობდა სამ სარკმელში. წმინდა ბარბარემ აღიარა მამასთან ჭეშმარიტი სარწმუნოება და შეეცადა, დიოსკორეც მოექცია, მაგრამ დიოსკორეს ფერი ეცვალა, განრისხდა, გამძვინვარდა, ხმალი იშიშვლა და ქალიშვილს მოსაკლავად გამოეკიდა. ბარბარემ გაქცევა მოასწრო და ქალაქის უახლოეს მთებს შეაფარა თავი. გაქცეულ ბარბარეს მამაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ქალწული დიდ მთას მიადგა და, რადგან გასაქცევიც არსად ჰქონდა, ილოცა და ღმერთს თავშესაფარი სთხოვა. მოულოდნელად მთა გაიპო და წმინდა ბარბარემაც გამოქვაბულს შეაფარა თავი. დიოსკორე ვერც კი მიხვდა, სად გაუჩინარდა მისი ქალიშვილი და დახმარება იქვე მყოფ ორ მწყემსს სთხოვა. ერთი მწყემსი ძალიან კეთილი იყო და არ გასცა ყმაწვილი ქალი, ხოლო მეორემ მდუმარედ უჩვენა გამოქვაბული, რის გამოც უფალმა მყის დასაჯა ბოროტი მწყემსი და ქვის სვეტად აქცია.

დიოსკორე გამოქვაბულში შევარდა და ბარბარე თმით დაითრია, წამოიყვანა, დასისხლიანებული ქალწული ბნელ ოთახში ჩაკეტა და აშიმშილებდა. თვითონ კი იმ ქვეყნის მმართველ მარკიანესთან მივიდა და გონებადაბინდულმა მოახსენა, რომ მისი ერთადერთი ასული ქრისტიანებმა გადაიბირეს, თავის რჯულზე მოაქციეს, რის გამოც სიკვდილს იმსახურებდა.

მარკიანემ ბრძანა, მასთან მოეყვანათ ბარბარე. როდესაც ბარბარემ შეიტყო, რომ მმართველთან მიჰყავდათ, შეწევნა ღმერთს შესთხოვა. ქალწულის სილამაზით გაკვირვებულმა მმართველმა ტკბილი სიტყვით სცადა მისი გადაბირება; ურჩია, მოენანიებინა ღმერთებისაგან განდგომა და მორჩილების ნიშნად მსხვერპლი შეეწირა მათთვის. მარკიანე ქალისგან წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ბრძანა მისი სასტიკად წამება. ტყავის შოლტებით გვემულ ყრმა მოწამეს ნაკადულივით სდიოდა სისხლი, მაგრამ ყველანაირ წამებას ქრისტესთვის სიხარულით ითმენდა. მარკიანეს ეგონა, რომ იგი მოკვდა. შემდეგ შეაგდეს ბნელ საპყრობილეში და მცველები დაუყენეს. დაუძლურებული ბარბარე მხურვალედ ლოცულობდა. **შუაღამისას გამობრწყინდა ნათელი, საკანი განათდა, ქრისტე ღმერთი ანგელოზებთან ერთად გამოეცხადა წმიდა ასულს, განკურნა მისი ნაგვემი სხეული, მოურჩინა წყლულები და უთხრა: „ბარბარე, მოწამეო ჩემო, რამეთუ დიდად უხარის ცასა და ქუეყანას დღესასწაული შენი, ხოლო შენ ნუ შეძრწუნდები უსჯულოისა მისგან მსაჯულისა, რომელნი განუძლიერებიეს ეშმაკსა. არამედ მე თანა დაგიდგე და გიხსნე შენ ყოვლისაგან ბოროტისა, რომელ შეგემთხუეოდის შენ“.**

**ჯანმრთელი და უვნებელი ბარბარე სიხარულით აღივსო, ილოცა და უფალს მადლობა შესწირა.** დილით მარკიანემ ბრძანა ქალწულის საკაცით მოყვანა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბარბარე სიარულს ვერ შეძლებდა. მსახურები მის წამოსაყვანად მივიდნენ და ნახეს, რომ იგი ფეხზე დგას და ლოცულობს. განცვიფრებულებმა ერთხმად შესძახეს: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთაი და არა არს სხუაი ღმერთი უდიდეს მისა, რომელმან განაძლიერა ესე“.

მარკიანეც ფრიად გაოცებული დარჩა, როდესაც იხილა სასამართლოზე თავისი ფეხით, სხვის დაუხმარებლად მისკენ მიმავალი ბარბარე, ხოლო ხალხი განცვიფრდა მისი მზესავით გაბრწყინვებული სახის ხილვისას. უსჯულო და უგუნურმა მმართველმა ეს სასწაული თავის კერპ-ღმერთთა დიდ მოწყალებას მიაწერა და ურჩია წმიდა ქალწულს, ახლა მაინც შეეწირა მსხვერპლი ღმერთებისათვის, რომელნიც ასე მოწყალედ მოექცნენ მათ მგომებელს და გვემული განკურნეს.

მსახურებმა, რომლებმაც ბარბარე სტანჯეს, ერთხმად შესძახეს: **„ჩუნცა გურწამს იესუ ქრისტე ნაზარეველი, რადგან არ არის სხუა ღმერთი მის გარდა“.** მარკიანემ ბრძანა, დაუყოვნებლივ თავები მოეკვეთათ მათთვის. მართლაც, გაიყვანეს იგინი ქალაქგარეთ და სიკვდილით დასაჯეს. ამ მოწამეობრივი აღსასრულით დაიმკვიდრეს მათ ზეციური საუკუნო ცხოვრება.

**გამძვინვარებულმა მარკიანემ ბრძანა წმინდა ბარბარეს გაშიშვლება და ქალაქში ასე ჩამოტარება, მაგრამ უფალმა არ დაუშვა თავის წმიდა სასძლოს შერცხვენა და წარმოგზავნა ანგელოზი, რომელმაც სპეტაკი სამოსით დაფარა დიდმოწამის სხეული. მთელი ქალაქი გამოეფინა შიშველი ქალწულის სანახავად, მაგრამ მისი სიშიშვლე ვერ იხილა. მარკიანე მიხვდა, რომ სატანჯველმა არაფერი ავნო წმინდა მოწამეებს, და შეეშინდა, რომ ამის მნახველი მრავალი მოქალაქე მოიქცეოდა ქრისტეს სჯულზე. მან წმინდა ბარბარეს დასასჯელად მამამისი დიოსკორე გამოიძახა და უბრძანა, რომ გაეყვანა ქალიშვილი ქალაქგარეთ და მისთვის თავი მოეკვეთა.**

დიოსკორემ დასცა მახვილი და წარკვეთა წმიდა ბარბარეს პატიოსანი თავი. ამისთვის დიოსკორემ და მარკიანემ მალევე მიიღეს უფლისაგან კუთვნილი სასჯელი — მეხის დარტყმით დაიწვნენ.

305-311 წლებში, იმპერატორ მაქსიმიანეს დროს, წამებულ ბარბარეს წმინდა ნეშტი თავდაპირველად ღმრთისმოსავმა ვალენტიანემ დაკრძალა ქალაქ ილიოპოლისში შესაფერისი პატივით და შემდეგ იმ ადგილას ეკლესია ააგო. VI ს-ში წმინდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს, სადაც საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა, ხოლო XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსის (1081-1118) ქალიშვილმა — ბარბარემ კიევის დიდ მთავართან სვიატოპოლკ II იზიასლავოვიჩთან ქორწინების შემდეგ ისინი კიევის რუსეთში გადაასვენა. 1108 წელს კნიაზი სვიატოსლავ იზიასლავოვიჩის მიერ ყოფილი დმიტრიევსკის მონასტრის ადგილას წმინდა მიხეილის ოქროსგუმბათოვანი მონასტერი დაფუძნდა, ხოლო 1108-13 წლებში აშენდა ოქროს გუმბათიანი ტაძარი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კიევის, როგორც მთავარანგელოზი მიქაელის მფარველობაში აყვანილი ქალაქისთვის და დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილებიც მთავარანგელოზის ეკლესიაში დაუბრძანებიათ. ბათო ყაენის შემოსევების დროს წმინდა ნაწილები გადამალეს და მშვიდობიანობის დროს ისევ უკან დააბრუნეს.

**1983 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის თხოვნით, უკრაინაში ჩასულ ქართველი სამღვდელოების დელეგაციას კიევის მაშინდელმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა საჩუქრად გადასცა წმინდა ბარბარეს ნეკა თითის ნაწილი. აღნიშნული სიწმინდე ამჟამად დასვენებულია თბილისის ქვემო ბარბარეს სახელობის ეკლესიაში. რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩამოაბრძანეს დიდმოწამე ბარბარეს ხატი, რომელშიც წმინდა ნაწილი იყო ჩაბრძანებული. ეს ხატი საპატრიარქოს შეწირეს და იქ არის დაცული.**

**წმინდა დიდმოწამე ბარბარე ბავშვების მფარველად ითვლება. მას ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის.**

საქართველოში წმინდა ბარბარეს უძველესი დროიდან სცემენ თაყვანს. მარტო თბილისში მისი სახელობის ოთხი ტაძარია, მათგან პირველი მე-8 საუკუნეშია აგებული.

**გამძვინვარებულმა მარკიანემ ბრძანა წმინდა ბარბარეს გაშიშვლება და ქალაქში ასე ჩამოტარება, მაგრამ უფალმა არ დაუშვა თავის წმიდა სასძლოს შერცხვენა და წარმოგზავნა ანგელოზი, რომელმაც სპეტაკი სამოსით დაფარა დიდმოწამის სხეული. მთელი ქალაქი გამოეფინა შიშველი ქალწულის სანახავად, მაგრამ მისი სიშიშვლე ვერ იხილა. მარკიანე მიხვდა, რომ სატანჯველმა არაფერი ავნო წმინდა მონამეს და შეეშინდა, რომ ამის მნახველი მრავალი მოქალაქე მოიქცეოდა ქრისტეს სჯულზე**

**წმინა დიდმოწამე ბარბარე ბავშვების მფარველად ითვლება. მას ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის**

განსაცდელი უკრაინაში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკრაინაში მიმდინარე დაპირისპირება — ეს არ არის დაპირისპირება მხოლოდ ორ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის და ის გავლენას ახდენს სრულიად მართლმადიდებელ სამყაროზე, მართლმადიდებელთა შორის ურთიერთობაზე. ის ანგრევს ეკლესიის ათასწლოვან კანონიკურ უფლებას, რომლის მთავარი პრინციპი არის ეკლესიის იურისდიქციის პრინციპი, და ეს შეზღუდვები მკაფიოდ არის განსაზღვრული“.**

# ახალი ეკლესიის მეთაურად ეპიფანე გამოაცხადეს

**15 დეკემბერს კიევში ე.წ. გამაერთიანებელ კრებაზე უკრაინის ერთიანი ეკლესიის მეთაური აირჩიეს. ის არის „რასკოლნიკური“ კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პერეიასლავსკისა და ბელოცერკოვსკის მიტროპოლიტი ეპიფანე, ფილარეტის მარჯვენა ხელი. ახლა მისი ტიტული სხვანაირად ისმის — კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი.**



სამი კვირის შემდეგ, 6 იანვარს, ეპიფანე უნდა გაფრინდეს სტამბოლში, უფრო ზუსტად, როგორც მართლმადიდებელ სამყაროში ამბობენ, კონსტანტინოპოლში. იქ მან უკრაინის პრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოსთან** ერთად უნდა მიიღოს პოროშენკოსთვის სანატრელი ტომოსი ავტოკეფალიის შესახებ — საეკლესიო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის პროცესის დასრულებას.

კრებაში სულ მონაწილეობდა 190 ადამიანი, ყველაზე მეტი იყო კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი: დელეგაციის შემადგენლობაში შევიდა 42 იერარქი და მათი თითო-თითო მღვდელი და მრევლის წარმომადგენელი, სულ 126 დელეგატი.

კენჭისყრა ჩატარდა ორტურად. ამ პოსტზე პოროშენკოს კანდიდატურად მიიჩნეოდა ვინიცის მიტროპოლიტი **სიმეონი**, მოსკოვის საპატრიარქოს ყოფილი იერარქი. ის, აგრეთვე, იყო მსოფლიო პატრიარქ **ბართოლომეოსის** ფავორიტიც. ფენერში (სტამბოლის რაიონი, სადაც განლაგებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია) დარწმუნებულნი იყვნენ — სჯობს ის, ვიდრე კიევის საპატრიარქოს წარმომადგენელი, ვის მიმართაც ბევრი კითხვა დაგროვდა — კერძოდ, პატრიარქ ფილარეტის ქცევის მანერებისა და მუშაობის მეთოდების მიმართ.

ფილარეტის მომხრეთა რაოდენობეს სიჭარბე თვალში საცემი იყო, სიმონის „მხარდამჭერთა ჯგუფი“ კი ისეთი მცირერიცხოვანი გახლდათ, რომ მისი კანდიდატურა ვერ გავიდა. ამასთანავე, ფილარეტის მომხრეები დათანხმდნენ მსოფლიო პატრიარქის მიწოდებულ წესდებას, რომელშიც თითქოსდა „ავტოკეფალიური“ ეკლესიის უფლებები ძალიან არის შეკვეცილი.

მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტები **დრაბინკო** და **სიმეონი** კრებაში მონაწილეობის შემდეგ ამორიცხეს კანონიკური იერარქების სიიდან. ისინი აღარ არიან მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტები და მათთან გაწყვიტეს ევქარისტული კავშირი.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ პირველი მღვდელმსახურება ჩაატარა



**13 დეკემბერს, წმინდა ანდრია მოციქულის დღეს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეგზარქოსებმა პირველი ლიტურგია გამართეს კიევის ანდრიას სახელობის ტაძარში. ღვთისმსახურებას ხელმძღვანელობდა ედმონტონის ეპისკოპოსი ილარიონი (რუდნიკი). მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პროტესტის მიუხედავად, რომელმაც მიუთითა მის კანონიკურ ტერიტორიაზე არასანქცირებული მსახურების გამართვის დაუშვებლობაზე, ღვთისმსახურება მაინც გაიმართა.**

ღვთისმსახურებას ესწრებოდა გალიის ეპისკოპოსი **ემანუელი (ადამაკისი)** — კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სპეციალური წარმომადგენელი, რომელმაც 15 დეკემბერს ე.წ. გამაერთიანებელი კრება ჩაატარა უკრაინაში ახალი საეკლესიო სტრუქტურების შექმნის თაობაზე.

მსახურება ღია რეჟიმში მიმდინარეობდა, მისულთა უმრავლესობას (სულ შეიკრიბა 50 კაცი) შეადგენდნენ ჟურნალისტები და ხელისუფლების წარმომადგენლები. მართლმადიდებელი ჟურნალისტების კავშირის გავრცელებული ინფორმაციით, არაღიარებული კიევის საპატრიარქოსა და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები მსახურებას არ დასწრებიან. კონსტანტინოპოლის **ეგზარქოს კირილეს** მიერ გამართულ ღვთისმსახურებაში მონაწილეობდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის 2 კლირიკი. მათგან ერთი არის **ალექსეი მაციურა**, წარმომადგენელი კიევის ერთ-ერთი ტაძრისა, რომლის წინამძღვარია მიტროპოლიტი **ალექსანდრე დრაბინკო;** მეორე ღვთისმსახურია სოფელ კონჩა-ზასპას ზონის ტაძრის წინამძღვარი **ბოგდან გულიამოვი**, რომელზეც ინტერნეტგამოცემები წერენ, რომ ცნობილი დნეპროპეტროვსკელი ავტორიტეტის, **ალექსანდრე პეტროვსკის**, მეტსახელად „ნარიკის“, მარჯვენა ხელია.

ალსანიშნავია, რომ მიტროპოლიტი ალექსანდრე დრაბინკო და ვინიცის მიტროპოლიტი სიმონი მონაწილეობდნენ ე.წ. გამაერთიანებელ კრებაში.

**მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

# ვინიცაში მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძარი მიიტაცეს

**15 დეკემბერს, სანამ კიევში მიმდინარეობდა ე.წ. გამაერთიანებელი კრება, დილის მსახურების ჩატარების შემდეგ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ვინიცის საკათედრო ტაძარი მიიტაცეს.**

მართლმადიდებელი ჟურნალისტების კავშირის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 15 დეკემბერს, დილით, ტაძართან მივიდა სპორტული აღვანობის დაახლოებით 20 ახალგაზრდა მამაკაცი და დაცვის წევრებს კომპლექსის ყველა ოთახის კარის გასაღებები წაართვა. „აიღეთ თქვენი რაღაცები და წადით!“ — განუცხადეს მათ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს.

**უკრაინის უშიშროების სამსახური ცდილობს, აიძულოს ვინიცის ეპარქიის ეპისკოპოსები, მხარი დაუჭირონ მიტროპოლიტ სიმეონს მის მისწრაფებაში, მონაწილეობა მიიღოს ახალი ეკლესიის შექმნაში,** — განაცხადა ტელეარხ „112 უკრაინის“ ეთერში მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელმა, **არქიეპისკოპოსმა კლიმენტმა.**

მისი თქმით, ვინიცის ეპარქიის საკათედრო ტაძარში მსახურების ჩატარების შემდეგ მივიდნენ უცნობი მამაკაცები, რომლებმაც მოითხოვეს ტაძრის კარებისა და ტერიტორიაზე შესასვლელების ელექტრონული გასაღებების გადაცემა. ამჟამად იქ გაჩნდა ახალი დაცვა, რომელიც ტაძარში არ უშვებს მღვდელმსახურებს.

„არის ინფორმაცია, რომ უკრაინის უშიშროების სამსახური აქტიურად ცდილობს, აიძულოს ვინიცის ეპარქიის მღვდელმსახურები, მხარი დაუჭირონ მათი მმართველი იერარქის ავტოკეფალიურ განწყობებს, ანუ მხარი დაუჭირონ მის იდეას, მონაწილეობა მიიღოს ახალი საეკლესიო სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. რადგან ვინიცელი სასულიერო პირების უმრავლესობა კატეგორიული წინააღმდეგია ასეთი იდეისა, არსებობს მუქარა ვინიციელი მღვდელმსახურებების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეეცდებიან დაიცვან თავიანთი კანონიკური პოზიცია“, — განაცხადა არქიეპისკოპოსმა.

ვინიცის ეპარქიის მმართველი, ვინიცისა და ბარსკის **მიტროპოლიტი სიმეონი** ერთადერთი იერარქია, რომელმაც ხელი არ მოაწერა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დადგენილებას ე.წ. გამაერთიანებელი კრების უარყოფის შესახებ. მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებიდან მხოლოდ ორი — ის და პერეიასლავ-ხმელნიცკისა და ვიშნევსკის მიტროპოლიტი **ალექსანდრე დრაბინკო** მონაწილეობდნენ ე.წ. გამაერთიანებელ კრებაში.

ალსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო** სწორედ მიტროპოლიტ სიმონს ლობირებს უკრაინის გაერთიანებული ეკლესიის მეთაურის პოსტზე.

**მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

# «პატრიარქი ბართოლომეოსი გასცდა თავისი იურისდიქციის საზღვრებს»

**კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოსი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სიტუაციაში გასცდა თავისი იურისდიქციის საზღვრებს, — განაცხადა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრმა, ვიდინსკის მიტროპოლიტმა დანიელმა (ნიკოლოვმა).**



კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართოლომეოსმა უკრაინის „ახალი ეკლესიის“ არჩეული წინამძღოლი 6 იანვარს, შობის დღესასწაულის წინა დღეს, მიიწვია სტამბოლში, სადაც გადასცემს მას ტომოსს ავტოკეფალიის შესახებ.

„უკრაინაში მიმდინარე დაპირისპირება — ეს არ არის დაპირისპირება მხოლოდ ორ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის და ის გავლენას ახდენს სრულიად მართლმადიდებელ სამყაროზე, მართლმადიდებელთა შორის ურთიერთობაზე. ის ანგრევს ეკლესიის ათასწლოვან კანონიკურ უფლებას, რომლის მთავარი პრინციპი არის ეკლესიის იურისდიქციის პრინციპი, და ეს შეზღუდვები მკაფიოდ არის განსაზღვრული“. — განაცხადა მიტროპოლიტმა **დანიელმა** ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა ბულგარეთის ეკლესიის ოფიციალურ საიტზე.

მიტროპოლიტმა განმარტა, რომ თითოეულ ავტოკეფალიურ ეკლესიას აქვს უფლება თვითმმართველობაზე თავის საზღვრებში და არ აქვს უფლება, თავიანთი იურისდიქცია გაავრცელონ სხვა ადგილობრივ ეკლესიებზე.

ჩვენ აქ შეგვიძლია მივუთითოთ მეორე მსოფლიო კრების მეორე და მესამე მსოფლიო კრების მერვე მუხლებზე, რომლებიც უკრძალავს ცალკეულ მართლმადიდებელ ეკლესიებს, გაავრცელოს იურისდიქცია თავიანთი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

კითხვაზე — გასცდა თუ არა პატრიარქი ბართოლომეოსი თავისი იურისდიქციის საზღვრებს ამ სიტუაციაში, მიტროპოლიტმა დანიელმა უპასუხა: „ჩვენ ვთვლით, რომ ეს ასეა“.

**„პატრიარქი ბართოლომეოსი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სათავეშია 1991 წლიდან. ის ყოველთვის აღიარებდა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია არის მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ახლა კი უცებ განაცხადა, რომ კიევის მიტროპოლია არასოდეს ყოფილა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში“,** — აღნიშნა მან.

დანიელმა გაიხსენა, რომ 1686 წლის ცნობილ დოკუმენტში, რომელშიც კონსტანტინოპოლის ეკლესია მოსკოვის პატრიარქს კიევის მიტროპოლიტის ხელდასხმის უფლებას აძლევს, იყო მოთხოვნა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის სახელი მოხსენიებულიყო ღვთისმსახურებაში, რაც არის ნიშანი იმისა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი აღიარებს მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას კიევის მიტროპოლიაზე.

უკრაინის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან იანვრის დასაწყისში მიიღებს ტომოსს ავტოკეფალიის შესახებ. 15 დეკემბერს კიევში გაიმართა „გამაერთიანებელი კრება“, რომელზეც „ახალი ეკლესიის“ მეთაურად აირჩიეს არაკანონიკური ეკლესიური სტრუქტურის მიტროპოლიტი ეპიფანე (დუმენკო).

**მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპარლამენტის დეპუტატები მიიჩნევენ, რომ სამედიცინო, საგანმანათლებლო და საპენსიო სფეროებში ჩატარებული რეფორმების შედეგები სავალალოა. ევროდეპუტატებმა აღნიშნეს ადამიანების იმედგაცრუება სოციალური პირობების გაუარესების გამო, მომავლის შიში, რეფორმების შედეგებით, აგრეთვე, ოლიგარქების ხელისუფლებისა და კორუფციით უკმაყოფილება. „მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა ქვეყნის საერთო განვითარებით“, — ნათქვამია რეზოლუციაში.**



## ევროპარლამენტი უკრაინას:
# იმოქმედეთ ჩვენი კარნახით!

## ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნეგატიურად გამოეხმაურა უკრაინის რეფორმებსა და დონბასში მშვიდობის დამყარების პერსპექტივას

### „ფასების მატება, შემწეობების შემცირება“. რეფორმების საერთო შეფასება

ევროპარლამენტის დეპუტატები მიიჩნევენ, რომ სამედიცინო, საგანმანათლებლო და საპენსიო სფეროებში ჩატარებული რეფორმების შედეგები სავალალოა.

ევროდეპუტატებმა აღნიშნეს ადამიანების იმედგაცრუება სოციალური პირობების გაუარესების გამო, მომავლის შიში, რეფორმების შედეგებით, აგრეთვე, ოლიგარქების ხელისუფლებისა და კორუფციით უკმაყოფილება.

**„მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა ქვეყნის საერთო განვითარებით“,** — ნათქვამია რეზოლუციაში. ამასთანავე, აღნიშნულია, რომ ბოლო პერიოდში პროევროპული რეფორმა უფრო მეტი განხორციელდა, ვიდრე დამოუკიდებელი უკრაინის არსებობის განმავლობაში.

ჩნდება კითხვა — **თუკი ამდენი პროევროპული რეფორმა განხორციელდა, რატომ ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც ამას აღიარებს თვით ევროპარლამენტი?**

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ 5 მლნ-ზე მეტი უკრაინელი წავიდა რუსეთში ან პოლონეთში, როგორც დიდი ხნით, აგრეთვე, სეზონურ სამუშაოზე.

### კორუფცია

ევროპარლამენტი უკმაყოფილოა უკრაინაში კორუფციასთან ბრძოლის მიმდინარეობით. **„არსებული სასამართლო სისტემა კვლავინდებურად უეფექტოა, კორუფცირებული და პოლიტიკურად დამოკიდებული“,** — აღნიშნავენ ევროდეპუტატები.

განსაკუთრებით ხაზგასმულია ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა ანტიკორუფციული ორგანოების მუშაობაში. „არის გენერალური პროკურორის ჩარევის პრობლემა და ანტიკორუფციული სამართლებრივი ბაზისთვის ძირის გამოთხრის მცდელობა“, — თავს დაატყდნენ ევროდეპუტატები **იური ლუცენკოს.** მეტიც, ევროპარლამენტმა მოუწოდა უკრაინის ხელისუფლებას, „ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება კორუფციაში ბრალდებებისა, რომლებიც გაისმა გენერალური პროკურორის წინააღმდეგ.

### ლგბტ პირების დაცვის სადარაჯოზე

ევროპარლამენტის რეზოლუციაში წერია ჟურნალისტებსა და ლგბტ აქტივისტებზე თავდასხმების შესახებ. დოკუმენტში „მკაცრად არის დაგმობილი ფიზიკური თავდასხმების მკვეთრი მატება სამოქალაქო უფლებების დამცველებსა და ჟურნალისტებზე“.

დოკუმენტის შემქმნელები ამტკიცებენ, რომ უკრაინაში მოიმატა სისხლის სამართლის საქმეებმა, აღძრულმა იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც გამოავლინეს კორუფციის შემთხვევები ან აკრიტიკებდნენ მთავრობას, აგრეთვე, მის პოლიტიკას აღმოსავლეთ უკრაინის მიმართ.

სამოქალაქო აქტივისტების უფლებების დარღვევის ცალკე პუნქტად მოხსენებულია თურქეთისთვის იმ აქტივისტების გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არიან **ფეთჰულა გიულენთან** — ერდოღანის ხელისუფლების ოპოზიციონერ მოძღვართან. აღნიშნულია, რომ უკრაინის უშიშროების სამსახური საიდუმლოდ გადასცემს ხოლმე თურქეთს ჟურნალისტებსა და აქტივისტებს.

### ულტრა-მემარჯვენეების თავგასულობა

ევროპარლამენტი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ მთავრობამ აქამდე არ განაიარაღა „მემარჯვენე სექტორისა“ და სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების ქვედანაყოფები.

რეზოლუციაში არის **„მოწოდება მთავრობისადმი, ბოლო მოუღოს უკანონობის ატმოსფეროს და შეიარაღებული რადიკალების თავდასხმებს უმცირესობასა და სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ“.**

ევროდეპუტატებმა, აგრეთვე, დაგმეს მოსამართლეების დაშინების პოლიტიკა და არჩევნებზე გავლენის მცდელობა რადიკალური დაჯგუფებების მხრიდან. მოითხოვეს „იმ პირების განუხრელი დევნა, რომლებიც ასეთ სამართალდარღვევებს სჩადიან“.

**ევროპა აღაშფოთა „ნაციონალურმა მანიფესტმაც“, რომელიც ახლახან მიიღეს პარტია „სვობოდამ“, „მემარჯვენე სექტორმა“ და სხვა მემარჯვენე დაჯგუფებებმა. ისინი, ევროდეპუტატების აზრით, გამოდიან უკრაინის ევროინტეგრაციის წინააღმდეგ და მოუწოდებენ „ახალი გეოპოლიტიკური მიდგომებისკენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის“.**

### არჩევნები – 2019

**ევროპა დაჟინებით მოუწოდებს უკრაინას, სასწრაფოდ მიიღოს ახალი საარჩევნო კოდექსი (ის უკვე მიიღეს პირველი მოსმენით და ითვალისწინებს მაჟორიტარულ სისტემაზე უარის თქმას) ევროდეპუტატები, აგრეთვე, მოითხოვენ პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობას.**

ევროპარლამენტი მოუწოდებს უკრაინის ხელისუფლებას, არჩევნების წინ მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას მანიპულაციები „რამდენიმე პირის ხელში პოლიტიკური, ეკონომიკური და მედიური ძალაუფლების კონცენტრაციის გზით“.

### უმცირესობების ენა და უფლებები

**ევროპარლამენტმა შეახსენა უკრაინის ხელისუფლებას, რომ მან დაიკისრა ვალდებულება, შეეცვალა კონსტიტუცია ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის, პატივი ეცა უმცირესობის უფლებებისთვის. შეგახსენებთ: საუბარია ადამიანების ენობრივ უფლებებზე.**

ამ მიზნით **ევროდეპუტატები მოუწოდებენ, არ შეზღუდონ უმცირესობის ენაზე მასმედიის შესაძლებლობები, რათა ყველა ეროვნების მოქალაქეს ჰქონდეს თანაბარუფლებიანი წვდომა ინფორმაციაზე.**

ეს არის პასუხი უკრაინიზაციის კანონპროექტებზე, რომლებსაც ახლა განიხილავს უკრაინის პარლამენტი: ამ კანონპროექტებში არის საფრთხე, რომ უკრაინაში გაუქმდეს ყველა რუსულენოვანი გამოცემა.

ამას გარდა, ევროპარლამენტმა მოითხოვა, ცვლილებები შეიტანონ განათლების კანონში — შეიცვალოს სკანდალური ენობრივი მუხლი, გაიზარდოს გარდამავალი პერიოდი 2023 წლამდე და გათავისუფლდეს კერძო სკოლები ენობრივი მოთხოვნებისგან. უკრაინისგან, აგრეთვე, მოითხოვენ დიალოგის გამართვას ეროვნულ უმცირესობებთან განათლების საკითხებზე.

**მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**ჩნდება კითხვა — თუკი ამდენი პროევროპული რეფორმა განხორციელდა, რატომ ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც ამას აღიარებს თვით ევროპარლამენტი?**




## «პობედა» მზად არის, აიყვანოს ქართველი პილოტი, რომელიც მოსკოვს სიყვარულში გამოუტყდა

**ავიაკომპანია „პობედა“ მზად არის სამუშაოდ აიყვანოს ქართველი პილოტი, რომელიც Georgian Airways-მა ჩამოაშორა ფრენებს, — დაწერა ლოუკოსტერის (საბიუჯეტო ავიაკომპანია — ნ.კ.) გენდირექტორმა ანდრეი კალმიკოვმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში.“**

რამდენიმე დღის წინათ მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კომპანია Georgian Airways-ის თანამშრომელი დროებით ჩამოაცილეს ფრენებს რუსეთის დედაქალაქისადმი მეტისმეტი სიმპათიის გამო. მოსკოვის აეროპორტში თვითმფრინავის დაშვებისას მან რადიოეთერში თქვა: „საყვარელი დიადი მოსკოვი“. ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის, **გივი დავითაშვილის** აზრით, პილოტის ასეთი საუბარი ავიადისპეტჩერთან დაუშვებელია, ანდრეი კალმიკოვმა კი, თავის მხრივ, ქართველი პილოტი „პობედაში“ ტესტირების გასავლელად მიიწვია. მისი თქმით, ავიაკომპანიაში დიდად აფასებენ მაღალ პროფესიონალიზმსა და იუმორს“.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



## უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარი განაცხადა კონსტანტინოპოლის მიერ შექმნილი ეკლესიის აღიარებაზე

**უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების შემომტანად მიიჩნევენ სტრუქტურას, რომელიც ახლახან შეიქმნა კიევში ე.წ. გამაერთიანებელ კრებაზე კონსტანტინოპოლის მხარდაჭერით.**

„როგორც უნდა ეცადონ, განხეთქილების შემომტანები გამოაცხადონ ეკლესიად, არაკანონიკური — კანონიკურად, ქრისტეს სხეულის ტაძარი არ მიიღებს ამას, იმიტომ, რომ სტრუქტურა, რომელიც შეიქმნა გუშინ, იყო და არის უცხო სხეული, რომელსაც ეკლესიის სხეული მოიშორებს და არ მიიღებს“, — დაწერა სოციალურ ქსელში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების უფროსის მოადგილემ, დეკანოზმა **ნიკოლაი დანილევიჩმა.**

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის აზრით, „გამაერთიანებელ კრებას“, თავისი არაკანონიკურობიდან გამომდინარე, საერთო არაფერი აქვს ეკლესიურ ცხოვრებასთან. „ის, რაც მოხდა გუშინ ეროვნული ნაკრძალის ტერიტორიაზე, მოხდა ეკლესიის საზღვრებს გარეთ და ქრისტეს ეკლესიასთან საერთო არაფერი აქვს“. ორი „რასკოლნიკური“ მიმდინარეობიდან (უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია და კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია) შექმნეს ერთი მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინაში. მეტი არაფერი შეცვლილა. „რასკოლნიკები“ „რასკოლნიკებად“ დარჩნენ, ეკლესია — ეკლესიად“, — აღნიშნა მღვდელმსახურმა.

„ამასთანავე, — დასძენს ის, — სასიხარულოა, ამ ეპისკოპოსებმა, საერთოდ, სასულიერო პირებმა, შეინარჩუნეს ეკლესიისადმი ერთგულება.

ეკლესიამ გამოავლინა თავისი ერთიანობა, სამწუხაროა, რომ ერთეულები წავიდნენ განხეთქილებაზე, რომ ამ განხეთქილებას მხარს უჭერს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო“.

15 დეკემბერს კიევში ე.წ. გამაერთიანებელი კრების დასრულების შემდეგ პერეიასლავსკისა და ბელოცერკოვსკის მიტროპოლიტი **ეპიფანე (დუმენკო)** კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიიდან ოფიციალურად გამოაცხადეს უკრაინაში ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლად. წესდების მიხედვით, „ახალი“ ეკლესიის სახელწოდება არის „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“.

**მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ობივატელების უდიდესი უმრავლესობა დასავლეთში და ჩვენთანაც, ქვეყნის შიგნით, დარწმუნებულია, რომ სსრკ იდეოლოგიური გაკოტრების შედეგად დაინგრა. დღეს კომუნისტური ჩინეთი წარმატებით აბათილებს ამ თვალსაზრისს. მაშასადამე, ყველაფერი, რაც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ადამიანური ფაქტორისა და მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო.**

# ხომ არ მიგვებაძა?

**აშშ-ში პოპულარულმა ტელეარხმა CNBC-მ ახლახან გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ელექტრონული გიგანტი „ალიბაბას“ თანადამფუძნებელი ჯეკ მა 1980 წლიდან ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრია. მითითებულია წყარო — მთავრობის სპეციალური მოხსენება, რომელშიც ჩამოთვლილია ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ჩინელების გვარები.**

CNBC-ის ჟურნალისტებმა შეისწავლეს ჩინურ მედიაში მილიარდერის შესახებ გამოქვეყნებული მასალები და იპოვეს სოციალურ ქსელებში მისი თანაკლასელის პოსტი, მოგონებები უმაღლეს სკოლაში ერთად გატარებული ცხოვრების შესახებ. „უნივერსიტეტის მეორე-მესამე კურსზე ყოფნისას ყველანი პარტიაში შევედით. მაშინ პარტიის წევრობა ნიშნავდა არა მხოლოდ იმას, რომ კარგი სტუდენტი იყავი, არამედ იმასაც, რომ გქონდა ორგანიზატორული ნიჭი, იყავი ენთუზიასტი და გაგაჩნდა იდეალები“, — წერია აკაუნტში, რომელსაც CNBC იმოწმებს.

**აშშ-ის ბევრმა ანალიტიკოსმა არ დაიჯერა, რომ მა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპარტიის წევრი იყო. ამერიკული განზომილებით, ის, ვინც ლენინიზმისა და მაოიზმის მიმდევარია, მილიარდერი ვერასოდეს გახდება. ოჯენის** გაღმა სწამთ, რომ „ფულის ტომრების“ კლუბში შესვლის უნარი და შესაძლებლობა გააჩნიათ მხოლოდ კაპიტალიზმის ზვიგენებს, რომელთათვისაც ფულის მოგება ცხოვრების აზრი და უმთავრესი მიზანია.

„ალიბაბას“ თანადამფუძნებლის გარდა, ზემოთ დასახელებულ სამთავრობო მოხსენებაში ჩაწერილები არიან საინვესტიციო ჰოლდინგ Tencent-ის გენერალური დირექტორი **პონი მა** და Google-ის ჩინური ანალოგის — Baidu-ის გენერალური დირექტორი **რობინ ლი.** ეს კი ნიშნავს, რომ „დიდ ცხოვრებაში“ გზა მხოლოდ პარტბილეთის მფლობელებს არ გაუკვალავთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენიმე შეკითხვა იბადება, რომელთა შორის უმთავრესი უწინდებურად აქტუალურია: რომელი ჯობს — კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი (კომუნიზმი)? **საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ობივატელების უდიდესი უმრავლესობა დასავლეთში და ჩვენთანაც, ქვეყნის შიგნით, დარწმუნებულია, რომ სსრკ იდეოლოგიური გაკოტრების შედეგად დაინგრა. დღეს კომუნისტური ჩინეთი წარმატებით აბათილებს ამ თვალსაზრისს. მაშასადამე, ყველაფერი, რაც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ადამიანური ფაქტორისა და მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო.**

ამრიგად, კომუნისტი ჯეკ მა ჩინეთში ყველაზე წარმატებული მეწარმეა, იგი ხელმძღვანელობს ბიზნესს, რომლის ჯამური ღირებულება 6,5 ტრილიონი დოლარია. გლობალური კვლევითი კომპანია Wealth-X-ის შეფასებით, დღეს მსოფლიოში სამი ათასამდე მილიარდერია, რომელთა შორის 680 აშშ-ის მოქალაქეა, 338 კი — ჩინეთის. UBS ბანკმა დამატებით ერთი მონაცემი გამოაქვეყნა: 2017 წელს ჩინეთში ორ დღეში ერთხელ ახალი მილიარდერი ვლინდებოდა. **ჩინელები კი ამტკიცებენ, რომ დღეისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 819 მილიარდერი ცხოვრობს, ანუ უფრო მეტი ვიდრე აშშ-ში.**

საინტერესოა, რომ დღეს ჩინეთში არ მოქმედებს თანამედროვე ულტრამემარჯვენე კაპიტალიზმის (ამერიკული მოდელის) საკვანძო ფორმულა: მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები — ღატაკდებიან. **დენ სიაოპინის** რეფორმების განხორციელებით 700 მილიონზე მეტი ჩინელი სიღარიბის კლანჭებს გამოსტაცეს. მაშასადამე, ჩინელი ბიზნესმენები არა მხოლოდ ეფექტიანად მოღვაწეობენ, არამედ სოციალური პასუხისმგებლობითაც არიან დატვირთული. თავმჯდომარე სი ძინპინმა შარშან განაცხადა, რომ სოციალისტური მოდერნიზაციის შედეგად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიო ლიდერად ყალიბდება არა მხოლოდ ინოვაციების კუთხით, არამედ სამართლის უზენაესობის თვალსაზრისითაც. შედეგად, მართვის ჩინური მოდელი მისაბაძი გახდება მსოფლიო მასშტაბით.



ჯეკ მა, „ალიბაბას“ დამფუძნებელი

ადამიანები იცხოვრებენ კომფორტულ პირობებში, სახელმწიფოს ძირითადი მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება თითოეული მოქალაქისთვის, შემოსავლის უთანაბრობა, განსაკუთრებით საქალაქო და სასოფლო რაიონებს შორის შემცირდება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება გარემო პირობები.

**მსოფლიო ბანკიც კი იძულებულია, აღიაროს ჩინეთის ფენომენალური წარმატება კაცობრიობის ისტორიაში სიღარიბის უპრეცედენტო შემცირების თაობაზე.**

სიღარიბის უმაღლეს დონედ რომ ჩათვალოთ მინიმალური შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანს ყოველდღიურად 1000 კალორიით პლუს პირველადი მოხმარების სხვა საქონლით, მაშინ გამოვა, რომ 1981 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სიღარიბის ეროვნულ ზღვარს მიღმა იმყოფებოდა მცხოვრებთა 63 პროცენტი. 2018 წელს კი ასეთი ღატაკი ადამიანების წილი 1,37 მილიარდი მოქალაქის საერთო რაოდენობიდან 30 მილიონამდე შემცირდა, რაც 2 პროცენტზე ოდნავ მეტია.

გელაპის ინსტიტუტის სტატისტიკური კვლევების თანახმად, სიღარიბის დონე ჩინეთში 2007 წლის 26 პროცენტიდან 2012 წელს 7 პროცენტამდე შემცირდა და კვლავ განაგრძობს კლებას. ვარაუდობენ, რომ 2020 წლისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სიღარიბეს, როგორც სოციალურ მოვლენას, სრულად ამოძირკვავენ.

საქართველოში საშუალო და უფროსი თაობის მოქალაქეების უმრავლესობას, სახელმწიფომ ბინები უფასოდ დაურიგა „აუტანელი“ საბჭოთა წყობილების დროს. ასე რომ არ მომხდარიყო, საცხოვრებლის შესაძენად მათ ფულის გადახდა რომ დასჭირვებოდათ „ქეშად“ ან იპოთეკის დახმარებით, როგორც ამას ჩინელების უდიდესი უმრავლესობა იქმს, მაშინ ჩვენთან ტოტალური სიღატაკე იქნებოდა გამეფებული.

**ჩინეთში სიღარიბის შემცირება ტალღის პრინციპით ოთხჯერ განხორციელდა კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების პარალელურად.**

სიტუაციის უფრო ნათლად წარმოსადგენად დამატებით რამდენიმე ფაქტს შემოგთავაზებთ.

Medina and Schneider-ის ინდექსის მიხედვით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშპს 11,74 პროცენტი „ჩრდილშია“ მოქცეული, იმდენივეა, რამდენიც შვედეთსა და საფრანგეთში. **შედარებისთვის:** ისრაელში 19,18 პროცენტს შეადგენს, უკრაინაში — 57 პროცენტს, საქართველოში — 53,7 პროცენტს.

კორპორაცია „ალიბაბას“ წარმატებები 1999-დან 2010 წლის პერიოდზე მოდის, ანუ იმ დროზე, როცა ჩინეთის პროგრესი თავისი მოქალაქეების კეთილდღეობის გლობალური გაუმჯობესების კუთხით განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო. ეს მოხდა მაშინ, როცა ჰუ ძინტაოს ჩინეთის თავმჯდომარეობის ჟამს მთავრობა დაუნდობლად ებრძოდა კორუფციონერებს, მათ შორის, ძალოვან სტრუქტურებშიც. მათ, ვინც პატიოსან ბიზნესს აბრკოლებდა, საჯაროდ ხვრეტდნენ.

## ქიშპობიდან თანამშრომლობისა და დაახლოებისკენ

# საუდის არაბეთი ფსონს ქრისტიან კოპტებზე დებს



**ეგვიპტის ქრისტიანი კოპტების პატრიარქმა თავადროს II-მ ინგლისურენოვან გაზეთ Arab News-ის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში ილაპარაკა ახლო აღმოსავლეთში არსებულ რელიგიურ მდგომარეობაზე. ქრისტიანებს რეგიონში ყოველთვის დევნიდნენ, „მაგრამ ამჟამად დევნა იმდენად გაძლიერდა და გავრცელდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის აზრით, საჭიროა ძალთა მობილიზება ქრისტიანების დასაცავად ახლო აღმოსავლეთში“ — „პატრიარქი ეთანხმება, რომ სიტუაცია საგანგაშოა“.**

ამასთან, თავადროს II-ს იმედი აქვს, საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცის — მუჰამედ ბინ სალმანის, რომელსაც მიიჩნევს ობიექტურ ადამიანად, პიროვნებად, რომელიც მოვლენებს რეალისტურად აღიქვამს. „ეს ჩვენ ფრიად გვახარებს. მე პირადად ვაკვირდები ყველა პოზიტიურ მოვლენას, რომლებიც ვითარდება მეფე სალმანის, მემკვიდრე პრინცისა და ყველა საუდელი მოხელის მითითების საფუძველზე. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ საუდის არაბეთი არაბეთისა და ისლამური სამყაროს მთავარი დასაყრდენია და, ამავე დროს, საერთაშორისო დონის სერიოზული ძალაა“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ თავადროს II მოუთმენლად ელოდება საუდის არაბეთში ვიზიტს, სადაც იგი მუჰამედ ბინ სალმანმა მიიწვია. შეგახსენებთ, რომ ეს მოხდა პატრიარქისა და საუდის არაბეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს, დელეგაციას მუჰამედ ბინ სალმანი მეთაურობდა. ეს შეხვედრა, რომელიც ისტორიაში პირველი იყო, ა.წ. დეკემბრის დასაწყისში ეგვიპტურ ალექსანდრიაში გაიმართა. ერ-რიადელმა სტუმარმა თავადროს II-სთან ერთად დაათვალიერა წმინდა მარკოზის ტაძარი, შემდეგ კი მოეწყო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები ორივე მხრიდან. წინა დღით კი თვით საუდის არაბეთში, ადგილობრივი კოპტელის სახლში გაიმართა ლიტურგია, რომელიც ჩაატარა შუბრი-ელ-ჰეის კოპტელმა ეპისკოპოსმა ავა მერკორიოსმა. მთელ რიგ გამოცემებში აღინიშნა, რომ ეს იყო „საუდის არაბეთის ხელმძღვანელობის ქრისტიანებისადმი შეცვლილი მიდგომის ნაწილი“.



თავადროს II ხშირად ჩადის რუსეთში და არანაკლებ ხშირად მასპინძლობს რუსეთელ სტუმრებს. 2017 წლის მაისში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოში ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, რომელმაც ასე მიმართა მას: „ურთიერთობა თქვენთან, ადამიანთან, რომელიც ქრისტიანობის წარმომადგენელია ეგვიპტეში, ჩვენთვის ფრიად სასიამოვნოა... ვიცი, რომ პრეზიდენტი სისი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია, აქტიურად ეხმარება კოპტებს ეგვიპტეში“. საპასუხო სიტყვაში თავადროს II-მ აღნიშნა, რომ იგი მეორედ ეწვია მოსკოვს და ხაზი გაუსვა: „ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ბატონ პრეზიდენ სისისთან, ეგვიპტის მთავრობასთან და ეგვიპტის პარლამენტთან. ჩვენ ძალას არ ვიშურებთ ქრისტიანებისა და მუსლიმების ეროვნული ურთიერთობის გასამყარებლად“. თუ გაღრმავდება დიალოგი ერ-რიადსა და კაიროს შორის რელიგიური სფეროს საკითხებზე, გამორიცხული არ არის, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრებიც ჩავიდნენ საუდის არაბეთში.



ალექსანდრე დუგინი

**THE INTEGRITY INITIATIVE-ს მასალების წაკითხვის დროს DEJA VU-ს შეგრძნება გიჩნდება: ხომ არ მოქმედებს ჩვენს საზოგადოებაში იგივე ან ანალოგიური სტრუქტურის სეგმენტი? ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურის, ცალკეული პიროვნებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების საქმიანობა ძალიან ხომ არ ჰგავს ნაცნობ „ალგორითმს“?**

საინფორმაციო ომი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰაკერებმა შეაღწიეს ბრიტანული ორგანიზაცია The Integrity Initiative-ის ფაილების ქსელში და გამოამზეურეს უაღრესად საინტერესო დეტალები. ეს ორგანიზაცია გამოირჩეოდა ევროპაში ანტირუსული პროპაგანდის გავრცელებით. ამ ფაილების ნამდვილობა ორგანიზაციამ აღიარა.**



# სიმართლე Integrity Initiative-ის შესახებ



ჯერემი კორბინი

**ჩვენ წინაშეა ქსელური ომის უმძლავრესი, გეოპოლიტიკური მასშტაბის აპარატი. ეს მასშტაბი მრავალჯერ აჭარბებს თანამედროვე ბრიტანეთის ეროვნული ინტერესების დონეს**

რაც პირადად მე შემეხება, გახსნილი ფაილების ესპანურ ნაწილში აღმოვაჩინე ამ ქვეყანაში ჩემი მოგზაურობისა და გამოსვლების დაწვრილებითი მონიტორინგი, ცნობები ესპანურად თარგმნილი ჩემი წიგნების (რაც ცოტა არ არის) პრეზენტაციების შესახებ, ესპანეთის პრესაში და ტელევიზიით ჩემი იდეებისა და ჩემზე გამოთქმული დადებითი შეფასებების შესახებაც კი. ეს ყველაფერი ილუსტრირებული იყო ფოტოსურათებით და საქმის არსის საკმაოდ დაწვრილებითი ანალიზით.

ყურადღებით შევისწავლე გამოქვეყნებული მასალების მასივი, შევუფარდე ჩემ შესახებ გამოთქმულ პუბლიკაციებს და არაერთი დასკვნა გავაკეთე, რომელთა შესახებ ჩემს აზრს მკითხველებს გავუზიარებ.

The Integrity Initiative-ის (ii) არის ორგანიზაცია, რომელიც ბრიტანეთის მთავრობის მიერ ფინანსდება, მაგრამ ბრიტანეთის ეროვნულ ინტერესებს სრულად ვერ გამოხატავს. ამას ადასტურებს კარგად ორგანიზებული კამპანია, რომელიც ბრიტანეთის ლეიბორისტების ლიდერის **ჯერემი კორბინის** წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მოღვაწის დისკრედიტაციის მეთოდებსა და ალგორითმებს ii ღიად განიხილავს. პოპულარული პოლიტიკოსის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება აბსოლუტურად არ ეფარდება ბრიტანული დემოკრატიის ნორმებს.

ამასთანავე, ii-ს დაქირავება შეუძლია ნებისმიერს, მაგალითად, კონკურენტის დისკრედიტაციისთვის. ეს სტრუქტურა სულ სხვა დონისაა, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს ევროპის პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვან ნაწილზე და, შესაძლოა, მის მიღმაც. კორბინთან დაკავშირებული ეპიზოდი მიგვითითებს, რომ ii-ის ზურგს უკან თუკი MI-6 დგას, არა როგორც მთავარი დამკვეთი, არამედ, როგორც მხოლოდ იარაღი, რომელიც უფრო ზემდგომი დონის ინსტანციას ემორჩილება. თუ რომელს, ამის გარკვევაში დაგვეხმარება მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება.

ii აღიარებს, რომ მისი მიზანია რუსეთთან იდეოლოგიური ომის წარმოება და, განსაკუთრებით, ევროპის მიმართ რუსეთის პოლიტიკისთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა. ამ მიმართულების მთავარი „აქსიომა“ ასეთია: პუტინის რუსეთი არის აბსოლუტური და უეჭველი მტერი, რომელიც მსოფლიო ბოროტების განსახიერებაა. „ბოროტი რუსების“ ყველგან არსებობასა და რუსეთის უძლეველობის მითში ყველას დარწმუნება ამ ქსელის ერთ-ერთი მიზანია. საამისოდ გამოიყენებს მის კონტროლს დამორჩილებულ ყველა საშუალებას — მართულ პოლიტიკოსებს, სპეცსამსახურების თანამშრომლებს, ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ მოღვაწეებს, ბლოგერებს, ასევე შოუბიზნესის მოდურ ფიგურებსა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს.

შესაძლებლობებიდან გამომდინარე, The Integrity Initiative -ს შეუძლია ანტირუსული კამპანიების მოწყობა ეროვნული მასშტაბით მრავალ ევროპულ ქვეყანაში, ამ ღონისძიებაში საკუთარი მიზნის მისაღწევად მასმედიის მთავარი ორგანოების, მთავრობების წევრებისა და მეთაურებისაც კი, დეპუტატების, საზოგადოებრივი აზრის ლიდერების, ექსპერტებისა და ა.შ. ჩართვის გზით.

ჩვენ წინაშეა ქსელური ომის უმძლავრესი, გეოპოლიტიკური მასშტაბის აპარატი. ეს მასშტაბი მრავალჯერ აჭარბებს თანამედროვე ბრიტანეთის ეროვნული ინტერესების დონეს, ამ ქვეყნისთვის რუსეთის ფედერაცია არც სერიოზული საფრთხეა, არც კონკურენტი. მეორე, რაც მთავარია, არც ერთ სახელმწიფოს არ შეიძლება გააჩნდეს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის ლეგიტიმური უფლებამოსილება მთავრობის წევრების დანიშვნისა და საგარეო-პოლიტიკურ კურსზე გავლენის მოხდენის ჩათვლით.

აქედან გამომდინარეობს უმნიშვნელოვანესი დასკვნა: ის, ვინც ისეთ ორგანიზაციებს მართავს, როგორიცაა The Integrity Initiative , უნდა იდგეს დასავლეთის სახელმწიფოებზე უფრო მაღლა, მათ შორის იმათზე უფრო მაღლა, ვისი ხელქვეითიც არის ბრიტანეთის სპეცსამსახურები. მაშასადამე, ჰაკერებმა შეძლეს, განეხორციელებინათ თავდასხმა მსოფლიო მთავრობის მოქმედი ქსელის სეგმენტზე, ანუ ინსტანციაზე, რომელიც სრულიად განსაზღვრავს დასავლეთის ქვეყნების სტრატეგიასა და პოლიტიკას, და ამის საშუალებით დედამიწაზე მცხოვრები ხალხების ცხოვრების მიმართულებას.

მხოლოდ ამით შეიძლება ლოგიკურად ავხსნათ რუსეთის დისკრედიტაციის სისტემურობის ახსნა ყველა დონეზე — საზოგადოებრივი დიპლომატიიდან ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ინიციატივეებამდე, სახელმწიფოს მეთაურის პიროვნებიდან „კატალონური სეპარატიზმის“ მხარდაჭერის ცილისმწამებლურ მხარდაჭერამდე. ii თავის აგენტურას მიუთითებდა ჩემს ვიზიტებსა და კონტაქტებში ჩაერთოთ კატალონიური სეპარატიზმის თემა. ამის საფუძველს ეძებდნენ ზოგიერთი იმ მემარჯვენე და მემარცხენე ესპანური ძალების რუსეთისადმი სიმპათიურ დამოკიდებულებაში, რომლებთანაც კონსტრუქციულ დიალოგს ვაწარმოებდი.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა, რომ საქმე მხოლოდ ფაქტების აშკარა დამახინჯებითა და მათი სრული ფალსიფიკაციით არ შემოიფარგლება. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ორგანიზაცია რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას განიხილავს არა მხოლოდ რუსეთის ინტერესების ევროპაში მოგონილი ექსპანსიის კუთხით, რაც არაფერ კრიმინალურს არ შეიცავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფესვგადგმულია The Integrity Initiative-სა და ანალოგიური სტრუქტურების ცნობიერებაში. ეს სტრუქტურები ებრძვიან იდეებსა და ფილოსოფიას, რომელთაც ხელოვნურად რუსეთს უკავშირებენ.

ისინი რუსეთს ებრძვიან, როგორც იდეას, როგორც მსოფლაღქმის პლატფორმას, როგორც ფილოსოფიურ პროგრამას. ისინი რუსეთში ხედავენ იმას, რასაც რუსეთის ხელისუფლება ვერ ამჩნევს, და უკვირს, როცა თავზე აყრიან ცრუ ბრალდებებს და როცა სრულფასოვანი ქსელური ომის მიზნად აქცევენ, იმ ომისა, რომელშიც ყველა საშუალება კარგია.

ეს უკვე აღარ არის სახელმწიფოთა ის კონკურენცია, რომელიც იყო რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიების „დიდი თამაშის“ დროს, ეს უკვე მეტია. მსოფლიო მთავრობა ნათლად აცნობიერებს, რომ, მისი მძლეთამძლეობის მიუხედავად, სადაცაა, სერიოზული ოპონენტი გამოუჩნდება — არა იმდენად გარედან (რუსეთიდან ან ჩინეთიდან), რამდენადაც მისივე წიაღიდან. მის წინააღმდეგაა მიმართული ისეთი მძლავრი სტრუქტურების საქმიანობა, როგორიც ii-ია. რუსეთს კი ამ შემთხვევაში მხოლოდ მარკერად, დისკრედიტაციისა და დემონიზაციის ალტერნატიული ტენდენციების ყველაზე მარტივ საშუალებად გამოიყენებენ. დემონიზაცია ხდება რუსეთისა და მისი მეთაურის — „რკინის პუტინის“ და მასთან ერთად „რუსეთის ფილოსოფოსების“ (როგორიც თქვენი მონა-მორჩილია). ამას მოაყოლებენ „რუსეთის კვალს“ და „რუსეთის მხარდაჭერის“ კანონგარეშედ გამოცხადება, როცა ეს პოტენციურად საშიშ ძალებს ეხება.

ვისთვისაა საშიში? — არც ინგლისისთვის, არც ესპანეთისთვის, არც საბერძნეთისთვის, არც ევროკავშირისთვის, არც მთლიანად ევროკავშირისთვის, მით უფრო, არც დემოკრატიისთვის. რადგან სწორედ დემოკრატიაა მოწოდებული, მისდიოს იმათ ნებას, ვინც დადებს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“ თავისი შეხედულების თანახმად, და არა იმისთვის, რომ მიუთითოს თავის მოქალაქეებს, რა არის კარგი და რა არის ცუდი. ამას სხვა რამ ჰქვია — ტოტალიტარიზმი და დიქტატურა. საშიშროებას წარმოადგენს გლობალური იდეოლოგიის ჰეგემონია, რომელიც მატერიალიზებულია მსოფლიო ელიტების შეთქმულებაში, რომლებმაც გადაწყვიტეს, აქციონ ლიბერალიზმი საყოველთაოდ აუცილებელი უნივერსალური მსოფლმხედველობის კრიტერიუმად და დანერგონ თავიანთი ინტერესების შესაბამისი მსოფლიო ლიბერალური წესრიგი.

ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, უნდა იქნეს დისკრედიტებული და მარგინალიზებული, ყველა უნდა განადგურდეს. ეს ეხება ევროპულ პოპულიზმს (როგორც მემარცხენეს, ისე მემარჯვენე პოპულიზმს), იტალიის ანტიგლობალისტურ მთავრობას, „ყვითელ ჟილეტებს“, კაპიტალიზმისა და ემიგრაციის წინააღმდეგ მებრძოლებს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ახალ ლიბერალურ საკონცენტრაციო ბანაკში! ორუელი გვიბრუნდება არა იმ მხრიდან, საიდანაც ველოდით. საინტერესოა, რომ თვით სიტყვა integrity შეიძლება ითარგმნოს, როგორც „პატიოსნება“. მაგრამ ასეთი „პატიოსანი“ სახელწოდების მქონე ორგანიზაციის მასალები, რომლებიც ჰაკერებმა გამოაქვეყნეს, მიგვითითებს, თუ როგორ შეიძლება უკეთ და ეფექტიანად სიცრუის გავრცელება. მაგალითად: ომი მშვიდობაა, შეძულება — სიყვარულს ნიშნავს, მონობა კი — თავისუფლებას. ფაქტების გაყალბება ბინძური სიცრუე კი არ არის, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, „პატიოსნებაა“...

დაბოლოს, The Integrity Initiative-ს მასალების წაკითხვის დროს deja vu-ს შეგრძნება გიჩნდება: ხომ არ მოქმედებს ჩვენს საზოგადოებაში იგივე ან ანალოგიური სტრუქტურის სეგმენტი? ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურის, ცალკეული პიროვნებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების საქმიანობა ძალიან ხომ არ ჰგავს ნაცნობ „ალგორითმს“?

**ალექსანდრე დუგინი**, 
ფილოსოფოსი, მწერალი

integrity initiative

Defending Democracy Against Disinformation

ბესტსელერი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეკონომისტები დარწმუნებულები არიან, რომ ისინი სხვებზე ჭკვიანები არიან, განსაკუთრებით კი ისტორიკოსებზე – მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია, სრულიად მსოფლიო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში წინ არ წასულა ეკონომიკური პროცესების კვლევაში. აშშ-ში რომ დავრჩენილიყავი და იქ გამეგრძელებინა ეკონომიკის კვლევა, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, ეკონომიკის ისტორიული კვლევა დამეწყო, იმიტომ, რომ მხოლოდ ეკონომიკური თეორიის სიბრტყეში აღმოვჩნდებოდი. რა თქმა უნდა, მათემატიკა სასარგებლოა ეკონომიკისთვის, მაგრამ მხოლოდ ფაქტებისა და თეორიის სწორი თანაფარდობის პირობებში. დღეს ეკონომისტები საწინააღმდეგოთი არიან დაკავებულები, იგონებენ რთულ მათემატიკურ მოდელებს მინიმალური ემპირიული კომპონენტებით“.**

# თომას პიკეტი — ეკონომიკური უთანასწორობა XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა

**რაც მეტი დრო გადის, სულ უფრო აქტუალური და ყოვლისმომცველი ხდება კაპიტალიზმის კრიტიკა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამ თემაზე ერთ-ერთი გახმაურებული წიგნი ფრანგმა ეკონომისტმა ტომას პიკეტიმ გამოაქვეყნა — „კაპიტალი XXI საუკუნეში“. 2013 წელს გამოშვებული წიგნი ერთგვარ ბესტსელერად იქცა და რეკორდულად ბევრი გაიყიდა მსოფლიო მასშტაბით. თვითონ პიკეტის უამრავი მეტსახელი მოუფიქრა მედიამ — “ახალი მარქსი”, “ეკონომიკის როკ-ვარსკვლავი” და ა.შ. მოკრძალებული ასაკის მიუხედავად, ტომას პიკეტი სხვადასხვა პრესტიჟული (ლონდონის და პარიზის ეკონომიკური სკოლები) სასწავლებლების პროფესორია.**






**პიკეტიმ თავის მონუმენტურ ნაშრომში, რომელსაც რამდენიმე წელი წერდა, აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გააანალიზა ბოლო საუკუნე-ნახევრის განმავლობაში და მივიდა დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი და სოციალური უთანასწორობა მდიდარი უმცირესობის წისქვილზე ასხამს წყალს. აღნიშნულმა წიგნმა პიკეტი პოპ-ვარსკვლავად აქცია და ის მუდმივად ან რომელიმე ტელეგადაცემის სტუმარია და ან რომელიმე ქვეყანაშია მიწვეული ტურნეზე**

პიკეტიმ თავის მონუმენტურ ნაშრომში, რომელსაც რამდენიმე წელი წერდა, აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გააანალიზა ბოლო საუკუნე-ნახევრის განმავლობაში და მივიდა დასკვნამდე, რომ **კაპიტალიზმი და სოციალური უთანასწორობა მდიდარი უმცირესობის წისქვილზე ასხამს წყალს.** აღნიშნულმა წიგნმა პიკეტი პოპ-ვარსკვლავად აქცია და ის მუდმივად ან რომელიმე ტელეგადაცემის სტუმარია და ან რომელიმე ქვეყანაშია მიწვეული ტურნეზე. ჩვენ მოვახდინეთ ფრანგი ეკონომისტის თვალსაზრისის რეზიუმირება კაპიტალიზმზე, უთანასწორობაზე და გთავაზობთ აღნიშნულ პუბლიკაციას.

უთანასწრობის მუდმივი ზრდა ისტორიულად განპირობებული იყო ევროპული და ამერიკული ეკონომიკური სისტემებიდან გამომდინარე, მაგრამ მსოფლიო ომებისა და დიდი დეპრესიის გამო ეს პროცესი საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. უთანასწორობის შემცირების ბუნებრივი ტენდენციები იმ დროს არ არსებობდა, ამიტომაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა 1950-1980 წლებში იყო განსაკუთრებული და ერთჯერადი მოვლენა. ზრდის მაღალი ტემპები დაკავშირებული იყო ომის შემდგომი ეკონომიკის აღდგენასა და შობადობის ბუმთან. სავარაუდოდ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება: ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ბოლო ათწლეულში უთანასწორობა მხოლოდ იზრდება.

## მდიდრები ყოველწლიურად უფრო მდიდრდებიან

დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობას შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მათი ცხოვრებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალი ზრდის გამო, მაგრამ **ეკონომიკური ზრდის შედეგად ყველაზე მეტად ხეირობს ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 1%,** — აღნიშნავს პიკეტი.

თუ გადავხედავთ აშშ-ის ეკონიმიკის საერთო ზრდას მსოფლიო კრიზისამდე 30 წლის განმავლობაში, 1977-2007 წლების პერიოდში, შევამჩნევთ, რომ ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 1%-ზე მოდიოდა მთლიანი ეროვნული შემოსავლის ნამატის 60%. შედეგად, **დარჩენილი უმცირესობისთვის ზრდის ტემპი ყოველწლიურად 0.5%-ზე ნაკლებს შეადგენდა.**

## დაბალი გადასახადების დროს მდიდრები უფრო გავლენიანები ხდებიან

ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ დაბალი გადასახადები მოსახლეობას ცხოვრებას შეუმსუბუქებს, — აღნიშნავს პიკეტი. ამის შედეგად მოგებულები კი მსხვილი კაპიტალის მფლობელები რჩებიან, რომლებიც თავისუფალ რესურსებს იღებენ, რათა გავლენა იქონიონ სახელმწიფო პოლიტიკაზე.

„ბევრ ქვეყანაში საგადასახადო განაკვეთის ზედა ზღვარის შემცირების შედეგად შემოსავლების ბუმი დაფიქსირდა, რამაც ბენიფიციარების პოლიტიკური ძალაუფლება საგრძნობლად გაზარდა. ბენიფიციარები მდიდრები აღმოჩნდნენ, რომლებიც გადასახადის ზედა ზღვარის მაქსიმალურად შემცირებით იყვნენ დაინტერესებულები. ამიტომაც მათ ღიად დაიწყეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის“.

## უთანასწორობამ რეკორდულ მასშტაბებს მიაღწია

ფრანგი მეცნიერი გამოყოფს უთანასწორობის 2 ძირითად ფორმას — საშემოსავლო და ქონებრივ უთანასწორობას, რაც, მისი აზრით, ერთი და იგივე არ არის. უფრო მეტიც, პიკეტი გარკვეული დოზით უთანასწორობას მისაღებად მიიჩნევს, უბრალოდ, ჩვენს პერიოდში ის მეტისმეტად დიდია და სწორედ ამაშია მთავარი პრობლემა.

„არასწორი იქნება უთანასწორობა მთლიანად უარყოფით მოვლენად მივიჩნიოთ, იმიტომ რომ თეორიაში ის ასეთი სულაც არ არის. უთანასწორობის გარეშე, მაგალითად, შეუძლებელია ეკონომიკური ზრდა და ინოვაცია. პრობლემა უთანასწორობის მასშტაბებში მდგომარეობს: **ყველაზე შეძლებული ადამიანების კაპიტალი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის შემოსავლები. ასეთი უთანასწორობა საფრთხეს უქმნის სოციალურ მობილურობას და დემოკრატიის მომავალს“.**

## ევროკავშირი არაეფექტიანია

ევროკავშირი უმსხვილესი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირია, მაგრამ ამის მიუხედავად პიკეტი **მის დღევანდელ მოწყობას ეფექტიანად არ მიიჩნევს, არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური კუთხით.**

**„ევროკავშირი უნდა გახდეს უფრო დემოკრატიული**




**გაერთიანება. ევროკავშირს ესაჭიროება უფლებამოსილებებით დატვირთული ძლიერი პარლამენტი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს საკუთარ გადაწყვეტილებებზე. იმის გამო, რომ ჩვენ დღეს არასრულფასოვნად ინტეგრირებულები ვართ, უარს ვამბობთ ერთმანეთთან თანამშრომლობაზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში — წაგებულია ყველა. ევროკავშირის ქვეყნების საერთო პოლიტიკური ინსტიტუტები არალეგიტიმურია და შესაბამისად, არაეფექტური. მაგალითად, როგორ შეიძლება მინისტრთა საბჭოში 80 მილიონიანი გერმანიის ინტერესები ერთმა ადამიანმა წარმოადგინოს?“**

## კაპიტალიზმის კრიტიკოსები კომუნიზმის კრახს ყურადღებას არ აქცევენ

პიკეტის მთავარი წიგნის პოპულარობის ზენიტში დაიწყო მისი დადანაშაულება კომუნიზმსა და მარქსიზმის რევიზიონიზმში. ფრანგ მეცნიერს არაერთხელ უთქვამს, რომ არც კი წაუკითხავს მარქსის მთავარი ნაშრომი „კაპიტალი“, რადგან მას აქტუალურად არ მიიჩნევს. „მე მაინტერესებს კაპიტალიზმის კრიტიკა, იმიტომ რომ იმ თაობას მივეკუთვნები, რომელიც კომუნისტური რეჟიმების დაცემას მოესწრო. მათ მიმართ მე ნოსტალგია არ მაქვს“.

## ეკონომისტები მათემატიკით გაერთნენ და პრაქტიკულ პრობლემებს დაშორდნენ

ტომას პიკეტი სკეპტიკურადაა განწყობილი ეკონომიკაში რთული მათემატიკური თეორიების დანერგვის გამო — ის მიიჩნევს, რომ ეკონომიკა, პირველ რიგში, ეს არის მეცნიერება საზოგადოებაზე და არა ციფრებზე.

„როგორც წესი, **ეკონომისტები დარწმუნებულები არიან, რომ ისინი სხვებზე ჭკვიანები არიან, განსაკუთრებით კი ისტორიკოსებზე — მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია, სრულიად მსოფლიო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში წინ არ წასულა ეკონომიკური პროცესების კვლევაში. აშშ-ში რომ დავრჩენილიყავი და იქ გამეგრძელებინა ეკონომიკის კვლევა, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, ეკონომიკის ისტორიული კვლევა დამეწყო, იმიტომ, რომ მხოლოდ ეკონომიკური თეორიის სიბრტყეში აღმოვჩნდებოდი. რა თქმა უნდა, მათემატიკა სასარგებლოა ეკონომიკისთვის, მაგრამ მხოლოდ ფაქტებისა და თეორიის სწორი თანაფარდობის პირობებში. დღეს ეკონომისტები საწინააღმდეგოთი არიან დაკავებულები, იგონებენ რთულ მათემატიკურ მოდელებს მინიმალური ემპირიული კომპონენტებით“.**

## პროგრესულ გადასახადს შეუძლია უთანასწორობის ნეგატიური ეფექტის შემცირება

პროგრესული გადასახადის პირობებში მაღალი შემოსავლები სახელმწიფოს მიერ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით იბეგრება. „კაპიტალი XXI საუკუნეში“-ს ავტორი მიიჩნევს, რომ დაბეგვრის მსგავსი მეთოდი ეფექტიანია ქონებრივ უთანასწორობასთან ბრძოლის დროს.

„ჩემი აზრით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების შესამცირებლად ან არაბუნებრივად მაღალი სახელმწიფო ვალის შესამცირებლად საჭიროა პროგრესული გადასახადი კაპიტალზე. ის გაცილებით ეფექტიანი ინსტრუმენტია, ვიდრე ინფლაცია. პროგრესული გადასახადი, ალბათ, ყველაზე ადეკვატური პასუხია იმ სიტუაციაში, როდესაც ინვესტიციებიდან შემოსავალი აჭარბებს ეკონომიკურ ზრდას. პროგრესული გადასახადი საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ უსამართლობის უსასრულო სპირალი და მცირე ბიზნესისთვის ერთგვარი სტიმული გახდება!“

**მომზადებულია ვებგვერდ POLITICANO-ს მიხედვით**

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# XX საუკუნის დასაწყისისთვის ვაკის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით — ვარაზისხევი, ჩრდილოეთით — მდინარე ვერე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით — მთის კალთები. ამ პერიოდში წყნეთის ქუჩის (ახლანდელი პეტრე მელიქიშვილის ქუჩა) განაშენიანებამ მიაღწია ვარაზისხევს, რომელზეც მცირე ხიდი იყო გადებული.

**სახელწოდება ვაკე გაჩნდა XIX საუკუნეში და ნიშნავს დაცემულ, დაბალ ადგილს. იგი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ძველი ვერის (საგაბაშვილოს) ტერიტორიაზე, მისი ნაწილი გაშლილია ვარაზისხევის მარცხენა მხარეზე ბაგებამდე.**
**1907 წლიდან ვაკე თბილისს ოფიციალურად შემოუერთდა, ინტენსიური განაშენიანება კი დაიწყო XX საუკუნის 20-იან წლებში.**


ვაკის პარკი

# ვ ა კ ე

ქალაქგარე დაუსახლებელი ვაკობის ათვისება, ეკლესიის მსახურებმა დაიწყეს. ამ ტერიტორიაზე, თბილისის სასულიერო სემინარიის აღზრდილებისთვის, ერთ ოჯახზე გათვალისწინებულ, პატარ-პატარა, ერთსართულიან სახლებს დგამდნენ.

1902-1905 წლებში ვაკის ლამის ბოლოში ააგეს დიდი აგურის შენობა, რომელშიც მაშინდელი ერევნის მოედნიდან სასულიერო სემინარია გადაიტანეს. ეს ადგილი ახლანდელი ჭავჭავაძის გამზირის № 33 სახლია. 1970 წლამდე ამ შენობაში, რომელიც თბილისის საკმაოდ ცნობილმა არქიტექტორმა **ალექსანდრე როგოისკიმ** ააშენა, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი იყო მოთავსებული, შემდგომ კი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკები განათავსეს.

ხანდაზმულობის მიხედვით, მეორე საზოგადოებრივი შენობა ვაკეში არის ქართული უნივერსიტეტი — სათავადაზნაურო გიმნაზია, ამჟამინდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა. იგი შენდებოდა არა მთავრობის, არამედ კერძო პირთა შემოწირულობებით.

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ნიკო ცხვედაძემ, შენობის დაპროექტება ახალგაზრდა ნიჭიერ არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილს დაავალა. კლდიაშვილის ქმნილება შესახედავად სადა, მკაცრი და მშვიდია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს საერთოდ სასწავლო დაწესებულება. შენობის ამ მკაფიო, ლოგიკურ კომპოზიციაში დაცულია მკაცრი სიმეტრია. უნივერსიტეტის მთავარი ფასადი გამოდის ლამაზ სკვერში. წინათ ამ სკვერის ქვემოთ ღრმა ხევი იყო. 1957 წელს ხევი ამოივსო და ვარაზისხევის ქუჩა გაკეთდა, რომელიც ჭავჭავაძის გამზირიდან საკმაოდ მკვეთრად ეშვება გმირთა მოედანზე.

ვაკის ტერიტორიის ათვისება თბილისმა საბჭოთა მმართველობის პერიოდში დაიწყო, მაგრამ სამოქალაქო მშენებლობის სწრაფი ზრდა ვაკეში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში დაიწყო. შეადგინეს გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა, პარკირებისა და სკვერების მოწყობა, ახალი ქუჩებისა და საცხოვრებელი კვარტლის შექმნა. ყოველივე მაშინდელი არქიტექტურის აკადემიის წევრის, **არჩილ ქურდიანის**, სახელს უკავშირდება.

ომის შემდგომ ორი ათეული წლის განმავლობაში ვაკის ტერიტორია, ისევე როგორც საბურთალოს მიდამოები, ერთ უზარმაზარ სამშენებლო მოედნად იყო ქცეული. ერთიანი გეგმით შენდებოდა ასობით საზოგადოებრივი შენობა და საცხოვრებელი სახლი, იქმნებოდა ახალი ქუჩები, სპორტული ნაგებობები, გაჰყავდათ ტროლეიბუსის ხაზები.

1966 წელს, ახლანდელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინ დადგეს ქართველი პოეტის — **დავით გურამიშვილის ძეგლი**, რომელიც ჩამოსხმულია მერაბ ბერძენიშვილის მოდელის მიხედვით. ფიგურის ასკეტური სიმკაცრე და ლაკონურობა, სადა სამოსელი, ხელის თავისებური მოძრაობა, თითქოს თავის ლექსებთან ერთად, სულსაც გვთავაზობს.

1980 წლის 24 მაისს კი ჭავჭავაძის გამზირზე გაიხსნა უდიდესი ქართველი პოეტის **გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი**. იგი შესრულებულია მოქანდაკე ჯუნა მიქატაძის მოდელის მიხედვით.

დიდი ხნის განმავლობაში ეს უბანი თბილისის ცენტრს მხოლოდ მელიქიშვილის ქუჩით უკავშირდებოდა. 1957 წელს, ვარაზისხევის ქვედა ნაწილის ამოვსების შედეგად, იგი ფართო ქუჩით გავიდა გმირთა მოედანზე, 1958 წელს კი გაიყვანეს ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალი (ამჟამად მიხეილ თამარაშვილის ქუჩა).

XX საუკუნის დასაწყისისთვის ვაკის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით — ვარაზისხევი, ჩრდილოეთით — მდინარე ვერე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით — მთის კალთები. ამ პერიოდში წყნეთის ქუჩის (ახლანდელი პეტრე მელიქიშვილის ქუჩა) განაშენიანებამ მიაღწია ვარაზისხევს, რომელზეც მცირე ხიდი იყო გადებული. თბილისის 1906 წლის გეგმაზე ხევს გაღმა მხოლოდ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაა აღნიშნული (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი). შემდეგ გიმნაზიიდან მოშორებით აშენდა სასულიერო სემინარია (აქ დიდი ხნის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო განთავსებული, ახლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი კლინიკაა, ყოფილი მე-9 საავადმყოფო), ხოლო ტერიტორია, რომელიც შემდგომში თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტს (მოგვიანებით, სპორტის აკადემიას) ეკავა, კადეტთა კორპუსისთვის გამოიყო.

1946 წელს დაიწყო **ვაკის პარკის** (ყოფილი **გამარჯვების პარკი,** არქიტექტორი კ. დგებუაძე, დენდროლოგი ნ. ციციშვილი) გაშენება თრიალეთის ქედის გაშიშვლებულ ფერდობზე. მწვანე ზოლის შესაქმნელად 200 ჰექტარი მიწის ფართობი გამოიყო. ჩრდილოეთის მხრიდან ვაკის პარკი და ჭავჭავაძის პროსპექტი ფართო კიბის მარშებით არის დაკავშირებული. კიბე განლაგებულია პარკის მთავარ ღერძზე, რომელსაც შადრევნების მთელი კასკადი აგრძელებს. პარკის ცენტრული ღერძი ქედზე მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი დიდების მემორიალით სრულდება. პარკის ცენტრალური ნაწილი შადრევნითა და მრგვალი აუზით არის გამოყოფილი.

ვაკის პარკს განსაკუთრებულ ხიბლს წითელი ქვიშა მატებს, რომლითაც მოპირკეთებულია სავალი გზები.

ვაკის პარკში არის საბავშვო ქალაქი, ღია კინოთეატრი, კაფე-ბარები და რესტორანი განთავსებული; სამხრეთ-დასავლეთით კი პარკი მიხეილ მესხის სტადიონით ბოლოვდება. რამდენიმე თვეში აქ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 20-მდე ატრაქციონით დაკომპლექტებული პარკი „შუმბა ლენდი“ გაიხსნება და ის 1-დან 12 წლამდე ბავშვებისთვის იქნება განკუთვნილი.

გასული საუკუნის 1970-იანი წლების მიწურულს პრესაში გამოქვეყნდა ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის სტატია „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“. სტატიაში მწერალი მდინარე ვერეს ხეობაში ბავშვთა ქალაქის მშენებლობაზე ოცნებობდა. პარკის პროექტზე არქიტექტორთა მთელი ჯგუფი მუშაობდა. იგი 1982 წელს მდინარე ვერეს ხეობაში გაიხსნა. **ბავშვთა ქალაქი და დასვენების პარკი „მზიური“** მოწყობილია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა სიუჟეტის მიხედვით.

ამჟამად ვაკე თბილისის ერთ-ერთი დიდი საცხოვრებელი უბანია, რომელშიც თავმოყრილია უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ადმინისტრაციული დაწესებულებები და ა.შ.


ძველი ვაკე


კაფე „მზიურში“


დავით გურამიშვილის ძეგლი


გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი


„მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ძეგლი „მზიურის“ პარკში

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფართომასშტაბიანი კვლევითი მოღვაწეობის ერთ ეტაპზე მისი ყურადღება მიიპყრო რენესანსის ეპოქის ინგლისურ დრამატურგიაში ცნობილმა ერთმა პიესამ „მეფე და არამეფე“, რომელიც დაწერილი იყო შექსპირის დროს ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ. მათი პიესები XVII საუკუნის ინგლისში საოცრად პოპულარული იყო. სწორედ მათ დაამკვიდრეს ახალი ჟანრი — ტრაგიკომედია: ამბავი ტრაგიკულად ვითარდება, შიგადაშიგ კომიკური ელემენტებიც არის ჩართული, ფინალი ბედნიერია — „ჰეფი ენდი“.**

**„... ვუმზერ საქართველოს და (გული ცრემლებით მევსება)... იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სივრცე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა...“**

**დონ კრისტოფორო დე კასტელი**

# ქართველი მეცნიერის სენსაციური აღმოჩენა

# «ვეფხისტყაოსანზე» აგებული შექსპირის პიესები

**აღმოჩენა, რომელსაც ავტორი მოკრძალებულად ვარაუდად მიიჩნევს, მაგრამ „საქართველო და მსოფლიოს“ განათლებული მკითხველი, ამ პუბლიკაციას (მასთან საუბარს) რომ გაეცნობა, დარწმუნებული ვარ, მეცნიერს თავმდაბლობას კი მოუწონებს, მაგრამ ამ აღმოჩენის მისეულ მოკრძალებულ შეფასებას არ გაიზიარებს. ჭეშმარიტად აღმოჩენაა, რომელიც ასეთად აღიარეს მისმა ევროპელმა (უწინარესად — ინგლისელმა) თუ ამერიკელმა კოლეგებმა. მაგრამ ჯერ თავად მეცნიერს წარმოგიდგენთ.**



ელგუჯა ხინთიბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, შუა საუკუნეების ფილოსოფიური კვლევების საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს საპატიო წევრი, პროფესორი **ელგუჯა ხინთიბიძე** ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარია. გამოცემული აქვს წიგნები ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე საქართველოსა და უცხოეთში, მან უდიდესი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიაში, სრულად გამოიკვლია ქართული ლიტერატურის ევროპაში შესწავლის ისტორია და მდგომარეობა, რომელიც შეჯამდა ინგლისურ ენაზე გამოცემული სქელტანიანი ნაშრომით და გაგრძელდა უმნიშვნელოვანესი პროექტით „მცირე ერების დიდი კულტურა“ და ა.შ. და ა.შ.

## „წავიკითხე და... ტარიელისა და ნესტანის ამბავია გადმოცემული!“

ამ ფართომასშტაბიანი კვლევითი მოღვაწეობის ერთ ეტაპზე მისი ყურადღება მიიპყრო რენესანსის ეპოქის ინგლისურ დრამატურგიაში ცნობილმა ერთმა პიესამ „მეფე და არამეფე“, რომელიც დაწერილი იყო შექსპირის დროს **ფრანსის ბომონტისა** და **ჯონ ფლეტჩერის** მიერ. მათი პიესები XVII საუკუნის ინგლისში საოცრად პოპულარული იყო. სწორედ მათ დაამკვიდრეს ახალი ჟანრი — ტრაგიკომედია: ამბავი ტრაგიკულად ვითარდება, შიგადაშიგ კომიკური ელემენტებიც არის ჩართული, ფინალი ბედნიერია — „ჰეფი ენდი“.

ეს ჟანრი, როგორც ბატონი ელგუჯა განმარტავს, მათი მოგონილი არ არის, ანტიკურ დროშიც იყო, XVI საუკუნის ბოლოს — იტალიაშიც, ინგლისში კი ზემოთ დასახელებულმა ავტორებმა შეიტანეს და ისეთი პოპულარობა მოუხვეჭეს, რომ შექსპირიც კი მიჰყვა ამ გზას.

**— ამათი გავლენით? — ვეკითხები ბატონ ელგუჯა ხინთიბიძეს.**

— ამაზეა მთელი დავა. და სწორედ ამაზეა ჩემი ბოლო წიგნი. ესაა პრობლემა. იმ დროს ისიც კი თქმულა, რომ ბომონტ-ფლეტჩერი უფრო საინტერესოა, შექსპირი მოსაწყენიაო. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. დღეს ეს მწერლები მეშვიდე-მერვე ხარისხოვან მწერალთა რიგში არიან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ პიესაში „მეფე და არამეფე“ მოქმედება ვითარდება საქართველოში — იბერიაში, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ აქვს არც საქართველოს ისტორიასთან და არც იმ პერიოდის ინგლისის ამბავია.

**— მოგონილი ქვეყანაა?**

**ამ საკითხს ჩაუდგება კვალში ბატონი ელგუჯა და მიდის სენსაციურ დასკვნამდე. ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ ჩვენც.**

**ბომონტისა და ფლეტჩერის ეს პიესა არც ქართულად, არც რუსულად ნათარგმნი არ არის — ბატონი ელგუჯა კითხულობს ორიგინალში. სიუჟეტი მარტივია: და-ძმას შეუყვარდა ერთმანეთი.**

— წავიკითხე და... ტარიელისა და ნესტანის ამბავია გადმოცემული! — **მოგვითხრობს ბატონი პროფესორი,** — ქვეყნის მეფე-დედოფალი, რომელთაც შვილი არ ეყოლათ, იშვილებს უახლოესი დიდებულის ახალშობილ ვაჟს. ზრდიან, როგორც მომავალ მეფეს და, ზუსტად ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“, ხუთი წლის თავზე დაორსულდება დედოფალი. ტარიელი ამბობს – „მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“. ბოლოს მას — ინგლისური პიესის გმირს — ეუბნებიან, შენ ექვსი წლის არ იყავი, როცა დედოფალი დაორსულდაო. დაიბადა ქალი. ზრდიდნენ ერთად, შემდეგ დააშორეს, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“. და-ძმას დიდხანს აღარ უნახავთ ერთმანეთი.

ამასობაში მეფე გარდაიცვალა, ვაჟი გამეფდა (თავის დროზე დედოფალმა გაითამაშა, თითქოს ვაჟი მართლაც მისი შვილია, რაც განსხვავებულია „ვეფხისტყაოსნისგან“).

ამბავი, რომელსაც გიყვებით, პიესის ბოლოში წერია, დასაწყისში კი — როგორ შეუყვარდა ერთმანეთი ქალ-ვაჟს (ნაშვილებს) და რა მოხდა მას შემდეგ. ეს ვაჟი (მეფე) იბრძვის სომხეთის წინააღმდეგ, დაამარცხებს მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდა მეფე **ტიგრანოსს**. ქვეყნის მოშორებით მყოფს მოსდის თავისი დის წერილები. ულამაზეს და მზეთუნახავ დას სახელად ჰქვია **პანთეა**. იგი აღფრთოვანებულია ძმის ვაჟკაცობით, ოცნებობს მასზე, უყვარს, როგორც ძმა.

გამარჯვებულ ქართველ მეფეს მოჰყავს საქართველოში დატყვევებული მეფე სომხეთისა და ეპყრობა, როგორც მეგობარს, ეუბნება, ჩემი და ცოლად უნდა შეგრთოო. სურს, სიძედ გაიხადოს.

ბრუნდებიან საქართველოში და აქ საოცარი რამ ხდება: როგორც კი დაინახავს ძმა დიდი ხნის უნახავ დას, უეცარი სიყვარულით დაიბნიდება. ქალსაც შეუყვარდება ვაჟი და იწყება ტრაგედია: მათ ხომ არ იციან, და-ძმა რომ არ არიან. განიცდიან საოცრად. უნდათ, რომ დაშორდნენ ერთმანეთს, ვერ შორდებიან, და შემდეგ ახალგაზრდა მეფე ცდილობს, გზიდან ჩამოიცილოს სომეხთა მეფე, დაატყვევებს, ციხეში ჩასვამს **(ამ ამბავში, როგორც ბატონი ელგუჯა ამბობს, ჩართულია ბევრი რამ, მათ შორის, კომიკურიც).**

ბოლოს გაირკვევა, რომ ისინი არ არიან და-ძმა — სიმართლეს ახალგაზრდა მეფეს დედოფალი გაუმხელს. შეუღლდებიან — ქორწილია. უფრო ზუსტად, ორ ქორწილს გადაიხდიან: მეორე სომხეთის მეფისაა, რომელსაც სომხეთიდან სატრფო ჩამოუვა და ისინიც შეუღლდებიან.

**— „ვეფხისტყაოსანია“! საერთო შთაბეჭდილება ასეთია.**

— მაგრამ არის დეტალები, რომლებიც შოთა რუსთაველის დიდებულ ქმნილებაში გადმოცემულ ამბებს ემთხვევა თუ იმეორებს, — **აზუსტებს ბატონი ელგუჯა და განმარტავს,** — მაგალითად, სცენაში, როცა ავთანდილი დაბნედილ ტარიელს ნახავს, მოასულიერებს და თავსგადახდილ ამბავს ჰკითხავს, ტარიელი უპასუხებს, მაცალეო, მინდა მოვკვდე — ჩემი სატრფო იქ არისო. და ამას მოსდევს ტარიელის ოცნება იმქვეყნად საყვარელთან შეყრის თაობაზე: „საყვარელმან სიყვარული ვით არ ნახოს, ვით გასწიროს. მისკე მივალ მხიარული... “

„მეფე და არამეფეში“ იგივე სცენა მეორდება: დაბნედილი მეფე გონებადაბინდული ამბობს, — ჩემი და გარდაცვლილიაო და ამას მოსდევს მისი მედიტაცია, თუ თვითონ როგორ მიდის იმქვეყნად. ინგლისელი მკვლევარები კითხვას სვამენ: საიდან აიღეს ავტორებმა ცოცხალი სატრფოს გარდაცვლილად წარმოდგენის ეპიზოდი?

ეს პიესა დაიწერა ინგლისში მაშინ, როცა იქ სიუჟეტებს არ იგონებდნენ: ფაბულა და ეპიზოდები უპირატესად საიდანღაც გადმოაქვთ, უცვლელადაც იღებენ. წყარო მაინცდამაინც ერთი კი არ არის, რამდენიმეა. მაგალითად, შექსპირის „ჰამლეტის“ ამბავს თავისი წყარო აქვს; „რომეო და ჯულიეტა“ იტალიური პიესაა და ა.შ. ეს იმ ეპოქის სტილია.

**— და ყველაფერი ეს არ ითვლება პლაგიატად.**

— არა, რა თქმა უნდა. ცნობილი მკვლევარი **ელიოტი** კითხვას სვამს: საიდან გადმოიღეს „მეფე და არამეფის“ ავტორებმა ცოცხალი შეყვარებულის გარდაცვლილად წარმოდგენის ამბავი?

სხვა პარალელი: გმირის მხატვრული სახე შექმნილია, როგორც კონტრასტული ტიპის — ერთდროულად მრისხანესი და გულჩვილის, ლირიკულის. საიდან გაჩნდაო ეს ახალი ტიპის გმირი? ასეთია ტარიელი, ასეთია ფრიდონი. არის სხვა დეტალური დამთხვევებიც, მათ შორის, მთავარი გმირი ქალის სახელი — პანთეა. ნესტანია მისი პროტოტიპი.

ქართულად ამ ინგლისურ სახელს ვწერთ და წარმოვთქვამთ პანთეად, ინგლისურად კი წარმოითქმის ასე — **„პანთა“,** მაგრამ სიტყვა „პანთა“ ინგლისურად ნიშნავს ვეფხვს (პანტერა), არც მეტი, არც ნაკლები.

ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნია, როგორც „The Man in the Panther Skin“. „ვეფხისტყაოსნის“ ვეფხვი სინამდვილეში არის პანტერა, ის არ არის „ტიგრი“. ეს ძველად იცოდნენ არა მარტო ინგლისელმა, არამედ რუსმა მთარგმნელებმაც, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდნენ არა როგორც **„Витязь в тигровой шкуре“**, არამედ, როგორც **„Витязь в барсовой шкуре“.** პანტერა და ვეფხვი, ორივე კატისებრთა ოჯახში შედის. განსხვავება ისაა, რომ ვეფხვი არის ზოლებიანი, პანტერა (ჯიქი) — კოპლებიანი.

საქართველოშიც იციან, რომ ასეა.

იცოდა ეს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორმა **მიხაი ზიჩმა,** რომელმაც ტარიელი სწორედ პანტერას კოპლებიანი ტყავით შემოსილი წარმოგვიდგინა. 1646 წლის ხელნაწერში **მამუკა თავაქარაშვილს** გმირი სწორედ ასე ჰყავს დახატული. **უორდროპიც** პანტერად თარგმნის რუსთაველის ვეფხვს.

— ვეფხვის გადააზრება „ტიგრად“, — **ასკვნის ბატონი ელგუჯა**, — სადღაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება.

პანტერა ამავე დროს ლეოპარდია, მაგრამ არის შავი და კოპლებიანი ლეოპარდი. ინგლისურ ლექსიკონში **პანთერს** ნახავ — იხილე **ლეოპარდიო. ლეოპარდს** ნახავ — იხილე **პანთერაო.**

**ერთი სიტყვით, „მეფე და არამეფის“ გმირი ქალის სახელი მიანიშნებს ვეფხვზე. ტარიელი კი, ყველამ იცის, ნესტანს ხედავს ვეფხვის სახეში: „რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“.**

საქმე ის არის, რომ ამ პერიოდის ინგლისურ პიესებში და საერთოდ ლიტერატურაში მხატვრულ სახედ, მხატვრული მეტყველების ფორმად ძალიან გავრცელებულია ე.წ. კალამბურული მეტყველება. ამას ვუწოდებთ ჩვენ „ზმურ მეტყველებას“, ისინი უწოდებენ „ფან სპიჩს“, „გობლნ სპიჩს“: პიესაში რაღაც სიტყვა წერია, მაგრამ სცენიდან წარმოთქმისას იგი ემსგავსება სხვასაც. ამას გენიალურად ქმნის შექსპირი, როცა ერთს წერს და მეორე მნიშვნელობაზეც მიანიშნებს. იმ ეპოქის მიღებული მხატვრული სტილია.

## „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ“

**თანდათან ვუახლოვდებით კულმინაციას, განსაკუთრებით მძაფრდება სურვილი მკვლევართან ერთად იმ ამოცანის ამოხსნის, რომელიც აშკარად გამოიკვეთა: „მეფისა და არამეფის“ სიუჟეტური ქარგისა და მთელი რიგი სხვა დეტალების (რომელთა შესახებაც ზემოთ ილაპარაკა ბატონმა ელგუჯამ) დამთხვევა „ვეფხისტყაოსანთან“ ეჭვგარეშეა, მაგრამ საიდან, როგორ, რა გზით შეაღწია რუსთაველის გენიალურმა შედევრმა ინგლისში იმ დროს, როცა პოემის ერთი სტრიქონიც კი არ არის ინგლისურად თარგმნილი? ასე დეტალურად? ასე სრულად? ასე ზუსტად რომ გაიმეორეს შექსპირის პერიოდის პოპულარულმა ავტორებმა ტა-** ▶

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინგლისელი მეცნიერი რეიფილდი, რომელმაც გამოსცა წიგნი ქართულ ლიტერატურაზე და კარგადაც იცის ქართული, მკითხა: ხომ არ არის რაღაც საერთო წყარო, რომელსაც რუსთაველიც იყენებსო: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები"? ვუპასუხე, რომ არა... სამივე ინგლისური პიესის ფაბულა შექმნილია „ვეფხისტყაოსნის" მხოლოდ სიუჟეტური ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც აშკარად რუსთველის მიერაა მოაზრებული XII საუკუნის საქართველოს სამეფო კარის ისტორიული რეალიების ბაზაზე.**

◀რიელისა და ნესტანის თავგადასავალი?**

— ვიაზრე, — **განაგრძობს ელგუჯა ხინთიბიძე,** — ბომონტი და ფლეტჩერი ქართულ პოემას ასე ზედმიწევნით რომ იცნობენ, ეს მათ სხვა ნაწარმოებში უნდა გამოჩნდეს, თუნდაც გაკვრით.

**ბატონი ელგუჯა მიხსნის, რომ უცხოურ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანი" პირველად ნახსენებია XIX საუკუნის დასაწყისში: 1802 წელს რუსეთში, პეტერბურგში გამოიცა კიევის მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნი საქართველოს შესახებ, რომელშიც არის ნახსენები რუსთაველი, გადმოცემულია „ვეფხისტაოსნის" შინაარსი და პირველი სტროფიც არის თარგმნილი. აქამდე არ გვაქვს სხვა ფაქტი, სიტყვა რუსთაველიც კი, რომელიმე ენაზე რომ იყო დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ჩანსო.**

— ფლეტჩერისა და ბომონტის ეს ნაწარმოები *(„მეფე და არამეფე")* კი სიახლის აღმოჩენის პერსპექტივისკენ მიგვითითებდა. ამ საკითხზე დავიწყე მუშაობა. ოთხჯერ ჩავედი ინგლისში ამის შესასწავლად. ჩემი მივლინებები სამჯერ ბრიტანეთის აკადემიის მიერ იყო დაფინანსებული. ვიმუშავე ლონდონში, ოქსფორდში, შექსპირის სახლ-მუზეუმში — სტრათფორდში. შევისწავლე, რას წერდნენ ფლეტჩერისა და ბომონტის ნაწარმოებების შესახებ ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში, რა ეჩვენებოდათ ინგლისელ მეცნიერებს უცხოდ, საიდანღაც აღებულად, ვარკვევდი, სწორია თუ მცდარი ჩემი შეხედულება, ჩემი ვარაუდი და დასკვნები.

პირველივე ჩასვლისთანავე გავარკვიე, რომ არსებობს ამავე ავტორების მეორე ნაწარმოები, რომელსაც ძალიან ჰგავს მათი „მეფე და არამეფე".

**— პირველად თქვენ შეამჩნიეთ?**

— არა, ინგლისელმა მეცნიერებმა. ამ პიესას ჰქვია **„ფილასტერი"** — მამაკაცის სახელია. დაწერილია იმავე პერიოდში. „მეფე და არამეფე" ინგლისურ სცენაზე დაიდგა 1611 წელს. ეს ორი ნაწარმოები, ინგლისელი სპეციალისტების აზრით, რაღაცით ერთნაირია, მაგრამ მაინც განსხვავებულია. ეძებენ პირველწყაროს. პირდაპირ ამბობენ, რომ ორივეს წყარო შეიძლება იყოს შუა საუკუნეების რომელიღაც რომანი. ეს პიესა თითქოს რომელიღაც ნაწარმოების ინსცენირებააო.

**— პირდაპირ მიზანში ურტყამენ!**

— ვნახე ეს „ფილასტერი". წავიკითხე დედანში (რუსულადაც არის ნათარგმნი). „ფილასტერიც" ნესტანისა და ტარიელის ამბავია, მაგრამ სხვანაირადაა გაკეთებული: იტალიაში კალაბრიის სამეფომ (დღესაც არის ასეთი პროვინცია ამ ქვეყანაში) დაიპყრო მეორე სამეფო — სიცილია (სიცილია ყველას მოეხსენება). ანექსია ჰყო მეფემ მისი და საკუთარ სამეფოს შემოუერთა. გაერთიანებული ქვეყნის მეფეს ერთი შვილი ჰყავს — ქალიშვილი. სურს მისი გამეფება. შემოერთებული სამეფოს მეფე გარდაცვლილია, მაგრამ უფლისწულია გადარჩენილი (გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსანი"!). ის უფლისწულ ტარიელივით ტახტის მემკვიდრედ ითვლება, რადგან შემოერთებული სამეფოს უფლისწულია. მეფემ, რომელსაც თავისი ქალიშვილის გამეფება სურს, პოზიციის გასამაგრებლად სასიძოდ მოიწვია მეზობელი სამეფოს (ესპანეთის) უფლისწული.

**— არ მითხრათ, რომ იმ ქალიშვილმა საქმრო მოაკვლევინა სიცილიის სამეფოს უფლისწულს.**

— არ გეტყვით, მაგრამ ბოლოსკენ გამახსენეთ...

ამ ქალს მოყვანილი სასიძო არ მოსწონს და თავისთან დაიბარებს შემოერთებული ქვეყნის უფლისწულ **ფილასტერს,** რომელსაც მანამდე არ შეხვედრია: გაუგზავნის მოახლეს წერილით, ჩემთან მოდიო. ხომ გახსოვთ, ნესტანის მიერ გაგზავნილი **ასმათი** ტარიელთან წერილით ვითომ საყვარლად მიდის — გარეშეთათვის ეჭვების გასაფანტად და სიმართლის დასაფარად. მივიდა ფილასტერი (ისევე, როგორც ტარიელი) მეფის ასულთან, დასხდნენ და გაირკვევა, რომ ორივენი ფარულად არიან ერთმანეთზე შეყვარებულები. პირველივე საუბრის დროს გადაწყვეტენ, თავიდან მოიცილონ უცხოელი პრეტენდენტი: მე და შენ უნდა ვიმეფოთო. მსგავსება „ვეფხისტყაოსანთან" აშკარაა; გავიხსენოთ ნესტანის მიმართვა ტარიელისადმი: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა".

იწყება კონკურენტის მოშორების ამბავი. უამრავი დეტალია ჩართული, სხვა ამბები, განსხვავებული „ვეფხისტყაოსნისაგან". ბოლოს გახელდება ფილასტერი და ტყეში გავარდება მიჯნურად.

**— ინგლისია — რა დროს მიჯნურობაა!**

— ყველაფერი მთავრდება „ჰეფი ენდით": მოიშორებენ მეზობელი ქვეყნის სასიძოდ მოვლენილ კაცს და თავის სახელმწიფოში დააბრუნებენ.

**— არ კლავენ? ბოლოსკენ გეკითხებით, თქვენი ნებართვით.**

— არ კლავენ. ტრაგიკომედიაა — არავინ არ უნდა მოკვდეს, მაგრამ ინტერვიუს ბოლოს კიდევ ერთხელ შემახსენეთ!

ნესტანისა და ტარიელის ერთი ამბავი გაყოფილია ორად: „მეფე და არამეფეში" ნაშვილები მემკვიდრის ხაზი არის განვითარებული, „ფილასტერში" — შემოერთებული სამეფოს უფლისწულის სიტუაციაა.

ყველაფერს ამჯერად ვერ მოგიყვებით.

ერთი სიტყვით, მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ორივე პიესას რენესანსის, ან შუასაუკუნეების პერიოდის რომელიღაც რომანი უდევს საფუძვლად: ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის დასკვნაა ასეთი.

## «მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ორივე პიესას რენესანსის ან შუასაუკუნეების პერიოდის რომელიღაც რომანი უდევს საფუძვლად. ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის დასკვნაა ასეთი»



მიხაი ზიჩი. პანტერას (ჯიქის) კოპლებიანი ტყავით შემოსილი ტარიელი

გეტყვით იმასაც, რომ ინგლისელი მეცნიერი **რეიფილდი,** რომელსაც წიგნი აქვს გამოცემული ქართულ ლიტერატურაზე და კარგადაც იცის ქართული, მკითხა: ხომ არ არის რაღაც საერთო წყარო, რომელსაც რუსთაველიც იყენებსო: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები"? ვუპასუხე, რომ არა. **ფლეტჩერისა და ბომონტის ნაწარმოებებში რუსთაველისგან გადატანილი იმ დეტალების გარდა, რომლებზეც მე და თქვენ უკვე ვისაუბრეთ, სხვაც ბევრია. და გარდა ამისა, რაც უმთავრესია: სამივე ინგლისური პიესის ფაბულა შექმნილია „ვეფხისტყაოსნის" მხოლოდ სიუჟეტური ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც აშკარად რუსთველის მიერაა მოაზრებული XII საუკუნის საქართველოს სამეფო კარის ისტორიული რეალიების ბაზაზე და არა პოემის ამ სიუჟეტში შეტანილი მეორე ამბის — დაკარგული სატრფოს ძიების ამბის მიხედვით, რომელიც თავისთავად აღმოსავლეთში მოარული ამბავია.**

**— დეტალებში, გარდა იმისა, რომ ეშმაკია ჩასაფრებული, როგორც ჩანს, ჭეშმარიტება იმალება.**

— ასეა. ერთ რამესაც დავაზუსტებ: მე, როგორც ლიტერატორი, პრობლემას ვიკვლევ ფილოლოგიურად — ეს სიუჟეტი ამას ჰგავს, ეს პასაჟი — იმას, და ამ მსგავსებას ვასაბუთებ. ხოლო საიდან მოვიდა, ისტორიოგრაფიის გასარკვევია და სხვაგვარი კვლევის საგანია, ანუ ფილოლოგიისგან განსხვავებული სფეროა. მე შეიძლება არ ვიცოდე, როგორ მოვიდა ეს ამბავი ინგლისში, მაგრამ შემიძლია, ვიმსჯელო იმაზე, რომ სიუჟეტებს ერთმანეთთან კავშირი აქვს; გამოვთქვა ვარაუდი, ტიპოლოგიური მსგავსებაა თუ რაღაც უფრო მეტი.

**წარმომავლობა, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ სხვა თემაა, სხვა ფაქტების პოვნა და შედარება სჭირდება, რაც ინგლისურ კრიტიკულ ლიტერატურაში არ წერია, ქართულშიც არ გვაქვს რაიმე ცნობა, ამიტომ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ.**

რუსთაველი ჩვენს საისტორიო წყაროებში მხოლოდ პოეტების მიერაა ნახსენები, თანაც მხოლოდ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ილია ჭავჭავაძე, მოგეხსენებათ, წერდა, რომ ჩვენი ისტორია მხოლოდ მეფეების ქრონიკააო.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ. მეც მაქვს ერთი-ორი ვარაუდი, მაგრამ ამის შესახებ დეტალურად არ ვისაუბრებ.

**— იმედი დავიტოვო, რომ მომავალში ამ ვარაუდებზეც ვისაუბრებთ?**

— იმედი ბოლოს კვდება.

### ყველაფერი თეატრისთვის

**ბატონი ელგუჯა ხინთიბიძის ერთ-ერთი ვარაუდი ასეთია:**

— XVI საუკუნეში ინგლისმა რუსეთში დააარსა დიდი სავაჭრო კომპანია — „მოსკოუ კომპანი", რომელიც ურთიერთობდა სპარსეთთან, ინდოეთთან და ასე შემდეგ. სავაჭრო გზა მიყვებოდა ვოლგას, ასტრახანიდან გადიოდა კასპიის ზღვის სანაპიროზე. შემახია და ჯულფა იყო ორი სავაჭრო ცენტრი. ჰქონდათ კავშირი საქართველოსთანაც. წყაროებიდან ირკვევა, რომ კახეთის მეფე ლევანთანაც ურთიერთობდა ეს ინგლისური კომპანია. უფრო მეტიც, ინგლისელმა ვაჭრებმა პირველებმა გააცნეს კახეთი მოსკოვის სამთავროს. მეგობრობა კახეთსა და მოსკოვს შორის აქედან დაიწყო. ამ პერიოდში ჩამოაყენა მოსკოვის სამთავრომ თავისი ჯარის ნაწილები კახეთის ციხესიმაგრეებში. ამას ვერ იტანდა შაჰ აბაზი, ამას ებრძოდა. ეს ვიცით.

ისიც ვიცით, რომ იმ „მოსკოუ კომპანიში" ინგლისის დედოფალს **ელისაბედ პირველს** გამოგზავნილი ჰყავდა თავისი დიდგვაროვანი გვარად ფლეტჩერი, ჩვენ მიერ ნახსენები ავტორის ჯონ ფლეტჩერის აღმზრდელი ბიძა — **გლებ ფლეტჩერი**. ეს ბიძა წიგნს წერს თავისი მოღვაწეობის შესახებ, იმაზე, რასაც რუსეთში შეიტყობს საინტერესოსა და სასარგებლოს. მაგრამ ინგლისელი მეცნიერები ამ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის" შესახებ ვერაფერს ნახულობენ. ეტყობა, არც არის.

XVI საუკუნის მეორე ნახევრის და XVII საუკუნის დასაწყისის პერიოდია, როცა თურქეთის სულთნისა და სპარსეთის შაჰის კარზე მივიდნენ და დამკვიდრდნენ ევროპელი ელჩები, შეაღწიეს მოგზაურებმაც. ამ ქვეყნების მმართველებს ქართველი ქალები ცოლებად ჰყავთ, და მათ ჰქონდათ „ვეფხისტყაოსანი" რუსთაველისა. ამ პერიოდის ევროპულ მწერლობაში შეხვდებით ქართველებისა და ჩერქეზების შესახებ ცნობებს, ამბებს, რომლებიც მათი მონათხრობია. მათგან ევროპაში გადის ბევრი ამბავი.

ამ დროს ინგლისის დედოფალი ელისაბედ პირველი ოქსფორდში აარსებს საგანგებო ორგანიზაციას — „ინტელიჯენტ სერვისს", ერთგვარ სადაზვერვო სტრუქტურას. ინტელიგენტური მომსახურება ერქვა ამ სადაზვერვო სამსახურს — უცხოეთიდან საინტერესო და სასარგებლო ცნობების მისაღებად, როგორებიცაა ისტორიები, ბიოგრაფიები, ფოლკლორის, ლიტერატურის სიუჟეტები და ა.შ. უწინარეს ყოვლისა, ისინი მიაქვთ ინგლისის სამეფო თეატრისთვის, რომელიც მაშინ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების უმთავრესი წყარო იყო.

„ინტელიჯენტ სერვისს" სათავეში ჩაუდგა **ფრანსის ბეკონი**, მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი. თეატრი ამ წყაროდან იგებს და გადაიღებს ყველა სიახლეს. მდიდრდება. შეიძლება ითქვას, მთელი სისტემაა შექმნილი დრამატურგების მომსახურებისთვის.

**ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე თავის მოსაზრებას „მეფე და არამეფის" შესახებ, როგორც ვთქვით, თავმდაბლურად მიიჩნევს ერთ-ერთ ვარაუდად, და სწორედ ეს ვარაუდი წარადგინა ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გამართულ ვეებერთელა კონგრესზე 2008 წელს — „ქართული წვლილი შუა საუკუნეების მედიევისტიკაში". აქ განაცხადა პირველად, რომ „ვეფხისტყაოსანი" შესულია ინგლისურ ლიტერატურაში.**

2009 წელს აშშ-ში მედიევისტების (შუა საუკუნეების მკვლევართა) უდიდეს ყოველწლიურ კონგრესზე, რომელიც ჩიკაგოს მახლობლად ქალაქ კალამაზუსის უნივერსიტეტში იმართება, სამი ათასი მოხსენებიდან დააჯილდოვეს მხოლოდ 5 მოხსენება და მათ შორის ერთ-ერთი ქართველი პროფესორის — ელგუჯა ხინთიბიძესი.

ამის კვალზე 2011 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე იბეჭდება მისი წიგნი „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და ევროპული ლიტერატურა".

**ამ მიმართულებით კვლევას ბატონი ელგუჯა ინტენსიურად განაგრძობს და, გარემოებათა გავლენით, ახლა უკვე აღმოსავლეთის მიმართულებით წარმართავს.**

## «წარმომავლობა, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ სხვა თემაა, სხვა ფაქტების პოვნა და შედარება სჭირდება, რაც ინგლისურ კრიტიკულ ლიტერატურაში არ წერია, ქართულშიც არ გვაქვს რაიმე ცნობა, ამიტომ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ»

დასასრული შემდეგ ნომერში

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ათი წლის გოგო დააკავეს ექვსი თვის ჩვილის მოკვლის ბრალდებით. ეს საშინელება აშშ-ში, მინესოტის შტატში მოხდა. თვითმხილველმა ბავშვებმა ილაპარაკეს, როგორ გაიგდო ფეხქვეშ გოგომ უმწეო ბავშვი და როგორ ახტებოდა თავზე, — იუწყება METRO.




## სილამაზის კონკურსის დედოფალს «შიშველი» ფოტოებისთვის გაასამართლებენ

**ეს „დედოფალი“ განსასჯელთა სკამზე მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც არასრულწლოვან მოსწავლეს თავისი „შიშველი“ ფოტოსურათები გაუგზავნა. 15 წლის ბიჭი იმ სკოლაში სწავლობდა, რომელშიც კარპენტერ ბეარსი პედაგოგად მუშაობდა. მათი მიმოწერა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და არავინ უწყის, რა შედეგით დამთვარდებოდა, მოზარდის დედას რომ ვერ შეემჩნია, — იუწყება Mirror.**



28 წლის ახალგაზრდა ქალს წაუყენეს ბრალდება არასრულწლოვანთა შორის უზნეო ფოტოსურათების გავრცელებისთვის.

2014 წელს ბეარსი „მის კენტუკი“ გახდა, ორი წლის შემდეგ გათხოვდა, ცოლად გაჰყვა ქვანახშირის მაგნატს, მაგრამ მალე მოსწყინდა მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება და თავისუფლება მოსწყურდა, მხიარული და მწვავე თავგადასავლების სურვილმა დაძლია. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და თავის მოწაფესთან ეროტიკული გრძნობების გაღვივებას მიჰყო ხელი. თავისუფალი აღზრდის მეთოდით.

სილამაზის კონკურსში მონაწილეობისას ბეარსმა განაცხადა, რომ ოცნებობდა დამწყებ კლასებში მასწავლებლობაზე. დღეს იგი 10 ათასი დოლარის გირაოს გადახდის სანაცვლოდ გათავისუფლებულია, მაგრამ, თუ სასამართლო ბრალს დაუმტკიცებს, მაშინ 20 წლით ჩაჯდება ციხეში.



## მამამ სიცოცხლეს გამოასალმა მოძღვარი, რომელმაც შვილი გაუუპატიურა

**სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებმა მამაკაცმა მოკლა თავისი ცხრა წლის გოგონას გამაუპატიურებელი მღვდელი. მან 66 წლის მასა მალგასა ჯერ დაკოდა, შემდეგ სიცოცხლე მოუსწრაფა, — იუწყება Mirror.**

გვამი პოლიციაში მიიტანა და განაგრძობდა მის ცემას, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები მის დაშოშმინებას ცდილობდნენ. სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ ეს საშინელი ამბავი ბრალდებულს ცოლმა შეატყობინა.

მამა დაუყოვნებლივ გაემართა ეკლესიისკენ და მოძღვარს თავს დაესხა. როცა გაერკვა, რაც გააკეთა, უკვე გვიან იყო თითზე კბენანი. ის დაპატიმრებულია.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ემანსიპირებული ქალების ქრონიკები

შეიძლება ასეც დასათაურდეს ინფორმაციების ნაკრები, რომელსაც მკითხველებს დღეს ვთავაზობთ. ასეთი არაადეკვატურობა, ნორმების რიგიდან ამგვარი ამოვარდნა იმ საზოგადოების თანმდევია, რომელშიც ნეოლიბერალური იდეოლოგია ადამიანის უფლებათა დაცვის გაუკულმართებულ პრინციპებს ამკვიდრებს.



## გული აიცრუა კაცებზე და გათხოვდა... საკუთარ თავზე

**ნიუიორკელ მსახიობ ქალს, ჟენილინ როდრიგესს, კაცებზე ისე აუცრუვდა გული, რომ საკუთარ თავზე დაქორწინება გადაწყვიტა. მას მორწმუნე კათოლიკედ ზრდიდნენ, რამაც ხელი შეუწყო, რომ თავის თავში ჩაკეტილიყო და ამით დაკმაყოფილებულიყო, — იუწყება Daily Mail.**

საზეიმო ცერემონიისთვის პატარძალმა საქორწინო კაბაში 240 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა და თავზე ცოცხალი ყვავილების გვირგვინი დაიდგა. საკურთხევლის წინ საკუთარ თავს ერთგულება შეჰფიცა და ამჟამად ირლანდიაში თაფლობის თვის გასატარებლად აპირებს გამგზავრებას.

ცერემონია გარკვეულ დროში ჩატარდა, წინასწარ მონიშნულ დღესა და საათზე: ნუმეროლოგიის თანახმად, 3:33 — ეს რიცხვი ანგელოზის წმინდა სიყვარულს ნიშნავს, 11 ნოემბერი კი იმას, რომ ანგელოზები გვერდიგვერდ იმყოფებიან. ჟენილინის განმარტებით, ქორწილი იყო იმის სიმბოლო, რომ ყველაფერი აქვს იმისთვის, ბედნიერი რომ იყოს.

ქორწილს ესწრებოდნენ უახლოესი მეგობრები და ნათესავები, რომლებიც ზეიმის შემდეგ ბარში შეიკრიბნენ. ასე გათხოვილ ქალს განზრახული აქვს, გახსნას ცენტრი, რომელშიც შესაძლებელი იქნება ამგვარი ქორწინებების გამართვა.





ადგნენ ახლა ჩვენი „უსამთავრობო“ ფემინისტები და გამართონ საქართველოს ისტორიაში პირველი კონფერენცია, რომელიც დაადგენს კაცის კაცთან დაქორწინებაა უკეთესი, ქალის — ქალთან თუ საკუთარ თავთან. ნეოლიბერალიზმი ყველაფრის უფლებას იძლევა. ერთი რამ „ჭედავს“ მხოლოდ: როგორ უნდა წარმოითქვას ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო?!

## ათი წლის გოგომ ექვსი თვის ბიჭი მოკლა



**ათი წლის გოგო დააკავეს ექვსი თვის ჩვილის მოკვლის ბრალდებით. ეს საშინელება აშშ-ში, მინესოტის შტატში მოხდა. თვითმხილველმა ბავშვებმა ილაპარაკეს, როგორ გაიგდო ფეხქვეშ გოგომ უმწეო ბავშვი და როგორ ახტებოდა თავზე, — იუწყება Metro.**

პოლიციაში დარეკეს საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა და შეატყობინეს, რომ ერთ-ერთ ბავშვს თავიდან სისხლი სდიოდა და არაფერზე არ რეაგირებდა. ჩვილი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა მხოლოდ მისი გარდაცვალების დადასტურება შეძლეს.

გოგოს სახელსა და გვარს არ ასაჯაროებენ, აღნიშნავენ მხოლოდ, რომ იგი ნაშვილები იყო იმ ოჯახის მიერ, რომელიც ქალაქ უიტონის საბავშვო ბაღს მართავდა. სასამართლომ მას (ოჯახს) 50 ათასი დოლარის გირაო დაუწესა.

24 წლის კატრიონა გრეი მეოთხე ფილიპინელია, რომელმაც თავის ქვეყანას სილამაზის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება მოუტანა. კატრიონას თქმით, 13 წლის იყო, როცა დედამ სიზმარი ნახა, რომ „მის სამყაროს“ გამარჯვებული გახდებოდა და ჯილდოს გადაცემისას წითელი კაბა ეცმებოდა. ტაილანდში გამართულ კონკურსში 93 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამ სილამაზის კონკურსზე საქართველოს 25 წლის მოდელი ლარა იანი წარადგენდა.

სილამაზის კონკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მის სამყარო — 2018»-ის ტიტული ფილიპინელმა ლამაზმანმა მოიპოვა

**ბანგკოკის (ტაილანდი) საგამოფენო ცენტრ Impact Arena-ში გამართულ სილამაზის 67-ე საერთაშორისო კონკურს „მის სამყარო 2018“-ში, ჟიურის გადაწყვეტილებით, გაიმარჯვა ფილიპინების წარმომადგენელმა კატრიონა გრეიმ.**

საპატიო მეორე ადგილი დაიკავა ვენესუელელმა **სტეფანი გუტიერესმა.** ამ წლის კონკურსში გამარჯვებული გვირგვინით შეამკო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრმა **დემი-ლი ნელ-პიტერსმა**, რომელმაც შარშან აშშ-ში გამართულ „მის სამყაროს“ კონკურსში გაიმარჯვა.

ჟიურიმ თავდაპირველად გამოაცხადა გამარჯვებულის ტიტულის ყველა პრეტენდენტი, შემდეგ შეარჩია 20 ყველაზე გამორჩეული, საბოლოოდ კი განსაზვრა საუკეთესო სამეული, რომელთა შორისაც აღმოჩნდნენ სამხრეთი აფრიკის, ვენესუელასა და ფილიპინების წარმომადგენლები.

ღონისძიების მიმდინარეობისას საზოგადოებას წარუდგინეს შეჯიბრების შუალედური ეტაპების ვიდეორგოლები, რომელთა შორისაც იყო საღამოს კაბებითა და საცურაო კოსტიუმებით გამართული ჩვენებები. გოგონებს უსვამდნენ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხი გავლენას ახდენდა ჟიურის წევრების საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

24 წლის კატრიონა გრეი მეოთხე ფილიპინელია, რომელმაც თავის ქვეყანას სილამაზის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება მოუტანა.

კატრიონას თქმით, 13 წლის იყო, როცა დედამ სიზმარი ნახა, რომ „მის სამყაროს“ გამარჯვებული გახდებოდა და ჯილდოს გადაცემისას წითელი კაბა ეცმებოდა. ტაილანდში გამართულ კონკურსში 93 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამ სილამაზის კონკურსზე საქართველოს 25 წლის მოდელი **ლარა იანი** წარადგენდა.

სილამაზის საერთაშორისო კონკურსი „მის სამყარო“ ყოველლიურად იმართება და






ერთ-ერთი პრესტიჟული კონკურსია მსოფლიოში „მის მსოფლიოს“, „მის ინტერნეშნლსა“ და „მის დედამიწასთან“ ერთად. „მის სამყარო“ ტარდება 1952 წლიდან. 2017 წლის ნოემბერში კონკურსი „მის სამყარო“ გაიმართა აშშ-ში. ტაილანდში ეს ღონისძიება მანამდე ორჯერ გაიმართა 1992 და 2005 წლებში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**







ჟიურიმ თავდაპირველად გამოაცხადა გამარჯვებულის ტიტულის ყველა პრეტენდენტი, შემდეგ შეარჩია 20 ყველაზე გამორჩეული, საბოლოოდ კი განსაზღვრა საუკეთესო სამეული, რომელთა შორისაც აღმოჩნდნენ სამხრეთ აფრიკის, ვენესუელასა და ფილიპინების წარმომადგენლები




ლარა იანი

# ხიზილალის 50 კგ-იანი ქილა




**ცნობილ კურორტ ატლანტის დე პალმში (დუბაი) გინესის რეკორდი დამყარდა — წარმოადგინეს ზუთხის ხიზილალის ყველაზე დიდი ზომის ქილა.** 50-კილოგრამიანი ქილით სტუმრებს მიართვეს ზუთხის ხიზილალა და ამით დაამხეს რეკორდი, რომელიც დამყარდა 2017 წელს, როდესაც დაამზადეს 17,86 კგ-იანი ქილა. 50-კილოგრამიანი ქილას, რომლის ფორმაც იყო რომბისებური, ერქვა „კლეიტო“ ცნობილი ქალღმერთის პატივსაცემად, რომელსაც, აგრეთვე, ეძახიან „ატლანტიდის დედას“.

98X74 სმ ზომის ქილა დამზადებული იყო ძალიან თხელი უჟანგავი ფოლადისგან და ჰქონდა ნაკვეთურები სპეციალური გელისთვის, რომელიც ინარჩუნებს ხიზილალასთვის საჭირო ტემპერატურას.



ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კულინანი ყველაზე ცნობილი ალმასია მსოფლიოში. ზომით 100X65X50 კმ. შემთხვევით იპოვეს 1905 წლის 25 იანვარს სამხრეთ აფრიკის დედაქალაქ პრეტორიადან 40 კმ-ის დაშორებით. სახელი უწოდეს საბადოს მეპატრონე ტომას კულინანის პატივსაცემად. კულინანისგან დამზადებულია 9 დიდი და 96 პატარა ბრილიანტი, მათგან ყველაზე დიდს, 530,2-კარატიანს, ეწოდა „კულინან I“ ან „აფრიკის დიდი ვარსკვლავი“. ეს ყველაზე ძვირად ღირებული ბრილიანტია მსოფლიოში.

# 10 ყველაზე დიდი ალმასი მსოფლიოში

ალმასი უძველესი დროიდან აღაფრთოვანებდა ადამიანებს. ეს ძვირფასი ქვა ძალიან პოპულარულია და იუბილეების, ქორწილებისა და ზეიმების სიმბოლოს წარმოადგენს, აგრეთვე, მუდმივი სიყვარულის სიმბოლოს. გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასების ჩამონათვალს.



## 10. «ჯონკერი» — 726 კარატი

ეს გიგანტური ძვირფასი ქვა იპოვა იაკობ ჯონკერმა 1934 წლის 17 იანვარს სამხრეთ აფრიკის ალმასების საბადოში დედაქალაქ პრეტორიასთან ახლოს. ნაპოვნი ალმასი 726 კარატს იწონიდა და იმხანად სიდიდით მეოთხე იყო მსოფლიოში. ის იპოვეს ცნობილი ალმასის — „კულინანის“ პოვნის ადგილიდან 5 კმ-ის დაშორებით. ალმას „ჯონკერიდან“ დაამზადეს 12 ბრილიანტი, თითოეული 143,9 კარატიანი მასით.



## 9. «პრეზიდენტი ვარგასი» — 726,6 კარატი (145,32 გრ.)

ეს ალმასი 1938 წლის 13 აგვისტოს აღმოაჩინეს მდინარე სანტუ-ანტონიუს ნაპირებთან (მინას-ჟერაის შტატი, ბრაზილია). 1939 წელს შეფასებული იყო 600 ათას დოლარად. მისგან დაამზადეს 29 ბრილიანტი, რომელთაგან ყველაზე დიდს აქვს 48,26 კარატის მასა. ალმასს სახელი ეწოდა ბრაზილიის იმჟამინდელი პრეზიდენტის — **ჟეტულიუ ვარგასის** პატივსაცემად.



## 8. «ოქროს იუბილე» — 755,5 კარატი (151,1 გრ)

„ოქროს იუბილე“ დიდი მოყვითალო-მოყავისფრო ალმასია, ნაპოვნი სამხრეთ აფრიკაში, შახტ Premier Mine-ში 1985 წელს. მისი დამუშავების შემდეგ მიიღეს 545,67-კარატიანი ულამაზესი ბრილიანტი, რომელიც ამჟამად ტაილანდის სამეფო ოჯახის კუთვნილებაა და ინახება ბანგკოკის სამეფო მუზეუმში. ალმასი დაახლოებით 12 მლნ დოლარად არის შეფასებული.



## 7. «მდინარე უოიე» — 770 კარატი (154 გრ)

დიდი ალმასების სიაში მეშვიდე ადგილზეა „მდინარე უოიე“, ანუ „გამარჯვების ალმასი“ — ძვირფასი ქვა, რომელიც იპოვეს 1945 წლის 6 იანვარს მდინარე უოიეს ნაპირზე, ქალაქ სეფადუსთან (სიერა-ლეონე) ახლოს. ამ ალმასს ჰქონდა რომბის ფორმა ზომებით 71X53X32. მისი დამუშავების შემდეგ დაამზადეს 30 ბრილიანტი საერთო მასით 282,36 კარატი. მათგან ყველაზე დიდი 31,35-კარატიანია.

## 6. «ათასწლეულის ვარსკვლავი» — 777 კარატი (155,4 გრ)



„ათასწლეულის ვარსკვლავი“ უფერო ალმასია. იპოვეს 1990-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიულ რესპუბლიკა კონგოში ქალაქ მბუჯი-მაიისთან. დაამუშავეს ლაზერით და მიიღეს უნიკალური, მსხლის ფორმის ბრილიანტი „De Beers Millennium Star“-ი წონით 203,04 კარატი. **ჰარი ფრედერიკ ოპენჰეიმერმა,** ალმასების წარმოების უხუცესმა, ეს ალმასი აღწერა, როგორც „ყველაზე ლამაზი ბრილიანტი, რომლის ნახვაც შეუძლია ადამიანს“.

## 5. «შეუდარებელი ალმასი» — 890 კარატი (178 გრ)



ყველაზე დიდი ალმასების სარეიტინგო სიაში მეხუთეა „შეუდარებელი“, რომელიც 1980 წელს შემთხვევით იპოვეს რესპუბლიკა კონგოში. ის იპოვა გოგონამ, რომელიც თავისი ბიძის ეზოში ქვის გროვაში თამაშობდა. ამ ალმასისგან ლამაზი, 407,48-კარატიანი მოყვითალო-მოყავისფრო ბრილიანტი დაამზადეს.

## 4. «სიერა-ლეონეს ვარსკვლავი» — 968,9 კარატი (193,78 გრ)



„სიერა-ლეონეს ვარსკვლავი“ — ეს არის ალმასი, რომელიც იპოვეს 1972 წლის 14 თებერვალს სიერა-ლეონეს ქალაქ სეფადუსთან. 2,5 მლნ დოლარად შეიძინა ნიუ-იორკელმა იუველირმა **ჰარი უინსტონმა.** ამ ძვირფასი ქვის განსაკუთრებულობა არის მისი იდეალური ქიმიური სისუფთავე, რომელიც ალმასების მხოლოდ 1%-ისთვის არის დამახასიათებელი. ალმასი დაამუშავეს და მისგან დაამზადეს 17 ბრილიანტი, მათგან ყველაზე დიდია მსხლის ფორმის მქონე 53,98 (10,79 გრ)- კარატიანი. 6-ით კი მორთეს ბროში სახელწოდებით „სიერა-ლეონეს ვარსკვლავი“.



## 3. «ექსელსიორი» — 995,20 კარატი (199,04 გრ)

ყველაზე დიდი ალმასების სარეიტინგო სიაში საპატიო მესამე ადგილი უკავია „ექსელსიორს“, შესანიშნავ მოცისფროთეთრ ალმასს, რომელიც 1893 წლის 3 ივნისს იპოვეს სამხრეთ აფრიკის ქალაქ კიმბერლიდან 130 კმ-ში.

1905 წლამდე ითვლებოდა ყველაზე დიდ ალმასად მსოფლიოში. მისგან დაამზადეს 21 ბრილიანტი, მათგან ყველაზე დიდი 69,8-კარატიანია.

## 2. «კულინანი» — 3106,75 კარატი (621,35 გრ)



კულინანი ყველაზე ცნობილი ალმასია მსოფლიოში. ზომით 100X65X50 კმ. შემთხვევით იპოვეს 1905 წლის 25 იანვარს სამხრეთ აფრიკის დედაქალაქ პრეტორიადან 40 კმ-ის დაშორებით. სახელი უწოდეს საბადოს მეპატრონე **ტომას კულინანის** პატივსაცემად. ალმასი დაამუშავა ევროპის საუკეთესო სპეციალისტმა **იოზეფ აშერმა.** კულინანისგან დამზადებულია 9 დიდი და 96 პატარა ბრილიანტი, მათგან ყველაზე დიდს, 530,2-კარატიანს ეწოდა „კულინან I“ ან „აფრიკის დიდი ვარსკვლავი“. ეს ყველაზე ძვირად ღირებული ბრილიანტია მსოფლიოში.



## 1. «სერხიო» (შავი ალმასი) — 3167 კარატი (633,4 გრ)

„სერხიო“ ყველაზე დიდი შავი ალმასია, აგრეთვე, დედამიწაზე ნაპოვნ ალმასებს შორის ყველაზე დიდი დაუმუშავებელი ალმასი. იპოვეს 1895 წელს ბრაზილიის შტატ ბაიაში. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის, ისევე, როგორც სხვა შავი ალმასები, მეტეორიტული წარმოშობის ძვირფასი ქვაა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტენლიმ მოისურვა, უფრო ძლიერ კლუბში გადასულიყო, მაგრამ მოხდა უპრეცედენტო რამ: 1938 წელს ერთ-ერთი მატჩის მიმდინარეობისას „სტოკ სიტის“ 4000-ზე მეტმა გულშემატკივარმა სთხოვა მეტიუზს, გუნდში დარჩენილიყო და სტენლიც დარჩა სტოკ-ონ-ტრენტში!**

# სტენლი მეტიუზი — ფეხბურთის მათუსალა

## კაცი, რომელმაც 41 წლისამ მოიპოვა «ოქროს ბურთი»

**ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდებზე თუ ვილაპარაკებთ, პირველი მოთამაშე, რომელიც უნდა დასახელდეს, არის გარემარბი სტენლი მეტიუზი. დღეს, ალბათ, ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელმაც მისი თამაში ნახა საფეხბურთო მოედანზე, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რამდენი რამ გაუკეთა მეტიუზმა თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ბრიტანულ ფეხბურთს, ის ლეგენდად იქცა თავისი კლუბისა და სრულიად ინგლისისთვის.**

სტენლი მეტიუზი იყო პირველი ინგლისელი, რომელსაც საფეხბურთო მოედანზე მიღწეული წარმატებებისთვის რაინდის წოდება მიანიჭეს — ეს ტიტული მას დედოფალმა ელისაბედ II-მ უბოძა 1965 წელს, როდესაც დიდმა ფეხბურთელმა კარიერა დაასრულა. იმ წელიწადს სტენლი მეტიუზს 50 წელი შეუსრულდა. მის პატივსაცემად გამართულ გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ვარსკვლავები — **ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში** და სხვ.

### „სტოკ სიტი“

სტენლი მეტიუზი დაიბადა პატარა ქალაქ ჰენლიში, სტოკ-ონ-ტრენტ-თან ახლოს. „ოქროს ბურთის“ პირველი მფლობელი დაიბადა 1915 წლის 1 თებერვალს მოკრივე ჯეკ მეტიუზის ოჯახში და, მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, ფეხბურთის კარიერა აირჩია.

გასაკვირი არ არის, რომ სტენლი მეტიუზის პირველი კლუბი იყო „სტოკ სიტი“ — 14 წლის სტენლი ამ კლუბის სელექციონერებმა შენიშნეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ **შესანიშნავმა ფეხბურთელმა, რომელსაც „ფეხბურთის პირველი ჯენტლმენი“ უწოდეს (თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში სტენლი მეტიუზს არათუ წითელი ბარათი, არამედ ყვითელიც კი არასოდეს მიუღია), კარიერის საუკეთესო წლები გაატარა კლუბში, რომელიც დღეს პრემიერ ლიგაშიც კი არ არის (შარშან გავარდა ქვედა ლიგაში).**

სტენლი მეტიუზი სწრაფად იქცა „სტოკ სიტის“ ცოცხალ ლეგენდად. ამ პერიოდში ინგლისელთა მენტალიტეტი, პოლიტიკა, კულტურა, უწინარესად, ცნობიერება გაჩერებული იყო თვალსაზრისზე, რომ ბრიტანეთის იმპერია კვლავ სამყაროს ცენტრია და ყველაფერი, რაც ინგლისის საზღვრებს გარეთ ხდება, მეორეხარისხოვანია. იმხანად ინგლისი პლანეტის საფეხბურთო ცენტრი იყო, პრინციპში, ის ახლაც ასეთია ბევრი ბრიტანელის ცნობიერებაში.

1930-1940-იან წლებში სტენლი მეტიუზს ტოლი არავინ ჰყავდა. სხვა ასეთი მარჯვენა გარემარბი არ არსებობდა. ნებისმიერი გუნდის დაცვის მარცხენა ფლანგი, რომელიც მეტიუზის წინააღმდეგ იბრძოდა, შიშისგან ცახცახებდა. სტენლი ფლობდა გამაოგნებელ დრიბლინგს, ხოლო მისი სვლების გამოცნობა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

1936 წელს „სტოკ სიტიმ“ ინგლისის უმაღლეს ლიგაში სარეკორდო მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო 1937 წელს მეტიუზმა სამი ბურთი გაიტანა ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებების მატჩში, რომელიც 5:4 დასრულდა ინგლისელთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ **სტენლიმ მოისურვა, უფრო ძლიერ კლუბში გადასულიყო, მაგრამ მოხდა უპრეცედენტო რამ: 1938 წელს ერთ-ერთი მატჩის მიმდინარეობისას „სტოკ სიტის“ 4000-ზე მეტმა გულშემატკივარმა სთხოვა მეტიუზს, გუნდში დარჩენილიყო და სტენლიც დარჩა სტოკ-ონ-ტრენტში!**

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მეტიუზს 256 მატჩი ჰქონდა ჩატარებული „სტოკ სიტის“ მაისურით. იმხანად ის მხოლოდ 24 წლის იყო. შემდეგი 6 წლის განმავლობაში მეტიუზი გაერთიანებული სამეფოს სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა და ამხანაგურ მატჩებს თამაშობდა მაისურებით ისეთი კლუბებისა, როგორიც არის „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“ და „ბლეკპული“. ზოგჯერ კი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაშიც გამოდიოდა. მეორე მსოფლიო ომმა სტენლი მეტიუზს კარიერის საუკეთესო წლები წაართვა. ომის შემდეგ ის უკვე აღარ იყო ადრინდელივით შედეგიანი ფეხბურთელი, მაგრამ რეგულარულ ვარჯიშსა და მონდომებას თავისი გაჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ „სტოკ სიტის“ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ სტენლი ისეთი აღარ იყო, როგორც წლების წინათ, როდესაც გულშემატკივრებმა კერპად აქციეს და თავიანთი ლიდერი 11 500 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდეს „ბლეკპულს“, მაგრამ „სტოკის“ ბოსები შეცდნენ, 32 წლის მეტიუზი განაგრძობდა ბრწყინვალე კარიერას.







### მიღწევები

* ინგლისის თასის მფლობელი — 1953 წ.;
* დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატის გამარჯვებული — 1935, 1038, 1939, 1947, 1948, 1950, 1952, 1954, 1955 წწ.

პირადი:

* ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზ „ოქროს ბურთის“ მფლობელი — 1956 წ.;
* ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი — 1948, 1963 წლებში.

### „ბლეკპული“

1948 წელს სტენლი მეტიუზი ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იმავე წელს მან თავის პირველ დიდ წარმატებას მიაღწია — „ბლეკპული“ ინგლისის თასის ფინალში გავიდა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხდა — 2:4. ასეთივე შესაძლებლობა მიეცა მეტიუზს 1951 წელსაც, მაგრამ „ბლეკპული“ ამჯერად „ნიუკასლ იუნაიტედმა“ დაამარცხა — 0:2.

მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო მეტიუზმა „ბლეკპულთან“ ერთად ინგლისელი ფეხბურთელებისთვის ამ მეტად საპატიო პრიზის მოგება. 1953 წელს სტენლის „ბლეკბული“ ფინალში „ბოლტონს“ ხვდებოდა და თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე 1:3-ს აგებდა. სწორედ ამ მომენტში თქვა თავისი სიტყვა მეტიუზმა — მისი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით (სამჯერ გააკეთა საგოლე გადაცემა) „ბლეკპულის“ თავდამსხმელმა მორტენსენმა სამი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ ეს მატჩი ბრიტანელებმა „სტენლი მეტიუზის ფინალად“ ჩათვალეს. სტენლი მატჩის შემდეგ ხელში აიტაცეს და ისე გაიყვანეს საფეხბურთო გაზონიდან.

1956 წელს მეტიუზი 41 წლის იყო. ეს წლოვანება წარმოუდგენელია ფეხბურთელისთვის, მაგრამ სწორედ მეტიუზს გადაეცა ფრანგული ყოველკვირეული „ფრანს ფუტბოლის“ მიერ საუკეთესო ევროპელი ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი „ოქროს ბურთი“. და ახლა კონტინენტის ლაურეატთა გრძელ სიაში სტენლი მეტიუზის სახელი პირველია.

### ინგლისის ნაკრები

ინგლისის ნაკრების მაისური მეტიუზმა 19 წლისამ მოირგო, 1934 წელს. თავისი სადებიუტო მატჩი უელსის ნაკრების წინააღმდეგ (4:0) მან გოლით აღნიშნა.

ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული 54 მატჩიდან (ინგლისი 1930-იან წლებში და მას შემდეგ კარგა ხანს ამპარტავნულად უარს ამბობდა ოფიციალურ საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე და მხოლოდ ამხანაგური მატჩებით კმაყოფილდებოდა) 30 მეტიუზმა დიდი ბრიტანეთის სამეფოს ქვეყნების წინააღმდეგ ითამაშა, 9-ჯერ მოიგო დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობდა — ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია.

1950 წელს 35 წლის „დრიბლინგის მეფე“ ინგლისის ნაკრებთან ერთად გაემგზავრა ბრაზილიაში, სადაც, ბრიტანელთა აზრით, მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინათ, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ ამ მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელებს დიდი იმედგაცრუება ელოდათ — გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა.

4 წლის შემდეგ მეტიუზი მონაწილეობდა შვეიცარიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სადაც ის ყველაზე ხანდაზმულ ფეხბურთელად აღიარეს. ინგლისელები შედარებით წარმატებით გამოვიდნენ, თუმცა მეოთხედფინალს ვერ გასცდნენ.

1957 წელს სტენლი მეტიუზი ინგლისის ნაკრებს გამოემშვიდობა. ბოლო მატჩი მან 15 მაისს კოპენჰაგენში ითამაშა დანიის ნაკრების წინააღმდეგ. ინგლისმა გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.



### კარიერის დასრულება

როდესაც „ბლეკპულს“ აღარ დასჭირდა, მეტიუზმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო მშობლიურ „სტოკ სიტიში“, რომელიც იმხანად მეორე დივიზიონში იმყოფებოდა. მეტიუზი ძალიან დაეხმარა „სტოკს“ ელიტურ დივიზიონში დაბრუნებაში. პროფესიონალურ დონეზე მეტიუზმა 1965 წლამდე ითამაშა, ბოლო მატჩი კი 6 თებერვალს ჩაატარა. მას შემდეგ, რაც ლურსმანზე ჩამოკიდა ბუცები, დედოფალ ელისაბედ II-ის ხელიდან მიიღო რაინდის ორდენი სპორტის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის. სერ სტენლიმ კარიერა ინგლისში 50 წლისამ დაასრულა. მის გამოსამშვიდობებელ მატჩს მსოფლიოს ნაკრების წინააღმდეგ 35 ათასი მაყურებელი დაესწრო. **ინგლისში კარიერის დასრულების შემდეგ სტენლი წავიდა მალტაზე და აფრიკაში, სადაც თამაშობდა და წვრთნიდა. სამოყვარულო დონეზე ის თითქმის 70 წლამდე თამაშობდა. სწორედ ამიტომ შეარქვეს მეტიუზს ფეხბურთის მათუსალა. სერ სტენლი მეტიუზმა ინგლისში 700 მატჩში ითამაშა და 70-ზე მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ მისი სავიზიტო ბარათი არა გოლები, არამედ შესანიშნავი დრიბლინგი და საგოლე გადაცემები იყო.**

მეტიუზი მაყურებელს უყვარდა ჯენტლმენური საქციელისთვის. ის არ ვარჯიშობდა დღე და ღამე და არ გამოირჩეოდა ათლეტური მონაცემებით, როგორც, მაგალითად, კრიშტინუ რონალდუ, მაგრამ ბუნებრივი ნიჭისა და შესანიშნავი კოორდინაციის წყალობით ხშირად ჯაბნიდა მეტოქის მცველებს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# კიევში აღიარეს, რომ ევროკავშირი თავის ბაზარზე არ უშვებს უკრაინას

**ევროპის კავშირი კვლავ ვერ ხედავს თავის ბაზარზე უკრაინის ინტეგრაციის შესაძლებლობას, — დაწერა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარას კაჩკამ სტატიაში, რომელიც გამოცემა „ზერკალო ნედელიმ“ გამოაქვეყნა.**




ერთადერთი გამონაკლისი დღევანდელ დღის წესრიგში არის ენერგეტიკა, რომელიც მხოლოდ ადასტურებს წესს: „უკრაინა თავს ვერ მოახვევს ევროკავშირის ინტეგრაციულ ლოგიკას ასოცირების შეთანხმების შესახებ“, — განაცხადა კაჩკამ.

კიევში გამუდმებით ამტკიცებენ, რომ ახალი კანონმდებლობა შეესაბამება ტექნიკური რეგულირების სფეროს ევროკავშირის კანონებს. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი აჭიანურებს ამ სფეროში ხელშეკრულების გაფორმებას, — ამტკიცებს კაჩკა. 2014 წლის ივნისში უკრაინამ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონების შესახებ. ამავე წელს ამოქმედდა შეთანხმების პოლიტიკური ნაწილი. 2016 წელს ძალაში შევიდა ყველა დებულება, რომლებიც ეხებოდა თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნას.

მსოფლიო ბანკის ანალიტიკოსები კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ უკრაინამ ვერ შეძლო ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენება, მიუხედავად ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობისა, ნაყოფიერი მიწებისა და მოსახლეობის განათლებულობისა.

# პოლონეთმა და უნგრეთმა დაბლოკეს ევროკავშირის ერთობლივ განცხადებაში ლგბტ პირთა უფლებების ხსენება

**პოლონეთის და უნგრეთის წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინათ დაბლოკეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების დასაქმებისა და სოციალური საკითხების მინისტრების ერთობლივ განცხადებაში ლგბტ პირთა უფლებების ხსენება.** ევროკავშირის წევრი ქვეყნების დასაქმებისა და სოციალური საკითხების მინისტრები ერთად ქმნიან ევროკავშირში არსებულ დასაქმების, სციალური პოლიტიკისა და ჯანდაცვის საბჭოს (EPSCO), რომელიც წელიწადში ოთხჯერ იკრიბება. სწორედ ამ საბჭოს მიერ მიღებულ განცხადებაზეა საუბარი. გავრცელებული ინფორმაციით, სხვა ქვეყნების წარმომადგენლები აღშფოთებულები იყვნენ პოლონეთისა და უნგრეთის პოზიციით.



# «ფერარი 290 MM» აუქციონზე 22 მილიონ დოლარად გაიყიდა





**„ფერარის“ კიდევ ერთი ლეგენდარული სარბოლო ავტომობილი, 1956 წელს გამოშვებული „ფერარი 290 MM“, რომელსაც თავის დროზე, „ფორმულა 1“-ის ლეგენდარული პილოტები — არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო და ბრიტანელი სერ სტირლინგ მოსი მართავდნენ, შეერთებულ შტატებში, „სოთბისის“ აუქციონზე, 22.005 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

ამ ავტომობილის ძარა ატელიე „სკალიეტიმ“ დაამზადა. 290MM მხოლოდ ოთხი ეგზემპლარი დამზადდა და აუქციონზე გამოტანილი მოდელი მათგან ბოლო — მეოთხეა. „860 მონცა“ სპეციფიკაციით ის 1956 წლის რბოლაში გამოვიდა. ავტომობილი ოთხცილინდრიანი 3.5-ლიტრიანი ძრავით არის აღჭურვილი.

ცნობისთვის: მსგავსი „ფერარი 290 MM“, რომელსაც ოდესღაც ასევე მართავდა ხუან მანუელ ფანხიო, 2015 წელს აუქციონზე 28 მილიონ დოლარად გაიყიდა.

# ყველაზე მაღალი საახალწლო ნაძვის ხე

**გიგანტური ნაძვის ხე, რეკორდსმენი, რომელიც აღიარებულია გინესის რეკორდების წიგნის მიერ, ახალი წლის წინა დღეებში მეხიკოში დადგეს.** ამ ულამაზესი საზეიმო ხის სიმაღლე იყო 110 მეტრი და 35 სმ, რაც 40-სართულიანი სახლის სიმაღლის ტოლია. ნაძვის ხის დადგმას და მორთვა-მოკაზმვას 2 თვე დასჭირდა, მასზე დაიხარჯა 80 მეტრის სიგრძის ლითონის გირლიანდა და 30 ტ კონსტრუქცია.



საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# «ბი-ბი-სი» ითხოვს, ნებისმიერ ფასად შექმნან «მტკიცებულება», რომ რუსეთი ერეოდა «ყვითელი ჟილეტების» საპროტესტო აქციებში

**„ბი-ბი-სის“ რუსული სამსახურის რედაქცია თანამშრომლებისაგან ითხოვს მტკიცებულებებს საფრანგეთში „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო გამოსვლების ორგანიზებაში „რუსეთის ჩარევის“ შესახებ. ამის შესახებ „ბი-ბი-სის“ თანამშრომელმა ქალმა განაცხადა ერთ-ერთ კორესპონდენტთან მიმოწერაში. ეს კორესპონდენტი კი პარიზში მიმდინარე აქციებს აშუქებს.**

„ბი-ბი-სის“ ჟურნალისტი ცდილობდა, შეეტყო, აქვს თუ არა მოსკოვს რაიმე კავშირი საფრანგეთის დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებთან. კორესპონდენტმა განუცხადა ჟურნალისტს, რომ მიტინგებზე არც ერთი რუსი არ დაუნახავს „ბი-ბი-სის“ თანამშრომელი ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა: „ხომ შეიძლება, რომ რომელიღაც რუსული ბიზნესი ამით ხელს ითბობდეს?“ — ჰკითხა მან. კორესპონდენტმა პასუხად მხოლოდ გაიცინა. როგორც „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტმა ახსნა, მან უნდა „მოძებნოს კუთხეები“, რათა დაამტკიცოს მოსკოვის ჩარევა, რადგან „რედაქცია ითხოვს სისხლს“.

### საპროტესტო აქციები საფრანგეთში

„ყვითელი ჟილეტების“ აქცია, რომელმაც თავდაპირველად ბენზინის გაძვირების გამო იფეთქა, შემდეგ კი სოციალური ვითარების გამო უკმაყოფილებაში გადაიზარდა, 17 ნოემბერს დაიწყო. მასობრივ საპროტესტო აქციებს ახლდა დემონსტრანტების შეტაკება პოლიციელებთან, დარბევები, მაღაზიების ვიტრინების ჩამსხვრევა და ავტომობილების დაწვა.

გასულ კვირას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჟან-ივ ლე დრიანმა** განაცხადა, რომ თავდაცვისა და ნაციონალური უსაფრთხოების გენერალური სამდივნო აწარმოებს გამოძიებას რუსეთის ჩარევაზე „ყვითელი ჟილეტების“ აქციაში. კრემლმა ეს ბრალდება ცილისწამებად შეაფასა და განაცხადა, რომ ეს საპროტესტო აქციები საფრანგეთის საშინაო საქმეა და რუსეთი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში არ ერევა.

მოამზადა **ნიკოლოზ აბაშიძემ**

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894